აგრარული ეკონომოკის ინსტიტუტი

ბ ე ს ი კ ბ ა უ ჩ ა ძ ე

საქართველოს აგროსასურსათო სექტორის რესტრუქტურიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფორმირება და განვითარება გარდამავალ პერიოდში.

აგრარული ეკონომიკის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია

08.00.13.-სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი ეკონომიკის
მეცნიერებათა დოქტორი თამაზ კუნჭულია

თბილისი
2006 წელი

სადისერტაციო თემის გაშლილი
გეგმა

შესავალი;

თავი 1. ეკონომიკის რესტრუქუტურიზაცია, როგორც მისი თვისობრივი გარდაქმნის სპეციფიკური რპოცესი გარდამავალ პერიოდში.

1.1. ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის ძირითადი წანამძღვრება და მიზნები.

1.2. ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის ყმთავრესი მიმართულებები.

1.3. სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება.

თავი 2. საქართველოს აგროსასურსათო სექტორის რესტრუქტურიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მისი განვითარება.

2.1. აგროსასურსათო სექტორის არსებული სტრუქტურა და მისი გარდაქმნის აუცილებლობა.

2.2. აგროსასურსათო სექტორის რესტრუქუტირზაციის მატტერიალურ-ტექნიკური რესურსები.

2.3. ინვესტიციების როლი აგროსასურსათო სექტორის რესტრუქტურიზაციაში.

2.4. მეცნიერულ-ტექნოლიგიური ინოვეციების როლი აგროსასურსათო სექტორის რესტრუქტურიზაციის დაჩქარებაში.

თავი 3. აგროსასურსათო სექტორის რესტრუქტურიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობა.

3.1. ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდური საფუძვლები.

3.2. აგროსასურსათო სექტორის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ეფექტიანობა.

3.3. აგროსასურსათო სექტორის რესტრუქტურიზაციის ეფექტიანობის ამაღლების გზები.

დასკვნები და წინადადებები.

შესავალი

თემის აქტუალობა. გარდამავალი ეკონომიკის ეტაპზე საქართველოში ეკონომიკის რესტრუქტურიზაცია დაკავშირებულია ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკური სისტემის დემონტაჟისა და საბაზროკონკურენციული ეკონომიკური სისტემის ფორმირების პროცესთან. რომლის დროსაც პაქტიკულად იცვლება ეკონომიკის ყველა ელემენტი: ეკონომიკური პროცესების კორდინაციის, მ.შ. რესურსების განაწილების წესი; საკუთრებითი ურთიერთობები; მოტივაცია; კვლავწარმოების ტიპი; ეკონომიკური განვითარების მიზნები და საშუალებები; ინსტიტუტები და სამართალი. ამასთან ერთად ადგილი აქვს ბუნებით უნიკალურ და ყოვლისმომცველ სტრუქტურულ ცვლილებებს, რომელთა არსიც გამოიხატება წარმოების საშუალებების წარმოების ხვედრითი წილის შემცირებაში. მწარმოებელზე ორიენტირებული ეკონომიკის გარდაქმნაში და მომხმარებელზე ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირებაში, ეკონომიკის მთელ რიგ დარგებში ეკონომიკური კრიზისის უკიდურეს გაღრმავებაში.

განვლილ წლებში განვითარებულმა მოვლენებმა განსაკუთრებული ზიანი მიაყენა აგროსასურსათო სექტორს და მის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. ბევრი ტექნიკა გაცვდა ფიზიკურად და მორალურად, ბევრიც უმისამართოდ გაიყიდა. მოიშალა ტექნიკური სერვისის სისტემა, მკვეთარად შემცირდა სახელმწიფოს მხარდაჭერა, მოხდა დარგის დეინდუსტრიალიზაცია, რამაც გამოიწვია სექტორის ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზე მაღალი

დამოკიდებულება, რაც თავის მხვრივ აფერხებს აგროსასურსათო სექტორის შემდგომ განვითარებას.

აქედან გამომდინარე, არსებული მდგომარეობა მოითხოვს შეაბამის ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც ხელს შეუწყობს რესტრუქტურიზაციის პროცესში აგროსასურსათო სექტორის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფორმირებასა და განვითარებას, რაც თავის მხვრივ გამოიწვევს სასურსათო წარმოების ამაღლებას და ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის აღმოფხვრას.

ყოველივე ზემოთ თქმული განაპირობებს თემის აქტუალობას და ჩვენს ნაშრომიშიც აღნიშნულ პრობლემათა განსჯისა და ანალიზის ცდა.

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა. აგროსასურსათო სექტორის რესტრუქტურიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფორმირებასა და განვითარების პრობლემები მეცნიერებაში ფართოდ განიხილება და მას არა ერთი ნაშრომი მიეძღვნა. ამ მხვრივ აღსანიშნავია ვახტანგ ბურკაძის, თამაზ კუნჭულიას, ნაპოლეონ ქარქაშაძის, გიორგი მალაშხიას, ნოდარ ჭითანავას, რევაზ მანველიძის, ომარ ვაშაკიძის, პაატა კოღუაშვილი, იური ციკოლიას, ომარ ქეშელაშვილის, გოგი დოღონაძის და სხვათა ნაშრომები, რომლებშიც დასაბუთებულია ეკონომიკის რესტრუტურიზაციის პროცესში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფორმირებისა და განვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის აუცილებლობა. ამასთან აგროსასურსათო სექტორის რესტრუქრურიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფორმირებისა და განვითარების საკითხები ჯერ კიდევ სათანადოდ და

სრულყოფილად არ არის შესწავლილი. სწორედ ამ გარემოებებმაც განაპირობა სადისერტაციოდ მოცემული თემის არჩევა.

კვლევის მიზანი და ამოცანები. გამოკვლევის მიზანია აგროსასურსათო სექტორის რესტრუქტურიზაციის მატერიალური-ტექნიკური ბაზის ფორმირებისა და განვითარებაზე ზემოქმედების ფაქტორებისა და კანონზომიერებების შესწავლა. თანამედროვე ეტაპის თავისებურებათა და უცხო ქვეყნის გამოცდილებათა გათვალისწინება.

დასახული მიზნის მისაღწევად ჩამოყალიბდა შემდეგი ამოცანები:

- ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის თეორეული საფუძვლების, მექანიზმების, მიზნებისა და მიმართულებების შესწავლა და განზოგადოება;
- ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებების შესწავლა და განზოგადოება;
- აგროსასურსათო სექტორის არსებული სტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მდგომარეობის შესწავლა და მათი გარდაქმნის გზების დასახვა;
- აგროსასურსათო სექტორში განხორციელებული რეფორმების შეფასება;
- უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და მეცნიერულ-ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვის ხელშემწყობი ღონისძიებების შემუშავება აგროსასურსათო სექტორის რესტრუქტურიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფორმირებისა და განვითარების მიზნით;

- ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდური საფუძვლების შემუშავება;
- აგროსასურსათო სექტორის რესტრუქტურიზაციის ეფექტიანობის ამაღლებისა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შემუშავება;

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის საგანს წარმოადგენს გარდამავალ პერიოდში აგროსასურსათო სექტორის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფორმირებისა და განვითარების ეფექტური მექანიზმების შემუშავება.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს აგროსასურსათო სექტორის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველია ეკონომიკის რესტრუქტურიზაციისა და აგროსასურსათო სექტორის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფორმირებაზე გამოქვეყნებული ნაშრომები, ქართველი და უცხოელი მეცნიერ-ეკონომისტების მოსაზრებები საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებით, საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებული კანონები და სხვა ნორმატიული აქტები.

კვლევის პროცესში გამოყენებულია სტატისტიკური დაჯგუფების გრაფიკული გამოსახვის, კომპლექსური ანალიზის, ეკონომიკურ-მათემატიკური და სხვა მეთოდები.

კვლევის სანფორმაციო ბაზას წარმოადგენს საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის, სოფლის მეურნეობისა და სურსათის, საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკური განვითარების

სამინისტროს, მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის, საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში დამუშავებული სამეცნიერო თემები, ინტერნეტ-საიტებზე განთავსებული ინფორმაცია.

კვლევის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს შემდეგში:

- შესწავლილია ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის თეორიული საფუძვლები, განხორციელების ფორმები და მიმართულებები, საზღვარგარეთის ქვეყნების მაგალითზე და შემოთავაზებულია წინადადებები საქართველოში გასატარებელი რეფორმების შესახებ;
- დადგენილია ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის ეფექტიანობაზე მოქმედი ფაქტორები და შემუშავებულია რესტრუქტურიზაციის ხარჯების ეფექტიანობის შეფასების მაჩვენებელი;
- გამოვლენილია გარდამავალი პერიოდის აგრალური სექტორის დეინდუსტრიალიზაციის გამომწვევი სპეციფიკური მიზეზები;
- შესწავლილია აგროსასურსათო სექტორის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა და შემოთავაზებულია მისი ფორმირებისა და ეფექტიანობის ამაღლების წინადადებები;
- შემუშავებულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ეფექტიანობის მაჩვენებელთა სისტემა;

კვლევის შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა. ავტორის მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგები შეიძლება გამოყენებული იქნას საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში აგროსასურსათო

სექტორის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფორმირებისა და განვითარების ძირითადი ღონისძიებების შემუშავებაში.

კვლევის შედეგებს ავტორი ფართოდ იყენებს ქ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში „სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკის" კურსის სწავლებისას.

ნაშრომის პუბლიკაცია და აპრობაცია. დისერტაციის ძირითადი შინაარსი გამოქვეყნებულია ავტორის 5 სამეცნიერო ნაშრომში. კვლევის ძირითადი შედეგები მოხსენდა ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სემინარებსა და კონფერენციებს.

სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 151 გვერდს, ნაშრომს თან ერთვის 123 დასახელების გამოყენებული ლიტერატურის სია.

თავი 1. ეკონომიკის რესტრუქტურიზაცია, როგორც მისი თვისობრივი გარდაქმნის სპეციფიკური პროცესი გარდამავალ პერიოდში

1.1. ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის ძირითადი წანამძღვრები და მიზნები

გარდამავალი ეკონომიკის ეტაპზე ოსტსოციალისტურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში ეკონომიკის რესტრუქტურიაცია დაკავშირებულია ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკური სისტემის დემონტაჟისა და საბაზრო-კონკურენციული ეკონომიკური სისტემის ფორმირების პროცესთან.

გარდამავალ ეკონომიკა, გამოირჩევა მაკროეკონომიკური არასტაბი-ლურობის მაღალი დონით და სოციალური პრობლემების გამწვავებით, რაც ართულებს სტაბილიზაციის პოლიტიკის შემუშავებას. წონასწორობის არარსებობაზე მიუთითებს: ფასების მნიშვნელოვანი ნაწილის დამახინჯება; ეროვნული მეურნეობის დარგებსა და სექტორებს შორის ფინანსური დისპროპორციების არსებობა; ათეულობით წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული სამეურნეო კავშირების რღვევა და ახალი პარტნიორების მოძიების გაჭინაურება; საბაზრო ინსტიტუტების განუვითარებლობა და შესაბამისად ინსტიტუციური ვაკუუმის წარმოშობა.

ასეთ პირობებში გარდამავალი ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოად-გენს ბაზარზე ორიენტირებული რეფორმების განხორციელება და საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი სამეურნეო წესრიგის დამყარება. უცილებელია რაც შეიძლება სწრაფად შეიქმნას საბაზრო ეკონომიკის “კარკასი” ანუ სათანადო

ინსტიტუტები და სტრუქტურები, რომლებიც მაკრო და მიკრო დონეზე უზრუნველყოფენ ახლად ფორმირებადი სისტემის მდგრადობას.

მაშასადამე, გარდამავალ ეკონომიკას გააჩნია ცვლადი ხასიათი, მის არს გამოხატავს არა ეკონომიკური პოლიტიკისა და მეურნეობრიობის მეთოდების რეფორმირება, არამედ სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ტრანსფორმაცია. პრაქტიკულად იცვლება ეკონომიკის ყველა ელემენტი: ეკონომიკური პროცესების კორდინაციის, მ.შ. რესურსების განაწილების წესი; საკუთრებითი ურთიერთობები, მოტივაცია; კვლავწარმოების ტიპი; ეკონომიკური განვითარების მიზნები და საშუალებები; ინსტიტუტები და სამართალი,(89) ანუ გარდამავალი ეკონომიკის საფეხურზე ფორმირდება საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუციური საფუძვლები, ხორციელდება სათანადო სტრუქტურული გარდაქმნები, რაც მდგრადი და უსაფრთხო განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

ეკონომიკის ტრანსფორმაცია მოიცავს ეკონომიკის ყველა შემადგენელი ელემენტის – მწარმოებლური ძალების, ეკონომიკური ურთიერთობების, ეკონომიკური ზედნაშენის გარდაქმნას რევოლუცი-ური და ევოლუციური გზით. იგი პროცესია, რომელიც მუდმივ ცვლილებას, გარდაქმნებს გულისხმობს, რომლის საბოლოო შედეგია ეკონომიკურ საქმიანობაზე ბიუროკრატიული კონტროლის მინიმიზაცია, კონკრეტული საბაზრო ურთიერთობების, ადამიანის ეკონომიკური თავისუფლების, ქცევის ახალი მოტივების დამკვიდრება, წარმოების ტექნოლოგიების, მენეჯმენტის სრულყოფა,

მაღალი ცხოვრების დონისა და ხარისხის უზრუნველყოფა.(7) ამასთან, ეკონომიკის ტრანსფორმაცია ლიბერალიზაციის, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და მიკროეკონომიკური რესტრუქტურიზაციის ერთიანი პროცესია, რომლის მიზანია საბაზრო-კონკურენციული ურთიერთობისა და კონკურენტუნარიანი ეროვნული მეურნეობის ჩამოყალიბება.

ეკონომიკის ტრანსფორმაციის აღნიშნულ მიმართულებებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკის რესტრუქტურიზაცია, რომელიც გულისხმობს სისტემური ცვლილებების განხორციელებას, ანუ იგი მოიცავს მწარმოებლური ძალების, ეკონომიკური ურთიერთობებისა და ინსტიტუციური მოწყობის გარდაქმნასა და სტრუქტურულ სრულყოფას. ე.ი ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის არსი მდგომარეობს–არაეფექტიანი და არარაციონალური საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემის ხარისხობრივ და თვისობრივ გარდაქმნაში(ევოლუციური და რევოლუციური მეთოდებით) და ახალი პროგრესული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფორმირებაში.

საქართველოში ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის ძირითადი წანამძღვრების განხილვისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ რეფორმამდელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებებს ძირითადად განსაზღვრავდა ყოფილი საბჭოთა კავშირის განვითარების ტენდენციები, რომლის შემადგენლობაში საქართველო იმყოფებოდა თითქმის 70 წლის განმავლობაში. შესაბამისად, ჩვენმა ქვეყანამ თავის თავზე გამოცადა გეგმურ-

ცენტრალიზებული ეკონომიკური სისტემისათვის დამახასიათებელი მანკიერებანი.

საბჭოთა სახელმწიფო, იდეოლოგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე, უგულველყოფდა ეკონომიკის ეფექტური განვითარებისათვის აუცილებელ საბაზრო ინსტიტუტებს – თავისუფალ ფასებსა და კონკურენციას; მკვეთრად დამახინჯებული

რესტრუქტურიზაციის კლასიფიკაცია



სახე შეიძინა კერძო საკუთრების ინსტიტუტმაც, რაც ერთობლიობაში გამორიცხავდა ეკონომიკის საბაზრო კოორდინაციის სისტემის არსებობას. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო კოორდინაციის სისტემა კი მთლიანად ემყარებოდა რესურსების მობილიზებისა და განაწილების, აგრეთვე წარმოებული პროდუქციისა და გამომუშავებული შემოსავლების განაწილებისა და გადანაწილების მკაცრად ცენტრალიზებულ დაგეგმვას და პრაქტიკულად გამორიცხავდა სახელმწიფო რეგულირების სტიმულებისა და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებას. ასეთი ვითარება, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეული იყო "სოციალისტურად აღიარებული საბჭოთა სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფუძემდებლური პრინციპების ერთხელ და სამუდამოდ ცალმხრივი თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომით განსაზღვრით, რომლის თანახმადაც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ცენტრალიზებული დაგეგმვა აღიარებულ იქნა ეროვნულ მეურნეობაში მიმდინარე პროცესების მართვის უნივერსალურ საშუალებად. აღნიშ-ნულთან ერთად ეკონომიკურ თეორიაში ფართო მასშტაბები შეიძინა წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრების მნიშვნელობის უკიდურესად გადაჭარბებულმა შეფასებამ. "სამწუხაროდ, იდეოლოგიური და პოლიტიკური დოგმები მაღლა დადგა განვითარების ეკონომიკურ მიზანშეწონილობაზე. სწორედ ამან მნიშვნელოვნად განაპირობა საბჭოთა ეკონომიკის შედარებით დაბალი ეფექტიანობა"(60. გვ.80).

ეკონომიკაზე პოლიტიკის ლენინური პრიმატის სახელმწიფო იდეოლოგიის ფუძემდებლური პრინციპის რანგში აყვანამ მნიშვნელოვან-წილად განაპირობა ის, რომ საბჭოთა კავშირში ეკონომიკის მართვის გეგმურ-ცენტრალიზებულმა ხასიათმა შეიძინა აშკარა, უკიდურესი გამოვლინება. ცენტრალიზებული დაგეგმვის სისტემის ფორმირების საწყისი ეტაპიდანვე წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება კანონგარეშედ გამოცხადდა. ყველა ძირითადი საწარმოო ფონდები ნაციონალიზებულ იქნა, ხოლო სოფლის მეურნეობაში განხორციელდა მასიური კოლექტივიზაცია.

პოლიტიკურ-იდეოლოგიური დოგმებისადმი მმართველი კომუნისტური პარტიის ნომენკლატურის მხრიდან ბრმა ერთგულების შედეგად, საბჭოთა კავშირში 20-იანი წლების ბოლოდან და 30-იანი წლების დასაწყისიდან შექმნილ მბრძანებლურ ეკონომიკურ სისტემას 80-იანი წლების მეორე ნახევრამდე პრაქტიკულად არანაირი ცვლილიბები არ განუცდია. აღნიშნული სისტემა საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, მ.შ. ეკონომიკურ საქმინობაში, ეყრდნობოდა ბიუროკრატიული ორგანიზაციის უპირობო ბატონობას. აშშ-ის კონგრესის სპეციალური კომისიის 1957 წლის დასკვნაში აღნიშნულია, რომ "საბჭოთა კავშირისათვის დამახასიათებელია ე.წ. მობილიზაციის ეკონომიკა, ცენტრალიზებული დაგეგმვის უპირატესობა, რომელიც ომისა და სხვა განსაკუთრებულ შემთხვევებში რესურსების სწრაფი და დიდი მოცულობით მობილიზაციისა და დასმული ამოცანის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა".(7.გვ.65) იგი შემუშავდა დაჩქარებული ინდუსტრიალიზაციის უზრუნველაყოფად. სსრკ-ის ეკონომიკასთან დაკავშირებით

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზა-ციების ექსპერტების ჯგუფის მოხსენებაში ნათქვამია, რომ აღნიშნული სისტემა ძირითადად ემყარებოდა შრომითი, მატერიალური და კაპიტალური რესურსების სწრაფ მობილიზაციას და ნაკლებ ყურადღებას ანიჭებდა მათ ეფექტურ გამოყენებას. ამასთან ინდუსტრია-ლიზაციის მაღალი ტემპების უზრუნველყოფა მოთხოვდა კაპიტალ-დაბანდებების წილის არსებით გადიდებას – სამომხმარებლო საქონლის წარმოებისა და სამომხმარებლო მოთხოვნის შესაბამისი შემცირების ხარჯზე და წარმობის ფაქტორების სოფლის მეურნეობიდან მრეწველობის სფეროში გადანაწილებას, აგრეთვე მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის ასამაღლებლად სახელმწიფოს მიერ რეპრესიული, ძალდატანებითი მეთოდების გამოყენებას.(120)

გეგმურ-ცენტრალიზებულ ეკონომიკურ სისტემაში სახელმწიფო მართვის ორგანოები – სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, დარგობრივი სამინისტროები და სხვა უწყებები, ხუთწლიანი და წლიური გეგმების საფუძველზე ახორციელებდნენ ეროვნული მეურნეობის, კერძოდ ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნების, რესურსების მობილიზებისა და განაწილების, ცალკეული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, საბოლოო მოხმარების საქონლის განაწილებისა და ეკონომიკური ზრდის ტემპების მართვას. ფასები ასრულებდა დამხმარე როლს და მათ რაიმე არსებითი მნიშვნელობა არ ენიჭებოდათ რესურსებისა და წარმოებული პროდუქციის განაწილებაში. ძალიან ხშირად, სახელმწიფო ორგანოების ვოლუნტარისტული პოლიტიკური გადაწყვეტილებების საფუძველზე, ფასები ფიქსირდებოდა დროის გრძელვადიანი პერიოდისათვის.

სოციალური პოლიტიკის ღონისძიებების სახით ფართო მოხმარების ზოგიერთ პროდუქციაზე, კერძოდ, კვების პროდუქტებზე, ტანსაცმელზე, მედიკამენტებზე და ა.შ. ფასები ხელოვნურად იყო შემცირებული წარმოების დანახარჯებთან შედარებით. ფასწარმოქმნის ასეთი მექანიზმი ვერ ასრულებდა რაიმე სასარგებლო ეკონომიკურ ფუნქციას, ვინაიდან არ ითვალისწინებდა მოთხოვნასა და რეალურ დანახარჯებს.

საბჭოთა ეკონომიკისათვის გარდა ზემოაღნიშნულისა დამახასიათებელი იყო:

1. პრიორიტეტის მინიჭება რაოდენობრივი საწარმოო მაჩვენებლების ზრდისათვის, ხოლო ეფექტიანობისა და მოგებისათვის მეორეხარისხოვანი როლის მიკუთვნება(110). მიუხედავად ამისა, ვიდრე არსებობდა მრავალი თავისუფალი რესურსი, ტრადიციული სოციალისტური ეკონომიკა მათი მობილიზების უნარის ხარჯზე დროის გრძელვადიანი პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოფდა სოციალ-ეკონომიკური განვითარების შედარებით მაღალ ტემპებს. “სოცია-ლისტურ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდა 90 %-ით განპირობებული იყო რესურსების გადიდების გავლენით”(91). რესურსების გამოყენებისადმი ასეთმა არამწარმოებლურმა დამოკიდებულებამ საბო-ლოოდ გამოიწვია დანახარჯების მკვეთრი ამაღლება და წარმოების დაბალი ეფექტიანობა, რის შედეგადაც 70-იანი წლებიდან საფუძველი ჩაეყარა შრომის ნაყოფიერების შემცირებას, პროდუქციის ხარისხის გაუარესებას და ეკონომიკური ზრდის ტემპის დაცემას.

2. სახალხო მეურნეობის, მ.შ. სამრეწველო წარმოების სტრუქტურის მკვეთრი დეფორმირება საბჭოთა ეკონომიკა ხასიათდებოდა: სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის და მძიმე მრეწველობის მაღალი ხვედრითი წილით; სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და მომსახურების სფეროს ჩამორჩენილობით; ძირითადი საწარმოო ფონდების ფიზიკური და მორალური დაძველებით; ტექნოლოგიური ჩამორჩენილობით; შრომის ფონდშეიარაღების, ელექტროშეიარაღების, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დაბალი დონით.

მოწინავე რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების არასაკმარის გავრცელებას გარკვეულწილად განაპირობებდა მომპოვებელი დარგების მაღალი ხვედრითი წილი. ამასთან სამრეწველო წარმოებაში მეტისმეტად მაღალი წილი ეკავა საზოგადოებრივი წარმოების I–ქვეჯგუფის დარგებს, რომლებსაც სამხედრო-სამრეწველო წარმოებასთან ერთად ახასიათებს მაღალი კაპიტალტევადობა, მასალატევადობა და ენერგოტევადობა, რაც წარმოადგენდა შესაბამის რესურსებზე ჭარბი მოთხოვნის ძირითად მიზეზს. შესაბამისად, საბჭოთა ეკონომიკა ხასიათდებოდა ძალიან მაღალი ლითონტევადობით, ენერგოტევადობითა და ელექტროტევადობით. მისი საბოლოო საზოგადოებრივი პროდუქტის ლითონტევადობა 1985 წ. 1,9-ჯერ უფრო მაღალი იყო, ვიდრე აშშ-ის ანალოგიური მაჩვენებელი, ენერგოტევადობა – 2,1-ჯერ, ხოლო ელექტროტევადობა 1,8-ჯერ მაღალი.(7. გვ.40)

საბჭოთა ეკონომიკისათვის "აქილევსის ქუსლს" წარმოადგენდა აგრეთვე სახალხო მეურნეობის რეგიონული სტრუქტურა, ვინაიდან

საწარმოთა გადაადგილება-მშენებლობა რეგონებში ხორციელდებოდა პოლიტიკური მოსაზრებებით და არა დანახარჯების გათვალისწინებით.

საბჭოთა ეკონომიკური სისტემისათვის დამახასიათებელი კონ-სერვატიულობის შედეგად სახალხო მეურნეობის ზემოთ დახასიათებული სტრუქტურა საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის მანძილზე პრაქტიკულად არ შეცვლილა, პირიქით ადგილი ჰქონდა მის კვლავწარმოებას სულ უფრო და უფრო მზარდ მასშტაბებში.

გაფართოებული კვლავწარმოება ხორციელდებოდა ექსტენსიური განვითარების გზით, ანუ საზოგადოებრივი რესურსების ეფექტიანობის შემცირების პირობებში. შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის ტემპის მაღალ დონეზე შენარჩუნება მოითხოვდა მთლიან ეროვნულ პროდუქტში დაგროვებაზე მიმართული რესურსების ხვედრითი წილის მუდმივ ამაღლებას. ამან გამოიწვია, რომ საბჭოთა კავშირის სამრეწველო წარმოება "მაღალი ინვესტიციების პირობებში აწარმოებდა საოცრად მცირე მოცულობის ერთობლივ ეროვნულ პროდუქტს და სამომხმარებლო საქონელს. საბჭოთა ეკონომიკაში მზა პროდუქციის ერთეულის საწარმოებლად საჭირო იყო რამდენჯერმე მეტი დანახარჯები, ვიდრე დასავლეთში" (110.გვ.61).

ვინაიდან ექსტენსიური განვითარების შესაძლებლობები შეზღუ-დულია არსებული რესურსების რაოდენობით, ამიტომ განსაზღვრული მომენტიდან ასეთი წინააღმდეგობის გადაჭრა დაიწყო სამრეწველო პოტენციალის ფიქტიური გაფართოების გზით, რაც საკუთარი თავის მოტყუებას ნიშნავდა. მორალურად და ხშირად ფიზიკურად

გაცვეთილი ძველი სიმძლავრეები შენარჩუნებულ იქნა სამეურნეო ბრუნვაში, ხოლო მათი განახლებისათვის საჭირო რესურსები წარიმართებოდა ახალი წარმოებების შესაქმნელად. ასეთი ტენდენციის შედეგად წარმოიშვა და სულ უფრო გამწვავდა სამრეწველო პოტენციალის დაბერებისა და პროდუქციის ხარისხის გაუარესების პრობლემა (95.გვ21), რამაც გამოიწვია მოსახლეობის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის ზრდა, მისი გადავადება. შესაბამისად გაიზარდა მოსახლეობის განკარგულებაში არსებული ფულადი დანაზოგები, რაც ხელს უწყობდა ჩრდილოვანი ეკონომიკის აყვავებას. ასეთ პირობებში ინფლაციის ხელოვნური მოთოკვისა და მისი მინიმალურ დონეზე შენარჩუნების ძირითად საშუალებას წარმოადგენდა ფიქსირებული ფასების არსებობა.

3. კონკურენციის პრაქტიკული არარსებობა, რაც თავის მხრივ განაპირობებდა დაბალხარისხიანი და ძვირადღირებული, საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით არაკონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას. გეგმურ-ცენტრალიზებული ეკონომიკა გამორიცხავდა საწარმოებს შორის ჯანსაღი კონკურენციის ნებისმიერ გამოვლენას.

კონკურენციის დამახინჯებულ ფორმას წარმოადგენდა საწარმოების ხელმძღვანელთა კონკურენცია ზემდგომი ორგანოების მხრიდან სიმპათიის მოპოვების, მატერიალურ-ფინანსური რესურსების მაქსიმა-ლური რაოდენობის მიღებისა და პროდუქციის გამოშვების რაოდენო-ბრივი მაჩვენებლების შემცირების მიზნით, რაც ხელს უწყობდა კორუფციისა და ფავორიტიზმის აყვავებას, საზოგადოებაში არაჯანსაღი ვითარების დამკვიდრებას.

4. ფინანსებისა და კრედიტის პასიური როლი.

ფინანსური პოლიტიკის მიზანს წარმოადგენდა გეგმურ დავალებათა შესრულების მიზნით სახელმწიფო საწარმოთა ფინანსური საშუალებებით შეუფერხებელი უზრუნველყოფა. ამიტომ ბიუჯეტიდან სახელმწიფო საწარმოთა დაფინანსებაში რაიმე განსაკუთრებული შეზღუდვები დადგენილი არ იყო. სოციალისტურ ეკონომიკაში ბიუჯეტურ პოლიტიკას ჩამოცილებული ჰქონდა ეკონომიკის განვითარების წახალისების ფუნქცია. პირიქით, ფართოდ იყო გავრცელებული გამთანაბრებლობა, ანუ მაღალრენტაბელური საწარმოე-ბიდან ამოღებული თავისუფალი სახსრების (მოგების) ხარჯზე წამგებიანი საწარმოების დაფინანსება-შენახვა.

ასევე დამოუკიდებელ აქტიურ როლს ვერ ასრულებდა საკრედიტო პოლიტიკა. საპროცენტო განაკვეთები ხელოვნურად იყო შემცირებული და საბანკო სისტემის ძირითად დანიშნულებას წარმოადგენდა საწარმოთა გეგმური დაკრედიტება. კრედიტები გაიცემოდა ყოველგვარი უზრუნველყოფისა და ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების გარეშე. არარენტაბელურ საწარმოებში გაცემული კრედიტის დაბრუნება პრაქტიკულად არ ხდებოდა, რის შედეგადაც ადგილი ჰქონდა ვალების დაგროვებასა და მათ შემდგომ ჩამოწერას. ასეთ პირობებში, რესურსების განაწილებაში საბანკო სისტემის მიერ ეფექტური პოლიტიკის გატარებაზე საუბარი ზედმეტია.

მიუხედავად ზემოთაღნიშნულისა „80-იან წლებამდე კონსერვატიული ბიუჯეტურ-საგადასახადო და საკრედიტო პოლიტიკა და საწარმო-ების დანახარჯებისადმი ადმინისტრაციული კონტროლი

ხელს უშლიდა სერიოზული მაკროეკონომიკური პრობლემების წარმოშობას” (120.გვ75.).

კაპიტალისტურ ქვეყნებში „დიდი დეპრესიისა” და სხვა კრიზისული მოვლენების ფონზე, საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბებული მეურნეობრიობის ზემოთაღნიშნული მოდელი 30-იანი წლების ინდუსტრიული განვითარებისა და მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში უზრუნველყოფდა ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს. 70-იანი წლების დასაწყისიდან კი „ამოიწურა შრომითი და ინვესტიციური რესურსების უწყვეტი და სწრაფი მობილიზაციის შესაძლებლობები”[2]. ამავე დროს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აღნიშნული მოდელი შეუთავსებელი იყო მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მოთხოვნებთან; მისთვის დამახასიათებელი იყო მოუქნელობა და თვითგანვითარების შინაგანი იმპულსის უქონლობა. იგი ხელს უწყობდა წარმოების არსებული სტრუქტურის განმტკიცებას და შესაბამისად, არსებული დისპროპორციის გაღრმავებას; წარმოების განვითარებას განაპირობებდა წარმოების გულისთვის (82.გვ40-44); წარმოშობდა მიმწოდებლის მონოპოლიურ დიქტატს; რესურსებისა და გამოშვებული პროდუქციის ცენტრალიზებული განაწილების შედეგად ახშობდა საწარმოთა ინიციატივას და პრაქტიკულად გამორიცხავდა სამეწარმეო ფუნქციას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, ეკონომიკური განვითარების საბჭოთა მოდელმა 70-იანი წლების დასაწყისიდან პრაქტიკულად ამოწურა თვითგანვითარების შესაძლებლობები. „ასეთ პირობებში სისტემის კონსერვატიულობა ხელს უშლიდა შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, რომელიც აუცილებელი იყო ეკონომიკური

ზრდის ტემპის სათანადო დონეზე შესანარჩუნებლად. მის შედეგად ეკომონიკური ზრდის ტემპმა დაიწყო მყარი შემცირება”(120.გვ80.), რაც აისახა იფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებში (იხ. ცხრ. 1.).

საბჭოთა კავშირში და მთლიანად მთელ სოციალისტურ ბანაკში წარმოების ეფექტიანობის დაცემისა და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის გაღრმავების ფონზე, მსოფლიოს წამყვან ინდუსტრიულ ქვეყნებში საფუძველი ჩაეყარა ახალი ტიპის საზოგადოებრივი სისტემის, ახალ პოსტინდუსტრიული ცივილიზაციის ფორმირებას. პოსტინდუსტრიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელია წარმოების ახალ ტექნოლოგიურ საფუძველზე და ეკონომიკური ზრდის ახალ ტიპზე გადასვლა, რომელშიც ეკონომიკური ზრდის ძირითად ფაქტორს წარმოადგენს ინფორმაცია, მეცნიერება და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი. „ამან მძლავრი იმპულსი მისცა ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნას: მეცნიერებატევადი დარგების, უახლესი ტექნოლოგიებისა და მომსახურების სფეროს განვითრებას; ეკონომიკის ღრმა კრიზისში მყოფი ტრადიციული საბაზო დარგების რეორგანიზაციას”(82.გვ.32).

ცხრ. 1.1.1. საბჭოთა კავშირის მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

	1966-1970 წწ.	1971-1975 წწ.	1976-1980წწ.	1981-1985 წწ.	1986-1989წწ.	1986 წ	1987 წ	1988წ	1989წ	1990წ
1.ეროვნული შემოსავალი	7.8	5.7	4.3	3.2	2.7	2.3	1.6	4.4	2.5	- 4.0
მ.შ.:										
–მრეწველობა	–	–	5.1	3.9	4.2	5.5	4.6	6.3	0.4	–
–სოფლის										

მეურნეობა	–	–	-	1.0	2.4	7.1	- 1.4	2.5	1.7	–
–მშენებლობა	–	–	0.2	3.2	6.6	12.1	5.5	7.6	1.6	–
–ტრანსპორტი			3.1							
და	–	–		2.9	0.8	4.2	0.3	5.8	- 6.5	–
კავშირგაბმულ			3.8							
ობა	–	–		2.9	3.4	1.9	2.7	3.9	5.3	3.0
2.ინდივიდუალუ			4.2							
რი მოხმარება				-	- 1.1	4.9	5.7	- 7.4	- 6.7	- 20.0
3.წმინდა			2.6	1.7						
კაპიტალდაბან-										
დება										

1966-1990წწ (საშუალო წლიური ტემპი, %-ში) (7.გვ.54).

ეკონომიკური ზრდის ახალი ტიპის პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეკოლოგიური წონასწორობის უზრუნველყოფა. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარიდან სულ უფრო მზარდ მასშტაბებს იძენს ადამიანის ზემოქმედება ბუნების, მისი ეკოლოგიური სისტემის ცალკეულ კომპონენტებზე, რაც გამოიხატება ნიადაგის გამოფიტვა-დეგრაგაციაში, ატმოსფეროს, ჰიდროსფეროსა და ლითოსფეროს ზედა ფენების გაჭუჭყიანებაში, მტკნარი წყლების დაბინძურებასა და დეფიციტში, საარსებოდ აუცილებელ ბიოლოგიურ კომპონენტთა დიდი ნაწილის შემცირებასა და ადამიანის გარემომცველი საცხოვრებელი გარემოს გაუარესებაში. შესაბამისად, ახალი პოსტინდუსტრიული საზოგადოება არ იფარგლება ბუნების დაცვის მხოლოდ ფიზიკური და ბიოლოგიური ასპექტებით, არამედ პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის მიერ შექმნილ სოციალურ, ეკონომიკურ და ტექნიკურ ასპექტებს. ამრიგად, ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენა-შენარჩუნება წარმოადგენს მრავალწახნაგოვან პრობლემას, რომლის წარმატებით გადაჭრა შეუძლებელია სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გაუთვალისწინებლად.

ეკოლოგიური წონასწორობის პირობებში ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის უზრუნველსაყოფად პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება

რესურსდამზოგავი უნარჩენო ტექნოლოგიების დანერგვას, ბუნებრივი და საწარმოო პროცესების ჰარმონიულ შეხამებას და ა.შ. აღნიშნული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ინდუსტრიული ქვეყნების მთლიან ეროვნულ პროდუქტში მატერიალური წარმოების წილის შემცირება, მისი აბსოლუტური მოცულობის განუხრელი ზრდისა და ამ სფეროში დასაქმებულთა წილის შემცირების პირობებში. ფრო მეტიც „80-იანიწლებიდან შეინიშნება მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმე-ბულთა აბსოლიტური რაოდენობის შემცირებაც, რასაც თან ახლავს შრომის ნაყოფიერების საკმაოდ სწრაფი ამაღლება“(82.გვ.7). დასავლეთის ქვეყნების უმრავლესობაში, აგრეთვე ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში (ტაივანი, სამხრეთ კორეა, ჰონკონგი, სინგაპური და ა.შ.) ბოლო ათწლეულებში, სწორედ შრომის ნაყოფიერების ამაღლება განაპირობებდა მთლიანი ეროვნული პროდუქტის, მ. შ. მატერიალური წარმოების ზრდას. აღნიშნულ ქვეყნებში ჩამოყალიბებული საქმიანი ატმოსფერო განაპირობებდა ტექნოლოგიურ ეკონომიკურ ზრდას, ანუ ადამიანების დაინტერესებას პროდუქციის წარმოების ახალი და უფრო ეფექტური წესის შემუშავებაში.

ახალი პოსტინდუსტრიული საზოგადოების ეფექტური ფუნქციო-ნირება წარმოუდგენელია ეკონომიკის ჰუმანიზაციისა და სოციალი-ზაციის გარეშე, ანუ მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისა და მათი მოთხოვნილებების მაქსიმალური დაყმაყოფილების გარეშე.

კონომიკისა და საზოგადოების ჰუმანიზაციამ ახალი მოთხოვნები წაუყენა მეურნეობის სტრუქტურას, ეკონომიკურ, სოციალურ და პოლი-ტიკურ ინსტიტუტებს. სულ უფრო და უფრო მეტი საშუალებები იხარ-ჯება ადამიანური პოტენციალისა და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. ადამიანურ კაპიტალში დაბანდებათა მოცულობა იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე

კაპიტალდაბანდებანი სიმდიდრის მატერიალურ-ნივთობრივ ელემენტებში(7.გვ.7).

სოციალისტურმა გეგმურ-ცენტრალიზებულმა ეკონომიკურმა სისტემამ, განვითარების ინერციულ-ექსტენსიური ხასიათისა და მძიმე მრეწველობაზე და სამხედრო წარმოებაზე ცალმხრივი ორიენტაციის შედეგად, ვერ მოახერხა მსოფლიოში მიმდინარე ზემოაღნიშნულ ტენდენციებთან ადაპტირება. უფრო მეტიც მბრძანებლური ეკონომიკა იქცა უახლესი ტექნოლოგიების, განსაკუთრებით კი ინფორმაციული ტექნოლოგიების გავრცელების შემაფერხებელ სისტემად, ვინაიდან ასეთი ტექნოლოგიების გარცელება „ინფორმაციის თავისუფალ გადაადგილებას, საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციას, უმუშევრობის დაშვებას საჭიროებს“(7.გვ.69), რაც გამორიცხულია ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში. ამიტომ საბჭოთა კავშირმა და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებმა, 70-იანი წლების ბოლოდან და 80-იანი წლების დასაწყისიდან, მნიშვნელოვნად დათმეს პოზიციები მსოფლიოს წამყვან ინდუსტრიულ ქვეყნებთან ეკონომიკურ შეჯიბრში, რამაც გამოიწვია მათი ავტორიტეტის დაცემა მსოფლიო არენაზე და საფუძველი ჩაუყარა აღნიშნული ბანაკის სამხედრო-პოლიტიკური ძლიერების შესუსტებას.

კომუნისტურ ქვეყნებში შინაგანი და გარეშე ობიექტური მიზეზებით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის აღმოფხვრა მოითხოვდა სოციალისტური მენტალიტეტის დაძლევას, ეკონომიკური აზროვნების ტრანფორმაციას და არსებული ეკონომიკური სისტემის ფუნდამენტურ გარდაქმნას. 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან საბჭოთა კავშირის მთავრობამ, არსებული სიტუაციის კრიტიკული გაცნობიე-რების საფუძველზე, დაიწყო ეკონომიკის გამოცოცხლების არატრადიცი-ული ღონისძიებების

გატარება, ანუ საბაზრო ეკონომიკისათვის დამახა-სიათებელი სტიმულებისა და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება.

ეკონომიკური რეფორმების გზაზე პირველ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა კანონი სახელმწიფო საწარმოთა შესახებ, რომელიც მოტივაციის ამაღლების მიზნით შრომით კოლექტივებს ანიჭებდა გარკვეულ თავისუფლებას სამეურნეო-საწარმოო საქმიანობის სფეროში. პროდუქციის გამოშვების გეგმური მაჩვენებლები შეცვლილ იქნა სახელმწიფო შეკვეთებით. ამასთან საწარმოებმა სახელმწიფო შეკვეთების შესრულების შემთხვევაში მოიპოვეს დამატებითი წარმოებული ახალი პროდუქციის სახელშეკრულებო ფასებით რეალიზაციის უფლება. საწარმოებმა აგრეთვე მიიღეს ხელფასის დონის განსაზღვრის, მოგების განაწილების, ინვესტიციური პროექტების განხორციელებისა და უცხოური კრედიტების მოზიდვის უფლება.

გეგმურ-ცენტრალიზირებული ეკონომიკური სისტემის დემონტაჟის თვალსაზრისით მეორე მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენდა საგარეო ვაჭრობაზე სახელმწიფო მონოპოლიის გაუქმება და საგარეო ვაჭრობის დეცენტრალიზაცია. ამასთან საწარმოებმა მიიღეს სავალუტო რესურსების ფლობის უფლება. ჩამოყალიბდა ორდონიანი საბანკო სისტემა და ა.შ.

აღნიშნულმა ღონისძიებებმა სათანადო სამართლებრივი ბაზის, საბაზრო ინფრასტრუქტურისა და თავისუფალი ფასების არარსებობის პირობებში (1988-91 წლებში სახელმწიფო ორგანოები მკაცრ ცონტროლს უწევდნენ სახელშეკრულებო ფასებსაც) ვერ უზრუნველყვეს წარმოების ეფექტიანობის ამაღლება. მნიშვნელოვან პრობლემად იქცა შრომის ანაზღაურების ფონდის მკვეთრი ამაღლება, რომლის შედეგადაც ქვეყანაში საშუალო ხელფასის ზრდის ტემპი 1987-89 წლებში დაახლოებით 3-ჯერ აღემატებოდა ეროვნული

შემოსავლის ზრდის ტემპს, ხოლო 1990-91 წლებში აღინიშნა მოსახლეობის განკარგულებაში მიღებული შემოსავლების არსებითი ზრდა ეროვნული შემოსავლის შემცირების პირობებში (იხ. ცხ.2)

ცხრ. 1.1.2. ხელფასისა და ეროვნული შემოსავლის ყოველწლიური ზრდის ტემპი სსრკ-ში 1986–91 წ.წ. %-ში.

წლები	საშუალო ხელფასი ქვეყანაში	ეროვნული შემოსავალი
1986	2,9	2,3
1987	3,7	1,6
1988	8,3	4,4
1989	9,4	2,5
1990	14,2	- 4,0
1991	70,0	- 15,0

წყარო: საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობა 1990წ., გვ. 7; 36., [18, გვ. 69].

ფიქსირებული ფასების პირობებში მოსახლეობის შემოსავლების ზრდამ გამოიწვია სასაქონლო დეფიციტი და მოსახლეობის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნების გადიდება. „მარტო 1990 წელს დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის მატებამ 68 მილიარდი მანეთი შეადგინა“(7.გვ.77), რამაც გამოიწვია მოსახლეობის დანაზოგების არსებითი გადიდება. მნიშვნელოვანმა ფულადმა მასამ თავი მოიყარა საწარმოთა ანგარიშებზეც, რაც გამოწვეული იყო საწარმოებისათვის ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შემდეგ დარჩენილი სახსრების თავისუფლად განკარგვის უფლების მინიჭებით.

მოსახლეობისა და საწარმოების ფულადი შემოსავლების არა-კონტროლირებადი გადიდების შედეგად, მათ განკარგულებაში თავი მოიყარა „ზედმეტი ფულის“ მნიშვნელოვანმა მოცულობამ, რომელიც 1990 წლისთვის შეადგენდა დაახლოებით 250 მილიარდ მანეთს, რაც იწვევდა ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის აყვავებას და წარმოადგენდა ფარული ინფლაციის ძირითად წყაროს.

ფიქსირებული ფასების პირობებში ხელფასის ზრდამ და საწარმოთა განკარგულებაში მოგების ნაწილის დატოვებამ, გამოიწვია საწარმოების ხარჯზე ბიუჯეტში მობილიზებული შემოსავლების

შემცირება, მაშინ როდესაც ბიუჯეტის დანახარჯები პრაქტიკულად უცვლელი დარჩა (იხ. ცხრ. 1.1.3)

ცხრ. 1.1.3. სსრკ ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები (%-ი მეპ-ის მიმართ) (120.გვ.13)

	1985	1986	1987	1988	1989	1990
1.შემოსავლები	47,3	45,8	43,6	41,7	41,0	42,8
2.ხარჯები	49,7	52,0	52,0	51,0	49,5	50,6

ფინანსური კრიზისის გაძლიერების მიუხედავად გრძელდებოდა სახელმწიფო საწარმოთა სუბსიდირება და შედავათიანი კრედიტებით დაფინანსება, სოციალური დახმარებების გადიდება. მასთან გაუარესდა საგარეო ვაჭრობის პირობები. სოციალისტური სისტემის ქვეყნებს შორის არსებული კავშირურთიერთობების რღვევამ უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა აღნიშნული ქვეყნების, მ. შ. საბჭოთა კავშირის ექსპორტის მოცულობაზე, მაშინ როდესაც მსოფლიოს სხვა ქვეყნებიდან გაიზარდა სამომხმარებლო საქონლების იმპორტი. ამან თავის მხრივ გააღრმავა ბიუჯეტის დაუბალანსებლობა.

ქვეყანაში მიმდინარე უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის ფონზე გაძლიერდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რამაც გამოიწვია ქვეყანაში არსებული საქმიანი რიტმისა და ტრანსპორტის მუშაობის მოშლა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად საბჭოთა კავშირი 1991 წლის ბოლოსათვის აღმოჩნდა სრული პოლიტიკური, ეკონომიკური და ფინანსური კრახის წინაშე: ბიუჯეტის დეფიციტმა 25%-ს გადააჭარბა; მკვეთრად ამაღლდა ფარული და ღია ინფლაციის დონე; თავი იჩინა სამომხმარებლო საქონლის არნახულმა დეფიციტმა, რამაც გამოიწვია გრძელი რიგების გაჩენა მაღაზიებთან და საბარათო სისტემაზე გადასვლა. მოკავშირე რესპუბლიკებს

შორის ფაქტიურად მოიშალა ათეულობით წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული კავშირურთიერთობები, რასაც 1991 წლის დეკემბერში სსრკ დაშლის გამოცხადება მოჰყვა.

ამრიგად, 1988-91 წლებში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები, რომლის არსიც მდგომარეობდა გეგმური ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ცენტრალიზებული მართვის შენარჩუნების (ფასებისა და ნაწილობრივ რესურსების განაწილების სფეროში) პირობებში საბაზრო ეკონომიკის სტიმულებისა და მექანიზმების ნაწილობრივ და არათანმიმდევრულ გამოყენებაში, საკმარისი არ აღმოჩნდა წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად.

სახელმწიფომ, მიუხედავად დიდი მცდელობისა, თანდათანობით დაკარგა კონტროლი რესურსების ნაკადებზე. წარმოიშვა ინსტიტუციური ვაკუუმი, ანუ რესურსების ადმინსტრაციული განაწილება მოიშალა ალტერნატიული საბაზრო მექანიზმებისა და ინსტიტუტების არარსებობის პირობებში. ამას შედეგად მოჰყვა საწარმოთა მიერ მატერიალური რესურსების დაგროვება, ეკონომიკური აქტიურობის დაცემა, ქაოსური და უმართავი პროცესების განვითარება (91.გვ.12).

საყოველთაო კრიზისის დაძლევის საჭიროებამ დღის წესრიგში დააყენა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობა, ვინაიდან როგორც ისტორიულმა გამოცდილებამ აჩვენა „საბაზრო პრინციპებზე ორგანიზებული ეკონომიკა უზრუნველყოფს წარმოების ეფექტიანობის უფრო მაღალ დონეს და აწარმოებს უფრო მეტ ფასეულობებს, ვიდრე ეკონომიკა რომელიც ორგანიზებულია არასაბაზრო პრინციპებით“(88.გვ.7). შესაბამისად, ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა და აღმოსავლეთ ევროპის ყვეყნებმა (აქ ეს პროცესი საბჭოთა კავშირის დაშლამდე 2-3 წლით ადრე დაიწყო) გამოაცხადეს საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი

პერიოდი და დაიწყეს საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და საბაზრო მექანიზმების გამოყენება. პირველ რიგში, განხორციელდა ფასების ლიბერალიზაცია და კონკურენციული ურთიერთობების გაღრმავება. დაიწყო საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო სისტემის გარდაქმნა საბაზრო ურთიერთობების მოთხოვნის გათვალისწინებით. ცხადია, რომ საბჭოთა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას განსაზღვრავდა საბჭოთა კავშირისათვის დამახასიათებელი სოციალურ-ეკონომიკური ტენ-დენციები. „შესაბამისად საქართველოს სახალხო მეურნეობას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მთლიანად საბჭოთა კავშირისათვის დამახასიათებელმა მოვლენებმა: ეკონომიკის უზომო მილიტა-რიზაციამ, ცენტრალიზაციამ, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის და სამხედრო-პოლიტიკური მიზნების პრიორიტეტუ-ლობამ, ეკონო-მიკის ობიექტურ კანონთან იგნორირებამ, ტოტალური ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდების პირობებში სახელმწიფო ხელისუფლების უხეშმა შეცდომებმა და ვოლუტარისტულმა გადაწყვეტილებებმა”(38.გვ.42-43.გვ.123-124). ცენტრის პოლიტიკური ინტერესებიდან და იდეოლოგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკა მჭიდროდ იყო ინტეგრირებული ყოფილი საბჭოთა რესბუბლიკების, განსაკუთრებით კი რუსეთის ეკონომიკასთან და ხასიათდებოდა უკიდურესი სპეციალიზაციით. შრომის საკავშირო დანაწილების შედეგად, რომელიც ხორციელდებოდა ერთიანი ცენტრალიზებული გეგმის შესაბამისად, საქართველოში ჩამოყალიბდა ეკონომიკის არარაციონალური დარგობრივი სტრუქტურა. ცალკეული დარგების მეტისმეტი სპეციალიზაცია და საგარეო ბაზარზე (ე.წ. საერთო-საკავშირო მოთხოვნილებებზე) ორიენტაცია, „ნაკარნახევი იყო ე.წ. საერთო საკავშირო ინტერესების პრიორიტეტულობით და

წარმოების სახალხო მეურნეობრივი ეფექტიანობის კრიტერიუმის დომინირებით, რაც ზღუდავდა საქართველოს ინტერესებს”(38.გვ.42-43.გვ.123-124). განსაკუთრებით საშიში ხასიათი შეიძინა ისეთი დარგებისა და საწარმოების დაარსება-განვითარებამ, რომლებიც ერთმანეთთან სუსტად იყვნენ დაკავშირებულნი, რის გამოც ქვეყანაში ვერ ჩამოყალიბდა კვლავწარმოების მთლიანი, ურთიერთდაკავშირე-ბული სისტემა. პროფ. გ. წერეთლის თანახმად საქართველოს რეგიონები და ეკონომიკური სუბიექტები სამეურნეო თვალსაზრისით უფრო მჭიდროდ დაკავშირებულნი აღმოჩნდნენ ზოგიერთ სხვა ქვეყნის ტერიტორიასთან და სამეურნეო სუბიექტებთან, ვიდრე ერთმანეთთან. ასეთი დეფორმირებული და ცალსახა სტრუქტურის შედეგად საქართველოს ეკონომიკა გარე ფაქტორებზე მკვეთრად დამოკიდებული აღმოჩნდა(59.გვ34-35). ამის შედეგად, საბჭოთა კავშირში 80-იანი წლების ბოლოსათვის და 90-იანი წლების დასაწყისში მიმდინარე პროცესებმა, საქართველოში შეიძინეს მეტი სიმწვავე. საქართველოს მხრიდან პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოთხოვნის გაძლიერებასთან ერთად, საბჭოთა კავშირის მთავრობამ თავის მხრივ გააძლიერა ეკონომიკური და პოლიტიკური ზეწოლა.

საქართველოს სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი „ვიწრო” ადგილს წარმოადგენდა ენერგეტიკული უზრუნველყოფის სისტემის სათანადო დონეზე განუვითარებლობა, სათბობ-ენერგეტიკული რესურსებითა და ნედლეულით მომარაგების სფეროში მოკავშირე რესპუბლიკებზე, უპირველეს ყოვლისა კი რუსეთზე დამოკიდებულება, რაც საკავშირო მთავრობას და მის მთავარ სუბიექტს რუსეთს, საქართველოზე ზემოქმედების მნიშვნელოვან შესაძლებლობას აძლევდა. რუსეთის მხრიდან გამოცხადებულმა ეკონომიკურმა ბლოკადამ გამოიწვია პრობლემები ეროვნულ

მეურნეობის ნორმალური ფუქციონირებისათვის აუცლებელი სათბობ-ენერგეტიკული რესურსების, ნედლეულისა და საქონლის შემოზიდვის სფეროში, აგრეთვე ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის რეალიზაციაში. ასევე წარმოიშვა სიძნელეები ქვეყნის ფულადი რესურსებით მომარაგებაში. განსაკუთრებული საშიში ხასიათი შეიძინა ინფლაციამ. ამავე დროს სახვადასხვა სახის ობიექტურმა და სუბიექტურმა სიძნელეებმა, მათ შორის პოლიტიკური და კრიმინოგენური ვითარების გამწვავებამ, ათწლეულებების განმავლობაში ჩამოყალიბებული ტრადიციული სამეურნეო კავშირების რღვევამ გამოიწვია წარმოების მოცულობის მკვეთრი დაცემა და საგადასახადო დისციპლინის მოშლა. пф

მოვლენების ასეთი განვითარება ეკონომიკური კრიზისის შემდგომი გაღრმავებისა და ეკონომიკური აქტივობის დაცემის ერთერთი ძირითადი მიზეზი გახდა. სოციალურ- ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესებისა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან ადაპტირების აუცილებლობამ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში მოითხოვა რევოლუციური ცვლილებების განხორციელება.

ამგვარად, ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში, მ.შ. საქართველოში, საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების გათვალის-წინებით, მაკროეკონომიკური რესტრუქტურიზაციის, ანუ ეროვნულ მეურნეობაში ჩამოყალიბებული სტრუქტურის, ეკონომიკური ურთიერთობების, ინსტიტუციური უზრუნველყოფის სისტემისა და სამართლებრივი ბაზის სისტემური გარდაქმნებისა და სრულყოფის აუცილებლობა განაპირობა შიგა და გარეშე ობიექტურმა მიზეზებმა. შინაგანი ობიექტური მიზეზია გეგმურ-ცენტრალიზებული ეკონომიკური სისტემისათვის დამახასიათებელი შინაგანი წინააღმდეგობების უკიდურესი გამწვავება, რამაც

გამოიწვია: წარმოების ეფექტიანობისა და შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლურობის დაცემა; ეკონომიკური ზრდის ტემპის მკვეთრი შემცირება, 80-იანი წლების დასაწყისიდან მისი პრაქტიკული შეწყვეტა და მთლიანი ეროვნული პროდუქტის აბსოლიტური მოცულობის შემცირება; მოსახლეობის ცხოვრების პირობების არსებითი გაუარესება. გარეშე ობიექტური მიზეზია საერთაშორისო მასშტაბის სოციალურ-ეკონომიკური ტენდენციები, კერძოდ ახალი პოსტინდუსტრიული ცივლიზაციის ჩამოყალიბებისა და გლობალიზაციის პროცესები. შესაბამისად საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ეკონომიკის რესტრუქტირიზაციის ძირითადი მიზნებია:

1) სოციალისტური ეკონომიკური სისტემის დემონტაჟი და მაღალგანვითარებული საბაზრო-ეკონომიკური სისტემის ფორმირე-ბა, ანუ ისეთ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლა, სადაც რესურსებისა და პროდუქციის განაწილება განხორციელდება საბაზრო მექანიზმის მოთხოვნისა და მიწოდების ძალებით;

2). სახელმწიფო რეგულირებისა და საბაზრო კოორდინაციის ისეთი სტრუქტურების ფორმირება, რომლებიც უზუნველყოფენ ეროვნული მეურნეობის ნორმალურ ფუნქციონირებას;

3). კვლავწარმოების ისეთი მთლიანი სისტემის შექმნა, რომელიც გააერთიანებს ურთიერთშორის მჭიდროდ დაკავშირებულ საწარმოებსა და რეგიონებს, რაც შეარბილებს გარეშე ფაქტორების უარყოფით ზემოქმედებას;

4). ეროვნული მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლება:

ა) სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლება;

ბ) რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება;

გ) შრომის ნაყოფიერების ზრდა;

დ) პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება;

5). უმუშევრობის შემცირება;

6). მდგრადი ეკონომიკური ზრდისათვის კეთილსასურველ გარემოს შექმნა და სწრაფი ეკონომიკური ზრდის წახალისება;

7). ინვესტიციური აქტიობის ამაღლება;

8). ინოვაციური სფეროს განვითარება და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უახლესი მიღწევების წარმოების პროცესში დანერგვა, მ.შ. ინფორმაციული ტექნოლოგიების ათვისება;

9). სოციალური სფეროს ინფრასტრუქტურის განვითარება;

10). მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

1.2 ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის უმთავრესი მიმართულებები

ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის ძირითად მიმართულებებს, მათ პრიორეტეტულობას და მიღწეული შედეგების ეფექტიანობის მნიშვნელო-ვანწილად განსაზღვრავს ეკონომიკური ტრანსფორმაციის კონკრეტული კონცეფციის გამოყენება. არსებობს ადმინსტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგი ალტერნატიული დოქტორინები: უმოკლეს ვადებში რადიკალური ტრანსფორმაციის, ანუ "შოკური თერაპიის" კონცეფცია; თანდათანობით, ევოლუციური გარდაქმნების, ანუ "გრადუალიზმის" კონცეფცია; შერეული, "ჰეტეროდოქსული" ტრანსფორმაციის კონცეფცია და სტანდარტული კონცეფციების ინსტიტუციური კრიტიკა.

"შოკური თერაპიის" კონცეფცია ყურადღებას ძირითადად ამახვილებს ტრანსფორმაციული პროცესის საბოლოო შედეგებზე. კონცეფციის სტრატეგიული მიზანია ეროვნული მეურნეობის გეგმურ-

ცენტრალიზებული მართვის სწრაფი შეცვლა საბაზრო ეკონომიკის ძირითადი ელემენტებით და ეკონომიკური აგენტებისათვის საქმიანო-ბის ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ეკონომიკურად ეფექტიან შედეგებს უზრუნველყოფს. "შოკური თერაპიის" კონცეფციის თანხმად ეკონომიკური რეფორმებისადმი მოსახლეობის მხარდაჭერას განაპირობებს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების პერსპექტივა, ამასთან რეფორმის დროში გაწელვისა და პოზიტიური შედეგების დაგვიანების შემთხვევაში ტრანსფორმაციული ეიფორიის პერიოდი სწრაფად გაივლის და მოსალოდნელია მოსახლეობის განწყობილების საპირისპიროდ შეცვლა. ამიტომ აუცილებელია რადიკალური რეფორმების დროის უმოკლეს ვადებში განხორციელება. აღნიშნული კონცეფცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ეკონომიკის ლიბერალიზაციას, ფინანსურ სტაბილიზაციას, მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებასა და პრივატიზების პროცესების დაჩქარებას.

საბაზრო გარემოს ფორმირებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლიბერალიზაციას, რომელიც მოიცავს: ა) ფასების, სამეწარმეო საქმიანობისა და საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციას; ბ) სახელმწიფოს ეკონომიკური როლის პრინციპულ ცვლილებას, უპირველეს ყოვლისა კი სამეწარმეო ფუნქციების შეკვეცას.

ლიბერალიზაციის ინფლაციურ შედეგებთან საბრძოლველად და ფინანსური სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად აღნიშნული კონცეფციის ფარგლებში გამოყოფენ ორთოდოქსალურ და

ჰეტეროდოქსულ მიდგომებს. პირველ შემთხვევაში სტაბილიზაციის პოლიტიკა ხორციელდება მკაცრი ბიუჯეტურ-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ხარჯზე. მონეტარული სტაბილიზა-ციისას სტაბილიზატორის ანუ ნომინალური "ღუზის" როლის შესრულება ეკისრება ფულის მასის მოცულობას, გაცვლითი კურსის საფუძველზე სტაბილიზაციისას ასეთ "ღუზას" წარმოადგენს ფიქსირებული ნომინალური გაცვლითი კურსი (ან წინასწარ გამოცხადებული მისი ცვლილება) (83.გვ.51).

ჰეტეროდოქსული ვარიანტი მკაცრი ბიუჯეტურ-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის დამატებით მოითხოვს ფასებზე და შემოსავლებზე კონტროლს.

"შოკური თერაპიის" მომხრეებს კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ მისი პრაქტიკული რეალიზაცია დაკავშირებულია მაღალ სოციალურ დანახარჯებთან, მაგრამ ამ უკანასკნელს მიიჩნევენ ნაკლებ ბოროტებად იმ შედეგებთან შედარებით, რომლებსაც გამოიწვევს გახანგრძლივებული რეფორმები.

გრადუალიზმის კონცეფციის მიმდევრები "შოკის" სტრატეგიას მიიჩნევენ ძვირადღირებულ ღონისძიებად, რომელსაც თან ახლავს წარმოების დაცემა, უმუშევრობის დონის ამაღლება და მოსახლეობის ცხოვრების პირობების მკვეთრი გაუარესება. გრადუალიზმის კონცეფცია გამორიცხავს ფასების ერთჯერად ლიბერალიზაციას და სწრაფ პრივატიზაციას. იგი უპირატესობას ანიჭებს რეფორმების ეტაპობრივ განხორციელებას და წარმოების სტაბილიზაციას, ვინაიდან "მხოლოდ პროდუქციის მდგრადი გამოშვებისას არის შესაძლებელი იმ რესურსების მუდმივი გამომუშავება, რომლებიც

აუცილებელია მოხმარებისა და ინვესტიციების სათანადო დონის ფორმირებისათვის, აგრეთვე ტრანსფორმაციის პირობებთან მოსახლეობის სოციალური ადაპტაციის წინამძღვრების შექმნისათვის"(82.გვ63.). შესაბამისად, გრადუალიზმის კონცეფციაში მთავარია ეკონომიკის რესტრუქტურიზაცია, სისტემური ცვლილებების განხორციელება, განსაკუთრებით კი ერთობლივი მიწოდებისა და მოთხოვნის სტრუქტურის ცვლილება და ახალ პირობებთან ადაპტაცია.

ინსტიტუციური კონცეფცია ყურადებას ამახვილებს ტრანსფორმაციის ინსტიტუციურ ასპექტზე. იგი ზემოთაღნიშნულ დოქტრინებს აკრიტკებს ინსტიტუციური ცლილებებისადმი არა-სათანადო ყურადღების გამო. ინსტიტუციური კონცეფციის თანამად ეკონომიკა თავისთავად კი არ ფუნქციონირებს, არამედ ამისათვის აუცილებელია სათანადო ინსტიტუტების, ანუ ფორმალური და არა-ფორმალური წესებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობა.

ამრიგად, ეკონომიკური ტრანსფორმაცია მრავალფეროვანი და რთული პროცესია. მის ყველა კონცეფციას გააჩნია ეკონომიკური რეალობისა და ეკონომიკური ტრანსფორმაციის სრულყოფილი ასახვის პრეტენზია. ასეთი პრეტენზიები გადაჭარბებული და დაუსაბუთებელია, რადგანაც თითეული მათგანი წარმოგვიდგენს ეკონომიკური რეალობის ცალკეულ მხარეებს და ვერც ერთი მათგანი ვერ იძლევა ეკონომიკური ტრანსფორმაციის მექანიზმების სათანადო ახსნას. ამიტომ ტრანსფორმაციის ეფექტიანი განხორციელებისათვის მიზანშეწონილია, ზემოთ აღნიშნული კონცეფციების საფუძველზე, შემუშავდეს ღონისძიებების ერთიანი,

კოპლექსური სისტემა, რომელიც ტრანსფორმაციის ყველა შემადგენელ ელემენტს მაქსიმალურად მოიცავს (7.გვ.31).

ასეთი სისტემის შემუშავება არც თუ ისე ადვილია, რადგანაც იგი განეკუთვნება პოლიტიკური ბრძოლის სფეროს და წარმოადგენს საზოგადოებრივი არჩევნის საგანს. თანაც ტრანსფორმაციის სტრატეგიის შერჩევისას მრავალი ქვეყნის შესაძლებლობები შეზღუდულია ეკონომიკური და პოლიტიკური პირობებით.

პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ეკონომიკური რეფორმების გამოცდილება ცხადყოფს, რომ რეალურ ცხოვრებაში, ადმინსტრაციულ -მბრძანებლური ეკონომიკის ტრნსფორმაციის სტრატეგია მდგომარეობს პრიორიტეტების არჩევაში: ან ლიბერალიზაცია და ფინანსური სტაბილიზაცია, ან ეკონომიკის რესტრუქტურიზაცია, უპირველეს ყოვლისა კი ინსტიტუციური და სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება (83.გვ.43).

პირველ შემთხვევაში პრიორიტეტი ენიჭება ლიბერალიიზაციასა და ფინანსურ სტაბილიზაციას, ხოლო ეკონომიკის რესტრუქტუ-რიზაცია ასრულებს მეორეხარისხოვან როლს, ვინაიდან იგულის-ხმება, რომ საბაზრო ეკონომიკა თავად შეუწყობს ხელს საბაზრო ინსტიტუტების ჩასახვას და შეცვლილ პირობებთან ეკონომიკის სტრუქტურულ ადაპტაციას.

მეორე შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება რეფორმების თანდათანობით გატარებას, ინსტიტუციური და სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებას. სათანადო ინსტიტუტებისა და სტრუქტურების ფორმირების შემდეგ, მიზანშეწონილად მიჩნეულია ეტაპობრივი ლიბერალიზაცია. ჩვენი აზრით, საბაზრო

ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში, მინიმალური სოციალური და ეკონომიკური დანახარჯებით ეკონომიკური რეფორმაბის ეფექტურ განხორციელებას უზრუნველყოფს გარდაულიზმის კონცეფციის გამოყენება, რადგანაც იგი უპირატესობას ანიჭებს რეალური „ფიზიკური" ეკონომიკის აღორძინებას. ნორმალურად ფუნქციონირებადი საბაზრო-ეკონომიკური მექანიზმის ფორმირე-ბისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ინსტიტუციური კონცეფცია, ვინაიდან იგი ყურადღებას ამახვილებს საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი ინსტიტუტების ჩამოყალიბებაზე.

ამრიგად, ეკონომიკის ეფექტიანი რესტრუქტურიზაცია ნებისმიერ შემთხვევაში წარმოადგენს პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის წარმატებით განხორციელებისა და ნორმალურად ფუნქციონირებადი საბაზრო-ეკონომიკური სისტემის ფორმირების აუცილებელ პირობას, რასაც ადასტურებს პოსტსოციალისტური ქვეყნების გამოცდილება.

ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის ძირითადი, პრიორიტეტული მიმართულებების შერჩევა და მიღწეული შედეგების ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებებულია კულტურულ მემკვიდრეო-ბაზე და სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაზე. მიუხედავად ამისა, პოსტსოც-იალისტური ქვეყნების გარდამავალი ეკონომიკებისათვის დამახასია-თებელი ტენდენციების გათვალისწინებით შესაძლებელია გამოვყოთ ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის შემდეგი უმთავრესი მიმართულებები:

1. ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელება, ანუ გარდამავალი ეკონომიკის შესაბამისი წესების, ნორმების,

ინსტიტუტებისა და ინფრასტრუქტურის ფორმირება. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში აუცილებელია მბრძანებლურ-ადმინსტრაციული ეკონომიკური სისტემის დემონტაჟი და ახალი პირობების შესაბამისი ფორმალური წესების შემუშავება და მათი შესრულებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის ფორმირება.

ამრიგად, გარდამავალ ეკონამიკაში ინსტიტუციური გარდაქმნები გულისხმობს: საკუთრებით ურთიერთობების ცვლილებებს; პრივატიზებას და ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბებას; მეწარმეობის მხარდაჭერას, კონკურენციული ურთიეთობების განვითარებასა და ანტიმონიპოლიური პოლიტიკის გატარებას; ფინანსური ინფრასტრუქტურის განვითარებას, მ.შ. ორდონიანი საბანკო-საკრედიტო სისტემის ფორმირებას; სათანადო საკანონმდებლო ბაზრის შემუშავებას და ა.შ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, პროსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პერიოდში უნდა ჩამოყალიბდეს ფორმალური ინსტიტუტები, რომელთა ანალოგიც არ არსებობდა სოციალისტურ სისტემაში. მათ შორის აღსანიშნავია:

1. კერძო საკუთრების ინსტიტუტი;

2. სამართლებრივი მარეგუ-ლირებელი ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქონებრივი პასუხისმგებლობის ზუსტ განსაზღვრას (კოდექსები, კანონები);

3. ინსტიტუტები, რომლებიც განსაზღვრავენ პასუხისმგებლობას სხვა პირების საკუთრების მიმართ (ბუღალტერული აღრიცხვის ნორმები, საბანკო რეგულირება, ფასიანი ქაღალდების ბაზრისა და ინვესტიციური შუამავლების საქმიანობის რეგულირება);

4. ინსტუტები, რომლებიც საბაზრო ურთიერთობების პირობებში იძლევიან პარტნიორების ქცევის განჭვრეტის შესაძლებლობას (უპირველეს ყოლისა საკონტრაქტო სამართალი) (94.გვ.108). არანაკლებ მნიშვნელო-ვანია საბაზრო-მარეგულირებელი ინფრასტრუტურის (კომერციული ბანკები, შრომისა და კაპიტალის ბაზრები, სადაზღვევო კომპანიები, სასაქონლო ბირჟები, მომხმარებელთა ინტერესების დამცველი ასოცია-ციები და ა.შ.), მოსახლეობის სოციალური დაცვისა და ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი სტრუქტურების შექმნა (ანტიმონოპოლიური სამსახური, საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა, საბაჟო სამსახური, ქონების მართვის უწყება, სახელმწიფო სოციალური დანიშნულების ფონდები და ა.შ).

პოსტსციალისტური ტრანსფორმაციის პერიოდში ინსტიტუტიურ გარდაქმნების განსაკუთრებული მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ იგი წარმოქმნის გარდამავალი ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელ პირობებს. მართალია, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პოლიტიკა წარმოადგენს ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის წარმატების აუცილებელ პირობას, მაგრამ იგი სათანადო ინსტიტუტების ფორმირების გარეშე ვერ უზრუნველყოფს მდგრადი, თითგანვითარებადი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებას გრძელვადიანი პერიოდისათვის.

2. საკუთრებითი ურთიერთობების გარდაქმნა, ანუ კერძო საკუთრების ინსტიტუტების ფორმირება, პრივატიზება და საკუთრების სტრუქტურული სრულყოფა.

საკუთრებითი ურთიერთობების გარდაქმნა, მ.შ. სახელმწიფო საკუთრების პრივატიზების გზით, წარმოადგენს ინსტიტუციური გარდაქმნების ერთ-ერთ ფორმას, რომელიც იწვევს საზოგადოებრივ ფასეულობათა ღრმა ცვლილებებს, ხელს უწყობს თვისობრივად ახალი ტიპის სოციალურ-ეკონომოკური სისტემის ჩამოყალიბებას (60.გვ119). ამასთან, გარდამავალ ეკონომიკაში საკუთრებითი ურთიერთობების გარდაქმნა თავისი შინაარსობრივი დატვირთვით, მაშტაბებითა და მოსალოდნელი შედეგებით, ცალსახად შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად.

პოსტსოიალისტურ ტრანსფორმაციის საწყისი ეტაპიდანვე კერძო საკუთრების ინსტიტუტის ფორმირებისადმი განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება განპირობებულია იმით, რომ სოციალისტური სახელმწიფო აღმოჩნდა არაეფექტური მესაკუთრე – წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრებამ ვერ უზრუნველყო რესურსების რაცონალური განაწილება. სოციალისტური საკუთრების უფლება, ანუ სოციალისტური მეურნეობის ეკონომიკური სუბიექტების ქცევის განმსაზღვრელი “თამაშის წესები”, პოზიტიური შედეგების მისაღწევად საჭირო სტიმულების დეფიციტის შედეგად ძირშივე ახშობდა სამეურნეო სუბიექტების ინიციატივას. კერძო საკუთრების ინსტიტუტი კი უზრუნველყოფს სამეურნეო საქმიანობის სფეროში ინდივიდების პირად დაინტერესებას, ვინაიდან იგი ეკონომიკის სუბიექტებს ,,ეკონომიკური რესურსების მიღების, კონტროლირების, გამოყენების

და რეალიზაციის საშუალებას აძლევს ისე, როგორც თვითონ ჩათვლიან საჭიროდ”(91.გვ.87).

კერძო საკუთრების ინსტიტუტის, ანუ კერძო საკუთრების უფლების დამკვიდრება ხელს უწყობს:

- ეფექტური მესაკუთრის ჩამოყალიბებას, რომლის მიზანია სამეურნეო საქმიანობის ეფექტური ორგანიზაცია და მაქსიმალური მოგების მიღება;

- კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას;

- რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვასა და წარმოების ინტენსიური ფაქტორების გამოყენებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, შრომის მწარმოებლურობისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, პროდუქციის გამოშვების მოცულობის გადიდებას, რადგანაც მხოლოდ ასეთ პირობებშია შესაძლებელი მაქსიმალური სარგებლის მიღება.

როგორც ვხედავთ, საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისათვის აუცილებელია კერძო სექტორის ჩამოყალიბება, რაც გულისხმობს კერძო საწარმოების შექმნას ან ახალი კერძო კაპიტალის გამოყენებით, ან სახელმწიფო საკუთრების პრივატიზებით.

პოსტსოციალისტურ ქვეყნებში თავიდანვე უპირატესობა მიენიჭა სახელმწიფო საწარმოების პრივატიზებას, რაც ახალი კერძო საწარმოების მასიური შექმნისათვის საჭირო რესურსების უკმარისობასთან ერთად განაპირობა სახელმწიფო საწარმოების დაბალეფექტიანობამ, აგრეთვე იდეოლოგიურმა მოსაზრებებმა: „შოკური თერაპიის” კონცეფციის თანახმად საბაზრო ეკონომიკის საფუძვლების სწრაფი ფორმორებისათვის აუცილებელია ერთობლივ

ეროვნულ პროდუქტში სახელმწიფო სექტორის წილის მკვეთრი შემცირება, რაც უნდა განხორციელდეს სახელმწიფო საწარმოების დაჩქარებული პრივატიზებით.

გარდამავალ ეკონომიკაში პრივატიზების შემაფერხებელ ფაქტორებს მიეკუთვნება:

- მეწარმეობის სწრაფი განვითარებისთვის აუცილებელი სამართლებრივი ნორმების დაუხვეწაობა და სათანადო ინსტიტუციური სტრუქტურების განუვითარებლობა;

- საწარმოების ღირებულების ზუსტი შეფასების სიძნელე;

- ადგილობრივი კაპიტალის, მ.შ. საკრედიტო რესურსების უკმარისობა;

- ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის მაღალი ხვედრითი წილი, რაც ხელს უშლის პრივატიზების სამართლიან და ეფექტურ ჩატარებას და ა.შ

- სოციალური დაძაბულობის ზრდა, რასაც განაპირობებს პრივატიზებული მსხვილი საწარმოების რესტრუქტურიზაცია და დასაქმებული მუშახელის ნაწილის სამუშაოდან დათხოვნა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ პრივატიზების ტემპის შესახებ გადაწყვეტილების მიღება საკმაოდ რთულია. სწრაფი და მასიური პრივატიზების შემთხვევაში მატულობს მისი არასამართლიანად განხორციელებისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის სუბიექტების მიერ საერთო-სახალხო საკუთრების ხელში ჩაგდების შანსი, აგრეთვე იზრდება უმუშევრობა და სოციალური დაძაბულობა, რაც მთლიანობაში საფრთხეს უქმნის რეფორმების განხორციელებას. პრივატიზების მეტისმეტი გახანგრძლივება კი იწვევს არაეფექტური

სახელმწიფო სექტორის დასაფინანსებლად საჭირო ხარჯების შენარჩუნება-გადიდებას, რაც მძიმე ტვირთად აწვება სახელმწიფო ბიუჯეტს და განაპირობებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი მიმართულებების დასაფინანსებლად აუცილებელი სახსრების შემცირებას.

ამიტომ პრივატიზების ეფექტურობის ამაღლების მიზნით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო საწარმოების წინასწარ მომზადებას საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი კრიტერიუ-მებით მუშაობისათვის, რაც აგრეთვე შეამცირებს მათ შესანახად აუცილებელ ბიუჯეტის თანხებს. შესაბამისად პოლიტიკური, სოციალური, ზნეობრივი და ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო მისაღებია ზომიერად გახანგრძლივებული პრივატიზება, ვინაიდან იგი ხელს შეუწყობს ეკონომიური (წარმოების ეფექტიანობის ამაღლება), სოციალური (თანამშრომლობისა და საზოგადოებრივი თანხმობის უზრუნველყოფა) და ფისკალური (სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გადიდება) მიზნების მიღწევას.

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა წარმოუდგენელია საკუთრების პლურალიზმის გარეშე, რაც გულისხმობს საკუთრების ძირითადი ფორმების–კერძო საკუთრების, კოლექტიური საკუთრების, სახელმწიფო საკუთრებისა და შერეული საკუთრების განვითარებისათვის თანაბარი პირობების შექმნას. საკუთრების ფორმებს შორის თანაფარდობას კი განსაზღვრავს მოცემული ქვეყნის განვითარების სპეციფიკა. ეკონომიკურ ურთიერთობათა გარდაქმნების თითოეულ კონკრეტულ ეტაპზე უპირატესობას მოიპოვებს

საკუთრების ის ფორმა, რომელიც სხვებთან შედარებით გამოამჟღავნებს მაღალ კონკურენტ-უნარიანობას და ქვეყანას მისცემს ყველაზე მეტ საზოგადოებრივ-ეკონომიკური ეფექტს. ამასთან, სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას საკუთრების რომელიმე ფორმის აბსოლიტური გაბატონება, ვინაიდან იგი გამოიწვევს საზოგადოებაში არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ თავისუფლების დამხინჯებას.

3. სტრუქტურული გარდაქმნების განხორციელება.

სტრუქტურული რეფორმების ძირითადი მიზნებისა და მიმართულებების განხილვამდე მიზანშეწონილია ეკონომიკის სტრუქტურული ორგანიზაციის დახასიათება და სტრუქტურული პოლიტიკის აუცილებლობის დასაბუთება.

ეროვნული მეურნეობის სტრუქტურის ქვეშ იგულისხმება მის დარგებს შორის თანაფარდობა, რაც ახასიათებს შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას, აგრეთვე კვლავწარმოების პროპორციები, რომელიც თავისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი თანაფარდობით ასახავს კვლავწარმოების პროცესის ცალკეული ფაზის (წარმოება, მოხმარება, დაგროვება, განაწილება) ურთიერთკავშირს. ეკონომიკური მოვლენების მასშტაბისგან და ხასიათისაგან დამოკიდებულებით, აგრეთვე კვლევის მიზნებიდან გამომდინარე გამოყოფენ:

1. მაკროეკონომიკურ სტრუქტურას, რომელიც ახასიათებს თანაფარდობას ეროვნული მეურნეობის მაკროეკონომიკურ ელემენტებს შორის, მაგალითად, მოხმარებასა და დაგროვებას შორის და ა.შ.

2. დარგთაშორის სტრუქტურას, რომელიც ახასიათებს ეკონომიკის სხვადასხვა დარგებს შორის თანაფარდობას, მაგ. მატერიალურ და არამატერიალურ წარმოებებს შორის, სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის და ა.შ.

3. ეკონომიკის რეგიონულ სტრუქტურას, რომელიც ახასიათებს ცალკეულ რეგიონებს შორის თანაფარდობას, აგრეთვე თითოეული რეგიონის წილს ცალკეული მაკროეკონომიკური მაჩვენებლის მთლიან მოცულბაში.

4. შიდა დარგობრივ სტრუქტურას, რომელიც გამოხატავს თანაფარდობას ქვედარგებსა და ცალკეულ წარმოებებს შორის (102.გვ.143).

ნებისმიერ სახელმწიფოში ეროვნული მეურნეობის ეფექტური ფუნქციონირება მოითხოვს მის ცალკეულ სექტორებს შორის ოპტიმალური თანაფარდობის დადგენას, რაც გამოწვეულია „შეზღუდული რესურსების“ პირობებში „შეუზღუდავი მოთხოვნილებების“ მაქსიმალური დაკმაყოფილების აუცილებლობით. შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მისაღწევად საჭიროა ეკონომიკის ისეთი სტუქტურული ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს „შეზღუდული რესურსების“ რაციონალურ გამოყენებას და მათ ოპტიმალურ განაწილებას ეროვნული მეურნეობის პრიორიტეტული მიმართულებების სასარგებლოდ.

პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პერიოდში მიმდინარეობს თავისი ბუნებით უნიკალური და ყოვლისმომცველი სტრუქტურული ცვლილებები, რომლის არსიც გამოიხატება: წარმოების საშუალებების წარმოების ხვედრითი წილის შემცირებაში

და სამომხმარებლო დანიშნულების პროდუქციის წარმოების წილის ამაღლებაში; მწარმოებელზე ორიენტირებული ეკონომიკის გარდაქმნაში და მომხმარებელზე ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირებაში; ეკონომიკის მთელ რიგ დარგში (უპირველეს ყოვლისა, მრეწველობის გადამამუშავებელ დარგებში) ეკონომიკური კრიზისის უკიდურეს გაღრმავებაში და ა.შ.

გარდამავალ ეკონომიკაში აღნიშნული სტრუქტურული ცვლილებების ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს ფასების ლიბერალიზაცია, ვინაიდან იგი იწვევს ახალი შეფარდებითი ფასების ჩამოყალიბებას, რაც განაპირობებს ერთობლივი მიწოდების სტრუქტურის და შესაბამისად ეროვნული მეურნეობის სტრუქტურის ცვლილებას, თუმცა ეს უკანასკნელი მიმდინარეობს მტკივნეულად და მნიშვნელოვანი შეფერხებებით.

ამგვარად, გარდამავალ ეკონომიკაში სტრუქტურული პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ გეგმურ-ცენტრალიზებული ეკონომიკური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში სათანადო სტრუქტურული ცვლილებები, მთელი რიგი მიზეზების შედეგად (ძველი სისტემიდან მემკვიდრეობით მიღებული ინერციულობა, მუდმივად ცვალებად სიტუაციებში სწორი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო გამოცდილებისა და ცოდნის უკმარისობა, კაპიტალის დეფიციტი და ა.შ.), ნელი ტემპით მიმდინარეობს, რაც მნიშვნელოვან დანაკარგებთან არის დაკავშირებული, ვინაიდან იწვევს პროდუქციის გამოშვების მოცულობის შემცირებას და უმუშევრობის ზრდას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ცხადია, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში სტრუქტურული გარდაქმნების ძირითადი მიზანია „ეროვნული მეურნეობის სტრუქტურის ადაპტირება სამამულო და საგარეო ბაზრების ცვალებად მოთხოვნილებებთან“(83.გვ.48).

აღნიშნული მიზნის მიღწევა მოითხოვს გარდამავალი ეკონომიკისათვის დამახასიათებელი მაკროეკონომიკური, დარგთა-შორისი, შიდადარგობრივი და რეგიონული დისბალანსების აღმოფხვრას. ასეთი სტრუქტურული გარდაქმნების თვითდინებაზე მიშვება და საბაზრო ეკონომიკის სპონტანური, სტიქიური ძალებისათვის მათი გადაწყვეტის დაკისრება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აუცილებლად გამოიწვევს „წარმოების კატასტროფულ დაცემას და მასიურ უმუშევრობას, საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის გაუმართლებელ დანაკარგებს, ეროვნული ინფრასტრუქტურის უმნიშვნელოვანესი ელემენტების ფუნქციონი-რების დარღვევას და საბოლოო ანგარიშით – ეროვნული მეურნეობის განუვითარებელი სტრუქტურების კონსერვაციას, მსოფლიო ბაზაზე ეროვნული ეკონომიკის პოზიციების შემდგომ გაუარესებას“ (102.გვ155).

ამიტომ საჭიროა სახელმწიფომ შეიმუშავოს და რეალურ ცხოვრებაში განახორციელოს მიზანმიმართული სტრუქტურული პოლიტიკა. სტრუქტურული პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებას უნდა მიეკუთვნოს:

- ეროვნულ მეურნეობაში ეკონომიკურად პროგრესული სტრუქტურული ცვლილებების წახალისება. განსაკუთრებული

მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ეროვნული მეურნეობის სტრუქტურაწარმომქმნელი, საბაზო დარგების, უპირველეს ყოვლისა კი, მრეწველობის პრიორიტეტული დარგების განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნას. ამისთვის მიზანშეწონილია ფულად-საკრედიტო და ბიუჯეტურ-საგადასახადო რეგულირების ირიბი მეთოდების გამოყენება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სათანადო საკრედიტო, საგადასახადო, საბაჟო, საამორტიზაციო (ამორტიზაციის ნორმების დადგენა, ამორტიზაციის დაჩქარება) პოლიტიკისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების ღონისძიებების შემუშავებას, გარემომცველი გარემოს დაბინძურებაზე და ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე გადასახადების დაწესებას.

- ინოვაციური პოტენციალის შენარჩუნება, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა და მათი განვითარებისათვის საჭირო სტიმულების შემუშავება. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ფუნდამენტური მეცნიერებების და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება, ეროვნული მეურნეობის წამყვან დარგებში გამოყენებითი კვლევების წახალისება - ახალი, მაღალხარისხოვანი და კონკუტრნტუნარიანი პროდუქციისა და რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების შემუშავების მიზნით.

- სამეურნეო ურთიერთკავშირებისა და გაცვლის პროპორციების სტრატეგიის შემუშავება.

- რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრა. შრომის დანაწილების ფაქტორის გათვალისწინებით

ცალკეული რეგიონების ეკონომიკური განვითარების ღონისძიების შემუშავება და ეფექტური დარგობრივი სტრუქტურის ფორმირების უზრუნველყოფა. ეკონომიკურად ჩამორჩენილი რეგიონებისა და ადგილობრივი მუშახელის სამუშაოთი უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა აღნიშნულ რეგიონში სამრეწველო ცენტრებიდან საწარმოთა გადაადგილების წახალისება (საგადასახადო, საკრედიტო და ა.შ.).

- ეროვნული მეურნეობის პრიოროტეტულ დარგებში უცხოური კრედიტების და პირდაპირი ინვესტიციების ეფექტური გამოყენების ორგანიზაცია.

- ინვესტიციების კვლავწარმოებით, დარგობრივ და ტექნოლოგიურ სტრუქტურაზე ზემოქმედების მექანიზმების შემუშავება.

აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება ხელს შეუწყობს ეროვნული მეურნეობის რესტრუქტურიზაციის ტემპის დაჩქარებას და რესურსების გამოყენების ეფექტურობის ამაღლებას.

4. სოციალური სფეროს გარდაქმნა და გარდამავალი ეკონომიკის მოთხოვნილებებთან ადაპტირება.

რადიკალური სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების პერიოდში, როგორსაც ადგილი აქვს გარდამავალ ეკონომიკაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის სოციალური დაცვის ეფექტური სისტემის შემუშავებას, ვინაიდან ასეთ ცვლილებებს თან ახლავს წარმოების დაცემა, უმუშევრობის ზრდა, მოსახლეობის შემოსავლების მკვეთრი შემცირება და დიფერენციაცია, სოციალური დაცვის არსებული სისტემის მოშლა და ა.შ. ე.ი. ეკონომიკური რეფორმის შეფასებისათვის ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს მოსახლეობის

კეთილდღეობის დონის ამაღლება, მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება და საზოგადოების სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დონე. შესაბამისად, პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პერიოდში სოციალური პოლიტიკის ძირითადი ამოცანაა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირება და ახალი პირობების ადეკვატური სოციალური ინსტიტუტების ფორმირება. უპირველეს ყოვლისა, საუბარია კონფლიქტური სიტუაციების დამარეგულირებელი ფორმალური ნორმების (მაგ; კანონი დამქირავებელსა და დაქირავებულ მუშახელს შორის ურთიერთობების შესახებ), სოციალური გარანტიებისა (მაგ; მინიმალური საზოგადოებრივი გარანტიების უზრუნველყოფა შემოსავლებისა და სოციალური დახმარების სფეროში და ა.შ.) და სიღარიბესთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამების შესახებ.

როგორც ვხედავთ, სოციალური მხარდაჭერის თანამედროვე სისტემის ფორმირება წარმოადგენს ეკონომიკის რესტრუქტურიზა-ციის უმნიშვნელოვანეს მიმართულებას და ეკონომიკური რეფორმების წარმატების აუცილებელ პირობას.

5. სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ტრანსფორმაცია.

საბაზრო ეკონომიკის ფორმირება მოითხოვს ეროვნულ მეურნეობაში სახელმწიფოს დომინირებადი როლის გაუქმებას, რისთვისაც აუცილებელია გეგმურ-ცენტრალიზებული ეკონომიკური სისტემის დემონტაჟი და საბაზრო-კონკურეციულ ურთიერთობებზე გადასვლა, რომლის დროსაც უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს, როგორც მესაკუთრის ფუნქციების შეკვეცა. ამასთან სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობისა და თანამიმდევრული კონტროლის გარეშე პრაქტიკულად წარმოუდგენელია საბაზრო ეკონო-მიკაზე გადასვლის

ისეთი ძირითადი ამოცანების გადაჭრა, როგორიცაა: ახალი ინსტიტუტების ფორმირება, მასშტაბური სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება, ეკონომიკის ლიბერალიზაცია, საკუთრებითი ურთიერთობების ტრანსფორმაცია და კერძო საკუთრების უფლების უზრუნველყოფა, ინფლაციის აღმოფხვრა და ა.შ. სახელ-მწიფოს აუცილებელ კომპეტენციას განეკუთვნება საკანონმდებლო ბაზის შემუშავება და წესრიგის დაცვა, საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება, ბიუჯეტის გაჯანსაღება და ა.შ. აღნიშნული ცვლილებების თვითდინებაზე მიშვებისა და „სახელმ-წიფოს მიერ შეგნებული, მიზანმიმართული პოლიტიკის გაუტარებლობის შემთხვევაში ბაზრის ინსტიტუტების ვაკუუმს შეავსებს ფსევდო-საბაზრო სტრუქტურები, რომლებიც იწვევენ სახელმწიფო ორგანოებისა და საბაზრო ინფრასტრუქტურის ფუნქციების დამახინჯებას“ (121.გვ112).

პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პირობებში, როგორც ვხედავთ, იცვლება სახელმწიფოს ეკონომიკური როლი, რაც გამოიხატება მისი მარეგულირებელი, კანონშემოქმედებითი და სისტემაწარმომქმნელი ფუნქციების გაზრდით, დარგობრივი და რეგიონული პოლიტიკის გატარებით და ა.შ. სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ასეთი ტრანსფორმაცია წარმოქმნის საბაზრო ძალების ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელ პირობებს.

6. საფინანსო-საკრედიტო სისტემის ინსტიტუციური გარდაქმნა და ეფექტიანი ფინანსური სისტემის ჩამოყალიბება, რაც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

სახელმწიფო ფინანსების დანიშნულებაა სახელმწიფოებრივი ეკონომიკური პოლიტისკის სათანადო რესურსებით უზრუნველყოფა. როგორც ცნობილია, გარდამავალ ეკონომიკაში მიმდინარეობს

სოციალისტური ეკონომიკური სისტემის დემონტაჟი, რაც აგრეთვე მოითხოვს ფინანსების დეცენტრალიზაციას და ფინანსური რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილის სახელმწიფოს დაქვემდებარებიდან არასახელმწიფო სტრუქტურების (მეურნე სუბიექტების) განკარგუ-ლებაში გადასვლას.

ფინანსების დეცენტრალიზაციის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდება სახელმწიფოს დანახარჯები სხვადასხვა დანიშნულების სუბსიდიებზე, დოტაციებზე, ეროვნული მეურნეობის დარგების განვითარებაზე. ამასთან სახელმწიფო ფინანსების ფუნქცია განისაზღვრება მოსახლეობისადმი და ეკონომიკის სუბიექტებისადმი არასაბაზრო მომსახურების გაწევითა და შემოსავლების გადანაწილებით. აღნიშნული ფუნქციის ეფექტური რეალიზაცია მოითხოვს სათანადო საგადასახადო სისტემის ფორმირებას.

ეფექტური ფინანსური სისტემის ჩამოყალიბებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია ცენტრალური, რეგიონალური და ადგილობრივი ბიუჯეტების უფლებამოსილებათა გამიჯვნას, მათი შემოსავლებსა და გასავლებს შორის ოპტიმალური თანაფარდობის მიღწევას, აგრეთვე სხვადასხვა სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის სპეციალური ფონდების ფორმირებას და სათანადო რესურსებით მათ უზრუნველყოფას.

ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის მიმართულებებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეფექტური საბანკო სისტემის ჩამოყალიბება. სოციალისტური საბანკო სისტემა ვერ უზრუნველყოფდა წარმოების წახალისებას დაკრედიტების ძირითადი პრინციპების (უზრუნველყოფა, დაბრუნებადობა, ვადიანობა, მომგებიანობა და მიზნობრიობა) უგულებელყოფის შედეგად. ამიტომ აუცილებელია მისი რეორგანიზაცია და ორსაფეხურიანი საბანკო

სისტემის ფორმირება, ანუ ცენტრალური ბანკისა (ემისიური ცენტრი, ბანკთა ბანკი) და კომერციული ბანკების ჩამოყალიბება. საბაზრო ტიპის საბანკო სისტემა აგრეთვე მოითხოვს შიდა ინსტიტუციურ ცვლილებებს, სახელმწიფოსთან და ეკონომიკის სუბიექტებთან საბანკო სისტემის პრინციპულად ახალი ურთიერთობების ფორმირებას. ამასთან, არსებითად უნდა შეიცვალოს ცენტრალური ბანკის ფუნქციები, მისი ადგილი და როლი ფულად-საკრედიტო სისტემაში. უპირველეს ყოვლისა, მან უნდა უზრუნველყოს ფასების სტაბილურობა და საბანკო და ფულად-საკრედიტო სისტემის ნორმალური ფუნქციონირება.

7. საწარმოთა რესტრუქტურიზაცია. საწარმოთა მასიური რესტრუქტურიზაცია ყოველთვის დაკავშირებულია ქვეყანაში მიმდინარე რევოლუციურ, სოციალურ-ეკონომიკურ და მეცნიერულ-ტექნიკურ ძვრებთან. აღნიშნული ცვლილებების პირობებში არსებობას და განვითარებას მხოლოდ ის საწარმოები ახერხებენ, რომლებიც თავიანთ საქმიანობას გარდაქმნიან ახალი მოთხოვნების შესაბამისად.

ამრიგად, გარდამავალი ეკონომიკის ეტაპზე, სამომხმარებლო სტრუქტურაში ცვლილებების შესაბამისად, საწარმოთა კონკურენტ უნარიანობის სათანადო დონემდე ამაღლებისა და წარმოების ეფექტიანობის გადიდების მიზნით აუცილებელია საწარმოთა რესტრუქტურიზაცია. იგი თანაბრად შეეხება როგორც სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ, აგრეთვე კერძო სექტორის მფლობელობაში არსებულ საწარმოებს, რადგანაც რესტრუქტურიზაციის ერთ-ერთი ძირეთადი დანიშნულებაა მათი ეფქტიანი მართვის სტრატეგიის განხორციელება.

მრავალ პოსტსოციალისტურ ქვეყანაში, მ.შ. საქართველოშიც, საწარმოთა რესტრუქტურიზაცია გაიგივებული იქნა მხოლოდ პრივატიზების განხორციელებასთან, მაშინ როდესაც საწარმოთა სტრუქტურულ გარდაქმნებს შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა, რაც უარყოფითად მოქმედებს მათ საქმიანობაზე. ამიტომ აუცილებელია ამ მიმართულებით მუშაობის გააქტიურება, მით უფრო რომ რესტრუქტურიზაციის პროცესში ხორციელდება საწრმოთა ფინანსური გაჯანსაღება, მათი ვალების ჩამოწერის ან გადავადების, ფინანსურად წამგებიანი და დაბალ ეფექტიანი საწარმოო ერთეულების მოშორების გზით. არანაკლები ყურადღება ექცევა წარმოების ორგანიზაციისა და მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვას, პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას.

სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზება, ჩვენის აზრით, უნდა განხორციელდეს მათი რესტრუქტურიზაციის შემდეგ, რაც მათი რეალური გასაყიდი ფასის განსაზღვრის საშუალებას იძლევა. ამავე დროს ასეთ საწარმოებში პრივატიზებამდე ყალიბდება შემდგომი ეფექტიანი მუშაობისათვის აუცილებელი პირობები.

1.3. ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის სფეროში სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება

ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის სფეროში სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების შესწავლისას მიზანშეწონილია მათი დაჯგუფება ეკონომიკური ტრანსფორმაციის გამოყენებული მოდელების საფუძველზე. ამ თვალსაზრისით ერთ სიბრტყეში უნდა იქნას განხილული ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფი ქვეყნების გამოცდილება,

რომლებშიც ეკონომიკური რეფორმები ძირითადად განხორციელდა „შოკური თერაპიის“ კონცეფციის საფუძველზე. ამასთან ცალკე უნდა განვიხილოთ ჩინეთისა და ვიეტნამის გამოცდილება, სადაც ეკონომიკური რეფორმები მიმდინარეობს „გრადუალიზმის“ კონცეფციის შესაბამისად.

ბაზარზე ორიენტირებული რადიკალური ეკონომიკური რეფორმა ყველაზე თანმიმდევრულად და უმოკლეს ვადაში განხორციელდა პოლონეთში, სადაც „შოკური თერაპიის“ პრინციპების შესაბამისად აღინიშნა „დიდი ნახტომი“ რაც ძირითადად გამოიხატა ფასებისა და საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციაში, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაშვებ დონემდე შემცირებაში (ეეპ-ის 2-3-ის ფარგლებში), აღნიშნული დეფიციტის დაფინანსების არაინფლაციური მექანიზმების გამოყენებაში (სახელმწიფო ობლიგაციების გამოშვების გზით), ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრებაში, საბანკო პროცენტების ამაღლებაში, ეროვნული ფულადი ერთეულის კონვერტირებად ვალუტად გადაქცევაში, შემოსავლების რეგულირების პოლიტიკის გატარებაში. ამ უკანასკნელისადმი განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება განაპირობა ფინანსური სტაბილიზაციის მიღწევის აუცილებლობამ, რაც ფასბის ლიბერალიზაციისა და შესაბამისად მათი მკვეთრი ამაღლების პირობებში შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი შეიზღუდება მოსახლეობის შემოსავლების ზრდა, ვინაიდან ასეთ პირობებში საფუძველი ეცლება „ხელფასი-ფასების“ ინფლაციური სპირალის ამოქმედებას. პოლონეთში გატარებული შემოსავლების

პოლიტიკა ითვალისწინებდა ხელფასის ფონდის ზრდის შეზღუდვას ფასების ზრდასთან შედარებით.

რეფორმების საწყის ეტაპზე მიღწეული იქნა მთელი რიგი დადებითი შედეგები: აღმოიფხვრა სასაქონლო დეფიციტი და მაღაზიებთან გაქრა რიგები, თაროებზე გაჩნდა საქონელი; ფასების ამაღლებამ აღმოფხვრა ჭარბი ფულადი მასის პრობლემა; ჩამოყალიბდა საბაზრო ფასწარმოქმნის სისტემა; გაქრა ვალუტის შავი ბაზარი, ვინაიდან ზლოტი გახდა კონვერტირებადი ვალუტა.

ამასთან წარმოიშვა მთელი რიგი პრობლემები, რომელთაგან აღსანიშნავია: წარმოების მოცულობის მკვეთრი დაცემა(1990-1991წლებში წარმოების მოცულობა დაეცა დაახლოებით 30%-ით) (91.გვ.20-50), უმუშევრობის ზრდა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუარესება, ჩრდილოვანი ეკონომიკის წილის ამაღლება და ა.შ.

განსკუთრებულ პრობლემად, თავისი სირთულიდან გამომდინარე, იქცა პრივატიზება. თავდაპირველად გათვალისწინე-ბული იყო სახელმწიფო საწარმოების სწრაფი პრივატიზება, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა მუშებისა და სხვა მოქალაქეების უფლებების შესახებ შეუთანხმებლობის შედეგად. ამასთან ცხადი გახდა, რომ პრივატიზება მოითხოვს სათანადო მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას დაყოველმხრივ გააზრებული ნაბიჯების გადადგმას. ამიტომ პოლონეთში განსახელმწიფოებრიობა თავიდანვე საწარმოთა კომერციალიზაციით აღინიშნა, ხოლო მასობრივი პრივატიზება დიდი დაგვიანებით-მხოლოდ 1996 წლის ბოლოს დაიწყო“ (7.გვ.119).

პოლონეთის გამოცდილებამ ცხადყო, რომ მთავრობისა და მოსახლეობის მხრიდან მხარდაჭერის შემთხვევაში(რაც 1990 წლისათვის პოლონეთის ახლად არჩეულ დემოკრატიულ მთავრობას, 80-იან წლების ღრმა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის შედეგად ნამდვილად გააჩნდა) ფასების ლიბერალიზაციისა და მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამა უმოკლეს ვადებში შეიძლება წარმატებით განხორციელდეს, მაგრამ სახელმწიფო საწარმოთა მასიური პრივატიზება დროის მნიშვნელოვან პერიოდს მოითხოვს. ამასთან ეფექტურად გამართული საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება წარმოუდგენელია ფართომასშტაბიანი ინსტიტუციური და სტრუქტურული გარდაქმნების გარეშე, რისთვისაც აუცილებელია დროის კიდევ უფრო ხანგრძლივი პერიოდი.

პოლონეთში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები უნდა ჩაითვალოს „შოკური თერაპიის“ კონცეფციის ყველაზე წარმატებულ რეალიზაციად, რასაც ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ პოლონეთმა აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის ყველაზე ადრე დაძლია ეკონომიკური კრიზისი და ეეპ-ის მოცულობის მიხედვით 1989 წლის დონეს გადააჭარბა 1996 წლისათვის, ანუ 1996 წელს გამოშვებული ეეპ-ის მოცულობამ შეადგინა 1989 წლის შესაბამისი დონის 104,5%-ი. აღნიშნული მიღწევა გაიმეორა მხოლოდ სლოვენიამ 1998 წელს, ყველა დანარჩენ პოსტსოციალისტურ ქვეყანაში ამ პერიოდისათვის ეეპ-ის მოცულობა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა 1989წლის დონეს(118.გვ.46).

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია უნგრეთს, რომელსაც პოსტსოციალისტური

ტრანსფორმაციის „შოკური თერაპიისა“ და „გარდუალიზმის“ კონცეფციების გამოყენების თვალსაზრისით შუალედური პოზიცია უკავია, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ იქ საბაზრო რეფორმები დაიწყო ჯერ კიდევ 1968 წლიდან და ეკონომიკის ზოგიერთ სფეროში ნებადართული იყო კერძო სექტორის არსებობა.

ფასების ეტაპობრივი განთავისუფლება უნგრეთმა დაიწყო1985 წლიდან, რის შედეგადაც 1990 წლისათვის ფასების თითქმის ნახევარი ყალიბდებოდა საბაზრო მექანიზმის მეშვეობით.

შესაბამისად, უნგრეთში გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსთვის არ აღინიშნებოდა არსებითი ხასიათის სასაქონლო-ფულადი უწონასწორობა. მიტომ 1990 წლისათვის განხორციელებული ფასების ლიბერალიზაციას არ გამოუწვევია „შოკური“ ზემოქმედება. ამასთან, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით უნგრეთმა ეტაპობრივად, სათანადო ინსტიტუციური და სტრუქტურული გარდაქმნების პარალელურად მოახდინა სახელმწიფო საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილის პრივატიზება. საინტერესოა ევროპული გამოცდილება.

ცხრილი. 1.3.1.საშუალო და მსხვილი საწარმოების პრივატიზაციის მეთოდები ცალკეულ ქვეყნებში (პროცენდებში) (119.გვ.20)

ქვეყნები	მიყიდვა აუქციონებზე	მენეჯერებისა და პერსონელის მიერ შეძენილი	პრივატიზაცია ვაუჩერებით	რესტიტუცია	სხვა	სახელმწიფო საკუთრებაშ
ჩეხეთი	32	0	22	9	28	10
ფირმების რაოდენობა	5	0	50	2	3	40
ესტონეთი	64	30	0	0	2	4
ფირმების რაოდენობა	60	12	3	10	0	15

უნგრეთი ფირმების რაოდენობა	67 34	13 3	0 0	0 5	3 7	17 51
ლატვია ფირმების რაოდენობა	< 1 < 1	3-5 3-5	70 66	0 0	0 0	25 35

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ი.კორნაის თანახმად, უნგრეთი თავიდანვე უპირატესობას ანიჭებდა კერძო სექტორის ორგანულ ზრდას, ანუ ახალი კერძო საწარმოების შექმნასა და სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზებას გაყიდვის გზით (104.გვ.44). ასეთი პოლიტიკის შედეგად, 1998 წლისათვის კერძო სექტორის წილმა ეეპ-ში გადააჭარბა 80%-ს (118.გვ37-42).

უნგრეთი პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის განვლილ პერიოდში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებთან წარმოებისა და დასაქმების სტრუქტურულ ადაპტაციას. შესაბამისად, ფრთხილად უდგებოდა ისეთ პრობლემებს, როგორიცაა ინფლაციის ტემპის მინიმალურ დონემდე შემცირება, მასიური პრივატიზება და საგარეო ვაჭრობის ერთჯერადი ლიბერალიზაცია.

მაგ.: ლ. ჩაბა აღნიშნავს, რომ უნგრეთში სტაბილიზაციის პერიოდის გახანგრძლივება და შესაბამისად ზომიერი ინფლაციის შედარებითი მაღალი დონე გამოწვეული იყო დანახარჯების, ანუ დანახარჯების იმ დონით, რომელიც აუცილებელი იყო პროდუქციის წარმოებისათვის კონკურენციის ახალ პირობებში (რადგანაც კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება მოითხოვდა უახლესი მანქანა-მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების დანერგვას, რაც დამატებით დანახარჯებთან იყო დაკავშირებული) ამავე ავტორის თანახმად უნგრეთში ფასების ზრდის ტემპი 1997-99 წლებში შემცირდა ორჯერ-18,4%-დან 9,5%-მდე, რაც გამოწვეული იყო განვლილ პერიოდში განხორციელებულ სტრუქტურული

გარდაქმნებით, რის შედგად შრომის მწარმოებლურობის ამაღლება (118.გვ37-42).

როგორც ვხედავთ უნგრეთმა უპირატესობა მიანიჭა ევოლუციური გარდაქმნების სტრატეგიას. აღნიშნულ სტრატეგიის ფარგლებში განხორციელდა: შოკური თერაპიის“ მოდელის ძირითადი ღონისძიებები: ლიბერალიზაცია და სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზება. მართალია უნგრეთმა პოლონეთთან და სლოვენიასთან შედარებით გვიან 1999 წლისათვის მიაღწია ეკონომიკური საქმიანობის კრიზისამდელ დონეს, მაგრამ ინსტიტუციური მშენებლობისა და სტრუქტურული გარდაქმნების თვალსაზრისით მას ერთ-ერთი მოწინავე პოზიცია უკავია პოსტსოციალისტურ ქვეყნებს შორის.

საინტერესოა სლოვენიის ეკონომიკური ფენომენის განხილვა, ვინაიდან ამ ქვეყანამ სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებთან შედარებით სწრაფად გადაჭრა გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი პრობლემები: წარმოების დაცემა გრძელდებოდა სულ 3 წლის (1990-1992)განმავლობაში, თანაც ეეპ-ის შემცირება არ იყო მაინცდამაინც დიდი– იგი შემცირდა დაახლოებით 20%-ით. ქყეყანამ სწრაფად თქვა უარი თვითმმართველობის იუგოსლავიურ სისტემაზე, მაგრამ წინანდელ სისტემაზე უარის თქმა არ გამოხატულა მის მკვეთრ დარღვევაში, როგორც ამას ადგილი ჰქონდა პოსტსოციალისტურ, განსაკუთრებით კი ყოფილ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფ ქვეყნებში.

ეკონომიკური რეფორმები ხორციელდებოდა საკმაოდ თანმიმდევრულად და ამავე დროს თანდათანობით. ფასწარმოქმნის სფეროში რეფორმა განხორციელდა შოკური თერაპიის გზით. ერთდროულად ადგილი ჰქონდა საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციას. ფინანსური სტაბილიზაციის უზრუნველყოფის

მიზნით შემოღებული იქნა ეროვნული ვალუტა, რომელიც თავიდან მიბმული იყო გერმანულ მარკასთან(ფინანსური სტაბილიზაციის რეფორმა სლოვენიაში დღესაც გრძელდება). გატარდა ღონისძიებები უდეფიციტო ბიუჯეტის უზრუნველსაყოფად და ა.შ. აღნიშნული ღონისძიებების პარალელურად, რეფორმების საწყისი ეტაპიდანვე სლოვენიამ პრიორიტეტულ მიმართულებად აღიარა მოსახლეობის ცხოვრების დონის სწრაფი და მნიშვნელოვანი ამაღლება, ეროვნული წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ქვეყნის ეკონომიკის ინტეგრაცია საერთოევროპულ სტრუქტურაში. მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა თავიდანვე მიმართული იყო მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების წახალისებისაკენ და საექსპორტო წარმოების აღორძინებისაკენ (103.გვ.48-52).

სლოვენიამ უარყო სახელმწიფო სექტორის სწრაფი ლიკვიდაციის გზა და პრივატიზების საკითხისადმი გამოავლინა ფრთხილი მიდგომა. მხოლოდ სახელმწიფო სექტორის პრივატიზების შესახებ კანონის განხილვას დასჭირდა ორი წელი და კანონის მიღების შემდეგ (1992წ) პრივატიზების პროგრამის ეტაპობრივი რეალიზაცია გრძელდებოდა დაახლოებით ექვსი წელი.

ამრიგად სლოვენიამ, ისევე როგორც უნგრეთმა აირჩია პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის შუალედური სტრატეგია, რაც გამოიხატა თანდათანობით, ევოლუციური ეკონომიკური გარდაქმნებისადმი ერთგულებაში.

საბაზრო ეკონომიკაზე ევოლუციური გადასვლის მოდელის თვალსაჩინო მაგალითია ჩინეთის გამოცდილება, სადაც 1978 წლიდან ხორციელდება საბაზრო-კონკურენციული ურთიერთო-ბებისა და მექანიზმების თანდათანობითი ფორმირება და ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესის თანმიმდევ-რული დეცენტრალიზაცია.

ჩინეთში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები მიზნად ისახავდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მომსახურებისა და ვაჭრობის სფეროში არასახელმწიფო სექტორის ჩამოყალიბება–განვითარებასა და თავისუფალი ფასწარმოქმნის სისტემაზე თანდათანობით გადასვლას. ამასთან პრაქტიკულად გამოირიცხა სახელმწიფო სამრეწველო საწარმოების პრივატიზება. პირიქით, რეფორმების პროცესში შენარჩუნებული იქნა მასშტაბური სახელმწიფოებრივი სექტორი, რომლის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მიზნით განხორციელდა სახელმწიფო საწარმოთა საქმიანობის კომერციალიზაცია. აღნიშნული ღონისძიებების მთავარ მიზანს წარმოადგენდა წარმოების სტაბილიზაცია, პროდუქციის გამოშვების მოცულობის გადიდებისათვის სათანადო მატერიალური სტიმულების შექმნა.

ჩინეთში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების წარმატებაზე მიუთითებს ის, რომ ამ ქვეყანაში ტრანსფორმაციული კრიზისი, ანუ წარმოების შემცირება საერთოდ არ დაფიქსირებულა. პირიქით, ჩინეთში ეეპ-ის საშუალო–წლიური ზრდის ტემპი 1980–1994 წლებში ყველაზე მაღალი იყო მსოფლიოში და აღემატებოდა 10%.

ჩინეთში განხორციელებული რეფორმები შეიძლება დაიყოს ოთხ ეტაპად (83.გვ.52). ინდუსტრიალიზაციის სფეროში მიღწეული შედეგების მიუხედავად, ჩინეთი წარმოადგენდა უპირატესად აგრარულ ქვეყანას, რომლის შრომისუნარიანი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი (დაახლოებით 71%) დასაქმებული იყო სოფლის მეურნეობაში. ამიტომ პირველ სტადიაზე 1978–1984 წლებში, რეფორმები უმთავრესად განხორციელდა სასოფლო–სამეურნეო სფეროში.

რეფორმების პროცესში განხორციელდა სახალხო კომუნების ლიკვიდაცია და საოჯახო იჯარის დანერგვა, ანუ კომუნის წევრი

გლეხების გადაქცევა მცირე ფერმერებად, რომლებსაც მიეცათ მიწის ინდივიდუალური დამუშავებისა და ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებების გასტუმრების შემდეგ დარჩენილი შემოსავლების დატოვების უფლება. ერთდროულად მნიშვნელოვნად ამაღლდა შესასყიდი ფასები, რამაც გლეხების დაინტერესება გამოიწვია.

ეკონომიკური რეფორმების ამავე ეტაპზე საქმიანობის მთელ რიგ სფეროში არასახელმწიფო სექტორის საქმიანობისათვის შეიქმნა ხელსაყრელი პირობები. განსაკუთრებით აღსანიშნავია აგრარულ რეგიონებში საბაზრო საფუძვლებზე მომუშავე ახალი სამრეწველო საწარმოების შექმნა, რომლებიც ახორციელებდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებას.

ღია ეკონომიკაზე თანდათანობით გადასვლის მიზნით დაიწყო ერთობლივი საწარმოებისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების შექმნა, სადაც უცხოური კაპიტალის მოზიდვისა და წარმოების წახალისებისათვის შემოღებული იქნა საგადასახადო და საკრედიტო შეღავათები.

ეკონომიკური რეფორმების მეორე სტადიაზე 1984-1988 წლებში შემოღებული იქნა ორმაგი ფასწარმოქმნის სისტემა. ანუ თანაარსებობდა ფიქსირებული სახელმწიფო ფასები, რომლითაც გლეხები სახელმწიფოს აბარებდნენ ხელშეკრულებით განსაზღვრულ პროდუქციის მოცულობას და საბაზრო ფასები, რომლითაც ხდებოდა ნამეტის თავისუფალი რეალიზაცია. ამავე ეტაპზე განხორციელდა საბიუჯეტო უფლებამოსილებათა დეცენტრალიზაცია და სახელმწიფო საწარმოების კორპორაციული მართვის გაუმჯობესება, აგრეთვე საბანკო სისტემის როლის ამაღლება საწარმოთა საქმიანობის დაფინანსებაში.

მესამე სტადიაზე, 1988-91 წლებში ჩინეთში წარმოიშვა სერიოზული პრობლემები, რაც განაპირობა ეკონომიკური ზრდის

მაღალი ტემპებით გამოწვეულმა ინფლაციურმა „გადამეტხურებამ“ და მაკროეკონომიკურმა დაუბალანსებლობამ. ამიტომ 1988 წლიდან ჩინეთმა დაიწყო მკაცრი საფინანსო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება და კურსი აიღო სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპის შენელებისაკენ, რომლის მიზანსაც შეადგენდა ერთობლივი მოთხოვნის შემცირება.

1992 წლიდან იწყება ახალი ეტაპი „ღია“ ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების სფეროში, რომლის ძირითადი ელემენტებია სახელმწიფო საწარმოთა საქმიანობის კომერციალიზაციის გაძლიერება და უცხოური ინვესტიციებისათვის განსაკუთრებით შედავათიანი რეჟიმების, თავისუფალი ეკონომიკური ზონების განვითარება.

ამრიგად, ჩინეთში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების არსი მდგომარეობს სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების თანდათანობით ცვლილებაში და საბაზრო-კონკურენციული ურთიერთობების ევოლუციურ ფორმირებაში.

რუსეთმა 1992 წლის დასაწყისიდან, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის გამოცდილების გათვალისწინებისა და მსოფლიო სავალუტო ფონდის რეკომენდაციის საფუძველზე, აირჩია რადიკალური რეფორმების გზა „შოკური თერაპიის“ კონცეფციის შესაბამისად. რეფორმატორების არჩევანი მნიშვნელოვანწილად განაპირობა საბჭოთა კავშირში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ჩამოყალიბებული, არაეფექტური ეკონომიკური სისტემის რადიკალური გარდაქმნის აუცილებლობამ.

რუსეთში, ისევე როგორც პოლონეთში განხორციელებული სრულმასშტაბიანი ლიბერალიზაციის და ფინანსური სტაბილიზაციის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ინფლაციური მოლოდინის აღმოფხვრა და სახელმწიფო საწარმოთა ორიენტირება

არა სახელმწიფოსაგან სუბსიდიებისა და დოტაციების მისაღებად, არამედ მოგების უზრუნველსაყოფად. მასიური პრივატიზება კი მიჩნეული იყო ეფექტური კერძო სექტორის ჩამოყალიბებისა და საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის გაჯანსაღების ძირითად პირობად.

უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით რუსეთში რადიკალური ეკონომიკური რეფორმების იდეას არ გააჩნდა მოსახლეობის ფართო ფენების მხარდაჭერა. მოსახლეობის უკმაყოფილების თავიდან აცილების მიზნით მთავრობა ხშირად მიდიოდა დათმობაზე სხვადასხვა ჯგუფების წინაშე, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ მბრძანებ-ლურ–ადმინისტრაციულ ეკონომიკური სისტემის ცალკეული ელემენტების შენარჩუნებით. აღნიშნულმა ფაქტორმა მნიშვნელოვან-წილად განაპირობა მთავრობის მიერ არათანმიმდევრული და წინააღმდეგობრივი, ურთიერთგამომრიცხავი ნაბიჯების გადადგმა.

რუსეთში ეკონომიკური კრიზისის გაღრმავებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზებამ ვაუჩერების მეშვეობით; გადაუხდელობის პრობლემის გამწვავებამ და საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი ინსტიტუტების ფორმირებისადმი რეფორმების საწყის ეტაპზე სათანადო ყურადღების მიუქცევლობამ.

ზემოთ აღნიშნულმა მიზეზებმა გარკვეული როლი შეასრულეს რუსეთში არსებული სოციალურ–ეკონმიკური კრიზისის გახანგრძლივებაში. რუსეთსი მხოლოდ 1999 წლიდან აღინიშნა ეეპ-ის ზრდა, თუმცა როგორც ა.ნესტერენკო აღნიშნავს, რუსეთში გარდამავალი პერიოდი დასრულდა, რაც გამოიხატება საბაზრო ეკონომიკის ფორმირებაში და სათანადო ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში (107.გვ.4).

რუსეთში განხორციელებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ეკონომიკური პროცესე-ბის განვითარება საქართველოში. 1992 წლიდან საქართველო იძულებული გახდა აერჩია ეკონომიკური გარდაქმნების „შოკური თერაპიის“ მოდელი, რომელიც წარმოადგენდა რეაქციას რუსეთში დაწყებულ ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით.

1992 წელს განხორციელდა ფასების ეტაპობრივი ლიბერალიზაცია, რის შედეგადაც სამომხმარებლო დანიშნულების საქონლისა და მომსახურების დაახლოებით 90%- ის საცალო ფასები და საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის 95%-ის ფასები განთავისუფლდა სახელმწიფოს ადმინისტრაციულ კონტროლისაგან. სახელმწიფომ კონტროლქვეშ დატოვა მხოლოდ ფქვილის, პურის, ელექტროენერგიისა და საზოგადოებრივი ტრანს-პორტით მგზავრობის ფასები,რომლებიც აგრეთვე მნიშვნელოვნად გაიზარდა 1992წლის ბოლოსთვის (67.გვ48).

ფასების ლიბერალიზაციამ გამოიწვია ჩახშობილი ინფლაციის გადაყვანა ღიაში. ამავე დროს ქვეყანაში არსებული საერთო ვითარების (პოლიტიკური, სოციალური, კრიმინოგენური). გამწვავებამ, ათეულობით წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული სამეურნეო კავშირების რღვევამ, სტრუქტურული რეფორმების პროცესებმა დამიმოქცევაში ახლად შემოღებული კუპონის უთავბოლო ემისიამ განაპირობა ინფლაციის ჰიპერინფლაციაში გადაზრდა, საგადასახადო დისციპლინის მოშლა,წარმოების დაცემა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების მკვეთრი გაუარესება.

აღნიშნული პრობლემების გადაჭრის მიზნით საქართველოს მთავრობამ 1994 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამის განხორციელება, რომლის ძირითადი მიზნები იყო: მკაცრი ფულად-საკრედიტო

პოლიტიკის გატარება; ინფლაციის ტემპის მინიმალურ, დასაშვებ დონემდე შემცირება; ეროვნული ვალუტის შემოღება; ბიუჯეტის დეფიციტის მკვეთრი შემცირება, ხარჯების შემცირებისა და შემოსავლების გადიდების გზით; საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად საბანკო და საგადასახადო სისტემების ფორმირება და ა.შ. აღნიშნულმა ღონისძიებებმა დადებითი შედეგები მალე გამოიღო, რაც უპირველეს ყოვლისა გამოიხატა 1995 წლიდან წარმოების დაცემის შეწყვეტაში–1995 წლისათვის მშპ-ის მოცულობა გაიზარდა 2,4%-ით. 1996-1997 წლები ეკონომიკური ზრდის ყველაზე მაღალი ტემპით ხასიათდება

ცხრ.1.3.2. მშპ-ის ზრდის ტემპი 1990-2001წლებში (71.)

წლები	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001
მშპ-ის რეალური ცვლილება წინა წელთა	-15	-21	-44	-29	-11	2.4	11.2	10.6	2.9	3.0	2.0	4.5

საქართველოში, ისევე როგორც რუსეთში სახელმწიფო საწარმოთა მასიური, პრაქტიკულად უსასყიდლო პრივატიზება განხორციელდა ვაუჩერების მეშვეობით, რითაც იხეირეს არა შრომითმა კოლექტივებმა და საქართველოს უბრალო მოქალაქეებმა, არამედ საწარმოთა დირექტორებმა, სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის მაღალჩინოსნებმა და ა.შ. ამსთან საპრივატიზებო ობიექტების უდიდესი ნაწილი გაიყიდა ხელოვნურად შემცირებული ფასებით. რამაც მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტს. პრივატიზების ასეთი გაუმართლებელი

მეთოდი წარმოადგენს პრივატიზებული ობიექტების 40-45%-ის უმოქმედობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს.

მიუხედავად ზემოთაღნიშნულისა, უნდა ვაღიაროთ რომ პრივატიზების სფეროში გარკვეული წარმატებებია მიღწეული. 2001წ. 1 იანვრის მდგომარეობით ფაქტიურად პრივატიზებული იყო 15376 მცირე საწარმო, ხოლო ამავე პერიოდისათვის 1312 საშუალო და მსხვილი საწარმო იყო ჩამოყალიბებულ სააქციო საზოგადოებად.

საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შემდგომი დაჩქარება დაკავშირებულია ინსტიტუციურ და სტრუქტურულ ცვლილებებთან, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ შიდა და საგარეო ბაზრებთა ადაპტირებული, კონკურენტუნარიანი ეროვნული მეურნეობის ფორმირება.

როგორც ცალკეული ქვეყნების გამოცდილების განხილვამ გვიჩვენა საბაზრო რეფორმების შედეგიანობას და ეკონომოკის რესტრუქტურიზაციის წარმატებას განაპირობებს არა ეკონომიკური ტრანსფორმაციის ამა თუ იმ მოდელის შერჩევა, არამედ რეფორმების თანმიმდევრული და სისტემატური განხორციელება.

.

თავი 2. საქართველოს აგროსასურსათო სექტორის რესტრუქტურიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მისი განვითარება

2. 1 საქართველოს აგროსასურსათო სექტორის არსებული სტრუქტურა და მისი გარდაქმნის აუცილებლობა

საქართველოში, მთელი რიგი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ზეგავლენით, 1989 წლიდან დაიწყო და ჩამოყალიბდა არაციკლური, სისტემური ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც მოიცვა ეროვნული მეურნეობის ყველა დარგი, განსაკუთრებით კი სოფლის მეურნეობა, რომლის განვითარებაც დამოკიდებულია ეროვნული მეურნეობის ისეთ უმნიშვნელოვანეს დარგებზე, როგორიცაა მრეწველობა, მშენებლობა, ტრანსპორტი და სვა. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ყურადღება გავამახვილოთ მთლიანად ქვეყნის დარგობრივი სტრუქტურის რესტრუქტურიზაციის თავისებურებებზე. საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი პერიოდი საქართველოში ხასიათდება ხანგრძლივი ეკონომიკური არასტაბილურობით: ა)სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნის საწყის ეტაპზე (1989-1994 წლებში) მკვეთრად შემცირდა პროდუქციის გამოშვების რეალური მოცულობა. მისმა მინიმალურმა დონემ 1994 წლისათვის შეადგინა 1990 წლის შესაბამისი დონის 27,5%. შემდგომ პერიოდში ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე უარყოფითად იმოქმედა წარმოების ზრდის ტემპების ძლიერმა მერყეობამ.

ცხრილი 2.1.1. საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური პროცენტული ცვლილება (ზრდის ტემპები) 1990-2004 წლებში, პროცენტებში

	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004
ზრდის ტემპი წინა წელთან	-15,0	-21,0	-44,2	-29,3	-11,0	2,4	11,0	10,6	2,9	3,0	2,0	4,5	5,5	8,6	8,4

1995 წლიდან დაწყებული წარმოების ერთგვარი გამოცოცხლება (რომელიც ხასიათდებოდა წარმოების ზრდის ორი რეცესიით-1998 წელს მ.შ.პ-ს ზრდის ტემპი შმცირდა დაახლოებით 3,6-ჯერ, ხოლო 2000 წელს 1,5-ჯერ.1996-2003 წლებში ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების საშუალო მატება 5,3%-ის ტოლი იყო) საკმარისი არ არის ეკონომიკური განვითარების საჭირო დონის მისაღწევად. იგი ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის სრულფასოვან გამოყენებას და მის შენარჩუნება–განახლებას.

პროფ. გ. მალაშხიას თანახმად „პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის განვლილ პერიოდში განადგურდა ქვეყნის საწარმოო პოტენციალის მნიშვნელოვანი ნაწილი, ახლად შექმნილი სიმდიდრე ბევრად ნაკლებია მწყობრიდან გამოსულ სიმდიდრეზე.”(34.გვ.152.120.144.277) წარმოების დაცემა საქართველოში თან ახლდა განვითარების მიღწეული დონის გარკვეული დაკარგვა-დაახლოებით 15-20%-ის ფარგლებში, აღნიშნული პროცესი დღემდე გრძელდება. საწარმოო სიმძლავრეთა არასრული, მინიმალური დატვირთვის პირობებში, როდესაც ცალკეულ დარგებში სიმძლავრეები მხოლოდ 5-10%-ითაა დატვირთული, მოძველებული მანქანა-დანადგარების განახლებაზე საუბარი ზედმეტია. პირიქით

ადგილი აქვს ექსპლოატაციისათვის ვარგისი მოწყოლობების უცხოეთში გაყიდვას, რაც განაპირობებს ეკონომიკური განვითარების დონის ვარდნას. ბ) გაუარესდა მოსახლეობის ცხოვრების პირობები. სახეზეა მოსახლეობის როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი გაღარიბება. მოსახლეობის აბსოლუტურ გაღარიბებაზე მიუთითებს საყოფაცხოვრებო, საოჯახო და კულტურული ნივთების რაოდენობის ცვლილება 1990-2003 წლებში.

ცხრილი. 2.1.2. კულტურული და საყოფაცხოვრებო, საოჯახო ნივთების რაოდენობა 100 ოჯახზე (ცალი) (34.გვ.152).

	1990 წ.	1998წ.	1998 წელს %-ობით 1990 წ-ის მიმართ	2002	2003	2003 წელს %-ობით 1990 წ-ის მიმართ
მაცივარი	97	87	75,2	81	75	77,3
რადიომიმღები	101	45	44,6	22	21	20,7
ტელევიზორი	108	82	82,4	91	92	85,2
მტვერსასრუტი	38	22	58,5	22	20	52,6
საკერავი მანქანა	65	53	81,5	50	48	73,8
მაგნიტოფონი	49	32	65,3	33	32	65,3
ფოტოაპარატი	89	12	13,5	18	18	20,22
მსუბუქი ავტომობილი	31	16	51,6	20	20	64,5
მოტოციკლი, მოპედი	45	10	22,0	1	1	2,2

წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი საქ. სტატისტიკის წელიწდეული 2001. თბ. 2002 წ.

მოსახლეობის აბსოლუტურ გაღარიბებას განაპირობებს მისი შემოსავლების დაბალი დონე. 1996-2000 წლებში ხელფასის წილი მშპ-ში მერყეობდა 18-23%-ის ფარგლებში. მაშინ როდესაც მსოფლიოს

წამყვან ქვეყნებში იგი 50-70%-ის ფარგლებშია. უმუშევრობის მაღალი დონე, დასქმებულთა დაბალი შრომის ანაზღაურება (რაც მიუთითებს ფარულ უმუშევრობაზე), შემოსავლების განაწილებისა და გადანაწილების სისტემის არაეფექტიანობა და კორუფციის მასშტაბური აყვავება ხელს უწყობს მოსახლეობის შეფარდებით გაღარიბებას. იგი განაპირობებს მოსახლეობის მცირე ნაწილის გამდიდრებას და ქონებრივი დიფერენციაციის გაღრმავებას, რაც იწვევს მცირეშემოსავლიანი ნაწილის ცხოვრების პირობების შემდგომ გაუარესებას.

ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველომ განიცადა ნაწილობრივი ეკონომიკური კატასტროფა, რამაც ეროვნულ მეურნეობაში გამოიწვია ანომალური (ქაოსური, არაბუნებრივი, საერთო კანონზომიერებისაგან გადახრილი) მდგომარეობის წარმოშობა. საქართველოს ეკონომიკის ანომალურობა გამოიხატა მისი მთლიანობითი სისტემის რღვევით, ცალკეული ელემენტების ატროფირებით, ქმედითუნარიანობის დაქვეითებით. მოიშალა ეკონომიკის ერთიანი ორგანიზმის რეგულირების შინაგანი მექანიზმი, უკიდურესად შესუსტდა სახელმწიფოს რეგულირების როლი, გარე ფაქტორების მარეგულირებელი ზემოქმედება ეკონომიკაზე ხშირ შემთხვევაში არაეფექტიანი და საზიანოც გახდა (34.გვ.112.121). სახეზეა მაკროეკონომიკური დისპროპორციების კვლავწარმოება, ქართული ეკონომიკის დაბალი ეფექტიანობა და დაბალი კონკურენტუნარიანობა, საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პრობლემების პერმანენტული გამწვავება, მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემის პრაქტიკული არარსებობა და ა.შ. ვერ

მოხერხდა გარდამავალი ეკონომიკის პირობების შესაბამისი ეფექტიანი სამართლებრივი და ინსტიტუციური სისტემის ფორმირება.

მაკროეკონომიკური დისპროპორციებიდან უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ერთობლივი მოთხოვნის მოცულობისა და სტრუქტურის დაუბალანსებლობა ერთობლივი მიწოდების მოცულობითა და სტრუქტურით, რის გამოც სახეზეა ადგილობრივი წარმოების საქონლისა და მომსახურების დეფიციტი, იმპორტული პროდუქციისა და საგარეო დავალიანების ზრდა და ა.შ.

აღსანიშნავია ისიც, რომ მიწოდების არსებული სტრუქტურა ვერ აკმაყოფილებს უპირველეს სასიცოცხლო დანიშნულების პროდუქციაზე (კვების პროდუქტები, მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია, მედიკამენტები და ა.შ.) მოთხოვნას.

სამამულო წარმოების დაბალი ეფექტიანობა და კონკურენტუუნარობა, როგორც შიდა, აგრეთვე საგარეო ბაზარზე გამოწვეულია: ტექნოლოგიური ჩამორჩენილობით; საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი სტრუქტურებისა და ინსტიტუტების განუვითარებლობით; სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაბალი დონით; სამეწარმეო საქმიანობის მონოპოლიზაციის მაღალი ხარისხით; საქმიანი ურთიერთობების ლიბერალიზაციის უკმარისობითა და ეკონომიკის გახსნილობის არასაკმარისი დონით; წარმოების მართვისა და ორგანიზაციის თანამედროვე ფორმების განუვითარებლობით; ინოვაციათა უკმარისობითა და ბიზნესის სფეროს მცირე ეფექტიანობით; ფინანსური რესურსების დეფიციტითა და კაპიტალდაბანდებათა უკიდურესად დაბალი მასშტაბებით;

სახელმწიფოს სისუსტითა და მისი ღონისძიებების დაბალი ეფექტიანობით, კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის მაღალი დონით, კონტრაბანდის დიდი მასშტაბებით.

ეკონომიკური კრიზისის გაღრმავება-გახანგრძლივებაში არსებითი როლი შეასრულა პრიორიტეტების არასწორმა შერჩევამ. ეკონომიკური რეფორმების საწყისი ეტაპიდანვე უპირატესობა მიენიჭა ფინანსური სტაბილიზაციის, უპირველეს ყოვლისა კი ინფლაციის მინიმალურ დონემდე შემცირებისა და სავალუტო კურსის სტაბილიზების უზრუნველყოფას, რამაც გამოიწვია ეკონომიკური ზრდის მეორეხარისხოვან პრობლემად გადაქცევა. ასე, მაგალითად, ფინანსური სტაბილიზაციის ამოცანების მისაღწევად ხორციელდება მიმოქცევაში მყოფი ფულადი მასის მკვეთრი შეზღუდვა, რაც ხელს უშლის ადგილობრივი წარმოების, განსაკუთრებით კი მრეწველობის აღორძინებას. მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების უკიდურესი ლიბერალიზაცია და იმპორტული საქონლის მოძალება, რაც ჩვენთან ძირითადად ხდება კონტრაბანდული გზებით. შესაბამისად, მნიშვნელოვნად მცირდება იმპორტის ღირებულება, რაც მას უპირატესობას ანიჭებს ადგილობრივ ნაწარმთან შედარებით. აშკარაა რომ ეკონომიკური ზრდის სათანადო დონის უზრუნველსაყოფად საჭიროა მიმოქცევაში არსებული ფულის მასის გადიდება და სამამულო წარმოების ხელშემწყობი პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება, მაგრამ ხელისუფლება აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისაგან თავს იკავებს ფინანსური სტაბილიზაციის სფეროში ხელოვნური მეთოდებით სტატუსკვოს შენარჩუნების მიზნით.

პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის განვლილი პერიოდში ჩამოყალიბებულმა ნეგატიურმა მაკრო და მიკრო ეკონომიკურმა ტენდენციებმა, პრიორიტეტების შერჩევისას დაშვებულმა შეცდომებმა, ღრმა ცვლილებებმა მწარმოებლური ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების, სოციალური, სამართლებრივი და ინსტიტუციური ფაქტორების სისტემაში გამოიწვია ფუნდამენტური ცვლილებები ეროვნული მეურნეობის დარგობრივ და რეგიონულ სტრუქტურაში.

ერთი შეხედვით დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს მატერიალური წარმოების (მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და მშენებლობის) სექტორის ხვედრითი წილის მკვეთრი შემცირება მთლიან შიგა პროდუქტში და მომსახურების წილის შესაბამისი ამაღლება. ასე, მაგალითად, 1990 წლისათვის მატერიალური წარმოების სექტორის წილი შეადგენდა 66%-ს, მომსახურების სექტორისა 34%-ს, ხოლო 2001 წლისათვის მატერიალური წარმოების წილი შემცირდა 41,4%-მდე, მომსახურების წილი კი გაიზარდა 58,6%-მდე (71.გვ2).

იდენტური ტენდენციებით ხასიათდება დასავლეთის ინდუსტრიული ქვეყნების ეროვნული მეურნეობების სტრუქტურაც. ეს პროცესი იქ გამოწვეულია პოსტინდუსტრიული საზოგადოების საფუძვლების ფორმირების მოთხოვნილებებით, რაც განაპირობებს მომსახურების სფეროს (ინფორმაციული, კომუნიკაციური, ტექნოლოგიური და ა.შ.) დაჩქარებული ტემპებით განვითარებასა და მშპ-ში მისი წილის ამაღლებას, მატერიალური წარმოების სფეროშ გამოშვებული პროდუქციის აბსოლიტური მოცულობის განუხრელი ზრდის პარალელურად. საქართველოში კი მშპ-ში

მომსახურების წილის ამაღლება განხორციელდა საყოველთაო ეკონომიკური კრიზისის (რომელმაც მოიცვა თვით მომსახურების დარგები და გამოიწვია მატერიალური წარმოების გაჩანაგება-განადგურება) შედეგად.

პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის განვლილ პერიოდში ყველაზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მრეწველობისა და მშენებლობის წამყვანი დარგები. პროფ. ნ. ჭითანავას თანახმად, რეფორმამდელ საქართველოს ეკონომიკაში მრეწველობას განსაკუთრებული ადგილი და როლი გააჩნდა. მაღალ დონეზე იყო განვითარებული ელექტროენერგეტიკა, სათბობის, მეტალურგიული, მანქანათმშენებლობის, ქიმიური, ხე-ტყის, კვების, მსუბუქი, საშენი მასალებისა და სხვა სახის მრეწველობა (60.გვ.185).

მრეწველობის დარგებში არსებულ უმძიმეს მდგომარეობაზე მიუთითებს სამრეწველო პროდუქციის სტრუქტურის, მრეწველობის დარგების მიხედვით სამრეწველო პროდუქციის მოცულობის ინდექსებისა და მუშაკთა საშუალო წლიური რიცხოვნობის ცვლილებები: გაუარესდა სამრეწველო პროდუქციის სტრუქტურა, რაც გამოიხატა სამრეწველო პროდუქციის მთლიან მოცულობაში დამუშავებითი მრეწველობის ხარჯზე მოპოვებით მრეწველობის წილის ამაღლებაში. იგი 1990-1998 წლებში გაიზარდა 2,5-ჯერ-4,9%-დან 12,3%-მდე. ამ ტენდენციას ადასტურებს ის, რომ 1998 წლისათვის გამოშვებული სამრეწველო პროდუქციის მოცულობამ შეადგინა 1990 წლისათვის მიღწეული დონის 15,8%. ამასთან ეკონომიკურმა კრიზისმა ძირითადი დარტყმა მიაყენა დამუშავებით მრეწველობას, სადაც პროდუქციის გამოშვება 1998 წლისათვის, 1990 წელთან

შედარებით, შემცირდა 12,1%-მდე, ანუ 8,4-ჯერ. შედარებით ნაკლები ზიანი მიადგა მოპოვებით მრეწველობას-1998 წლისათვის 1990 წელთან შედარებით წარმოებულია მხოლოდ 2,2-ჯერ ნაკლები პროდუქცია, შესაბამისად აღინიშნა მშპ-ში მრეწველობის წილის მკვეთრი შემცირება 24%-დან (1990 წელს) 12%-მდე 2001 წლისთვის (71.). პროდუქციის გამოშვების მოცულობები ყველაზე მეტად შემცირდა შავი მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის და ლითონდამუშავების, სათბობის მრეწველობის, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის, სამშენებლო მასალების, მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგებში, ანუ იმ სფეროებში, რომლებიც განსაზღვრავენ ეკონომიკურ ზრდას.

ამრიგად, საქართველოში ერთროულად მოხდა როგორც მრეწველობის წილის მკვეთრი შემცირება მშპ-ში, აგრეთვე სამრეწველო წარმოების სტრუქტურის გაუარესებაც, რადგანაც თითქმის შეწყდა მანქანებისა და მოწყობილობების (ელმავლები, ჩარხები, სატვირთო ავტომანქანები და ა.შ.), ხელსაწყოების ელექტრონული მანქანების, მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის გამოშვება.

აშკარაა, რომ საქართველოში აღინიშნება მრეწველობის სტრუქტურის ტრანსფორმაცია მარტივი ტექნოლოგიური ხასიათის წარმოების მიმართულებით და წარმოების მოცულობის შედარებით მკვეთრი დაცემა წარმოების ტექნოლოგიური ბაზისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განმსაზღვრელ დარგებში, რაც უარყოფით ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქციის წარმოება 1990-2002 წლებში

	წარმოება, ათასი ტონა												
	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002
თავთავიანი კულ-თურები-სულ	666,30	574.30	503,40	409,5	481,0	516,20	652,2	901,9	597,8	780,4	420,5	713,6	680,0
მ. შ.. ხორბალი	257,7	210,3	190,7	114,0	89,3	76,5	107,4	291,7	144,6	226	89,4	306,5	200
სიმინდი	270,2	242,5	220	242,8	342,8	386,5	490,9	546,3	420,2	490,5	295,9	288,6	400
ლობიო	7,1	6,6	6,7	6,8	10,4	14,7	21,7	10,1	9,2	9,3	2,6	9,9	9,9
მზესუმზირა	7,7	6,9	7,3	3,2	7,7	7,1	4,0	31,4	22,8	40,5	2,6	41,8	20,0
კარტოფილი	293,8	254,3	210,8	248,6	296,9	353,3	285,6	353,0	31	443	302,0	422.2	415
ბოსტნეული	443,2	356,4	308,3	386,3	442,5	428,3	423,9	513,9	380	417	354,2	396,0	405
ბაღჩეული	38,8	20,20	13,1	10,4	9,20	12,9	31,5	27	32,2	108,15	80,0	83,9	130
ხილი	591,2	400,3	336,8	269,6	372,6	383,9	361	299,3	278,9	296	250,0	200,0	150
ყურძენი	691	518,1	328,4	352,3	284,5	422,4	311,3	309,1	238,5	230	210,0	150,0	80
ციტრუსები	283,1	201,8	138,1	41,1	97,7	118,0	86,8	57,1	85,1	56	40,0	60,0	33
ჩაი	501,7	436,9	212,3	135,2	60,7	38,5	34	33,2	47,2	60	24,0	23,0	24
ხორცი	170,3	136,9	113,4	100,4	108,3	115,4	117,3	120,8	108,6	100,6	108,1	102,3	106
რძე	659,4	562,3	469,6	433,1	429,2	475,4	540,3	600,2	634,7	660,3	618,9	610	735
კვერცხი (ათასი ცალი)	769	638,1	297,3	242,8	250,6	269,4	350,2	370,4	380,4	390,1	361,4	395,4	413,5

მრეწველობის დარგში არსებული არასახარბიელო ტენდენცია აისახა ამავე დარგში დასაქმებულთა რაოდენობისა და სტრუქტურის ცვლილებაშიც. 1990-2000 წლებში დასქმებულთა რაოდენობა შემცირდა დაახლოებით 5-ჯერ, მაშინ როდესაც იმავე პერიოდში, მთლიანად ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხოვნება, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, შემცირებულია 1,6-ჯერ. დასაქმებულთა მკვეთრი შემცირება (როგორც აბსოლუტური, აგრეთვე შედარებით მაჩვენებლებში) აღინიშნა მსუბუქი მრეწველობის, მანქანათმშენებლობის, სამშენებლო მასალების მრეწველობისა და სხვა დარგებში.

90-იან წლებში განვითარებულმა მოვლენებმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროს, რომლის წილიც მშპ-ში 1991-2001 წლებში შემცირდა დაახლოებით 1,5-ჯერ (1990 წელს სოფლის-მეურნეობის წილი მშპ-ში იყო 31,9%, 2001 წელს კი 20,8%-ი შეადგინა). ამასთან დარგის მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობა ხასიათდება ცვალებადი დინამიკით, რაც გამოწვეულია ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზე დარგის მაღალი დამოკიდებულებით სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაჩანაგების გამო.

1990 წლის ბოლოსათვის საქართველოში იყო – 1744 სასოფლო სამეურნეო საწარმო, მათ შორის საბჭოთა მეურნეობა – 692, კოლმეურნეობა – 799 და სამეურნეობათაშორისო საწარმო – 253. საჭირო საკანონმდებლო ბაზისა და რეგლამენტის არ არსებობას მოჰყვა ქაოსი, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სტიქიური ნგრევა, საზოგადოებრივი ქონების დატაცება. სამწუხაროდ

საქართველოს კანონში „მეწარმეობის შესახებ” სოფელმა ვერ იპოვა თავისი ადგილი და ფუნქციები, საბაზრო ტიპის სოფლის მეურნეობას ქვეყანა ქმნის სოციალისტური სასოფლო სამეურნეო საწარმოების ბაზაზე, რაც მათ რესტრუქტურიზაციასა და ახალ რელსებზე გადაყვანას მოითხოვს.

რეფორმების წლებში კიდევ უფრო შემცირდა სოფლის მეურნეობის ძირითადი ფონდებით უზრუნველყოფის ადრე არსებული დაბალი დონე. მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო სასოფლო სამეურნეო მანქანათმშენებლობის საწარმოებმა პრაქტიკულად შეაჩერეს ტექნიკის ახალი ნიმუშების დამუშავება და ათვისება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა. მოიშალა სასოფლო სამეურნეო ტექნიკის ეფექტიანად გამოყენების ბერკეტები. რადიკალურად შეიცვალა სოფლად სოციალური ინფრასტრუქტურა, საწარმოო პოტენციალი ფაქტობრივად დაინგრა, მიწის ნაყოფიერება კი კატასტროფულად დაეცა. ეროზიას განიცდის სასოფლო სავარგულების დაახლოებით 1/3, მთლიანად შეწყვეტილია კულტურულ ტექნიკური და ჰიდროტექნიკური მელიორაციები.

საქართველოს აგრალურ სექტორში ჩამოყალიბებული კვლავწარმოების ტიპი აგროსამრეწველო კომპლექსის შიდაკავშირებს შლის, ფინანსურ კრიზისს უფრო აღრმავებს, იწვევს სოფლის მეურნეობის მომიჯნავე დარგების პარალიზებას. მოქმედი საგადასახადო, საფინანსო, საკრედიტო და სადაზღვევო პოლიტიკის შედეგად „სამეწარმეო უნარი” თითქმის გამოუყენებელია.

უკანასკნელი წლებისთვის დამახასიათებელია, რეფორმამდელი პერიოდის დონემდე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის

თანდათანობითი აღდგენის ტენდენცია. მიუხედავად ამისა, დარგში მრავალი პრობლემაა დაგროვილი. სახეზეა დარგის შინადაგროვების წყაროების ამოწურვა. პრაქტიკულად არ ხორციელდება მიწათმოქმედების მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებები, რის გამოც ადგილი აქვს ნიადაგის გამოფიტვასა და მისი ნაყოფიერების დაცემას. პროდუქციის წარმოება ძირითადად ხელით შრომას ეყრდნობა, რადგანაც განადგურდა და ფაქტიურად შეწყდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

არსებული ფინანსური რესურსები მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს მარტივი კვლავწარმოების პროცესებს. ჩამოუყალიბებელი საბაზრო მექანიზმი თავს ვერ ართმევს სამეურნეო კავშირების დარეგულირებას და ა.შ.(60.გვ215). ამასთან ერთად რეფორმები დაიწყო არა უშუალოდ ძირეული რგოლებიდან–წარმოებიდან, არამედ ზედა ეშელონებიდან, არადა საქართველოს პირობებიდან გამომდინარე იგი სწორედ სასურსათო კომპლექსის რეორგანიზაციით და მისი საწარმოების რესტრუქტურიზაციით უნდა დაწყებულიყო.

პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის სიძნელეებმა, საქართველოს ეროვნული მეურნეობისათვის დამახასიათებელი საერთო ნეგატიური ტენდენციების დამატებით, რეგიონებში წარმოშვა მთელი რიგი მწვავე პრობლემები. სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დეფიციტმა თითქმის ყველა რეგიონი, დატოვა აღნიშნული რესურსების გარეშე. ამასთან დაერთო რეგიონებში გამწვავებული კრიმინოგენური ვითარება, რამაც გააუარესა სამეწარმეო საქმიანობის პირობები. ამიტომ ეკონომიკური აქტივობა

ძირითადად აღინიშნება თბილისში და ნაწილობრივ რამდენიმე ქალაქში (ქუთაისი, ფოთი და ბათუმი), რომლებშიც თავმოყრილია მოქმედ საწარმოთა და საწარმოო სიმძლავრეთა ნახევარზე მეტი. საწარმოების მიერ დეკლარირებული მონაცემებით 2001 წლისათვის თბილისზე მოდის სამეწარმეო სფეროში პროდუქციის გამოშვების მთლიანი მოცულობის 49%-ზე მეტი. დაბალი ეკონომიკური აქტივობა კი თავის მხრივ უარყოფითად აისახება რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეზე და მოსახლეობის ცხოვრების პირობებზე. რეგიონებში მკვეთრად გამწვავდა უმუშევრობის პრობლემა, რამაც ხელი შეუწყო მასიურ მიგრაციას რეგიონებიდან თბილისში, უცხოეთში (ძირითადად რუსეთსა და ევროპის ქვეყნებში). ქვეყნის ფარგლები დატოვა და სამუშაოს შოვნის იმედით უცხოეთის ქვეყნებს მიაშურა შრომისუნარიანი მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის, მნიშვნელოვანმა ნაწილმა, რაც საერთო ეროვნული პრობლემაა.

90-იანი წლებიდან, როგორც მთლიანად საქართველოში ისე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ეკონომიკური ინფრასტრუქტურის არსებული მოდელი ახალი ძირეული ცვლილებების გარდაუალი პროცესის წინაშე დადგა. არასისტემატურად, სტიქიურად მაგრამ თანდათანობით დაიწყო სრულიად ახალი დარგობრივი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება. მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით დარგთა შეთანაწყობის ოპტიმალური მოდელი განსაზღვრული არ არის.

როგორც ცნობილია, აჭარა მცირე მიწიანია, მისი მთლიანი ფართობი 290000 ჰექტარს შეადგენს, მათშორის სასოფლო სამეურნეო

სავარგულებს უკავია მთელი ფართობის 22,1%, ამ მიწებიდან კი 40%-ზე მეტი ბუნებრივი საკვები სავარგულებია, რომელსაც მოსახლეობა მხოლოდ წელიწადში 3-4 თვის მანძილზე იყენებს. აჭარის მიწების მეცნიერულად დასაბუთებული, რაციონალური გამოყენება, მათი დაცვა და ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდა პირველი რიგის ამოცანა უნდა გახდეს. სოფლის მეურნეობის საწარმოო მიმართულების ფორმირებაში წამყვანი ადგილი სუბტროპიკულ კულტურებს უკავია. ეკონომიკური მნიშვნელობის მხვრივ მთავარ ადგილს ჩაი და ციტრუსები იკავებს. საქართველოში ციტრუსების წარმოების 68-70% აჭარაზე მოდის.

ცხრ. 2.1.3. ზოგიერთი სახის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ათვისების მდგომარეობა აჭარის ა.რ-ში (74)

№		გამოიყენება სამრეწ. გადამუშ.	გაიტანება რეგიონებში და სხვა ქვეყნებში	იყიდება ადგილობრივ ბაზარზე	რჩება გამოუყენებელი	შესაძლებელია მოც. ზრდა	გამოყენების საჭირო პირობები		
							გადამუშავ ტექნოლოგია	საწარმოო სიმძლავრეები	ბაზრის მოთხოვნილება რეალიზაცია
1	ციტრუსოვანთა ნაყოფი	–	+	+	+	+	+	–	+
2	ხილკენკროვნები	+	–	+	+	+	+	+	+
3	კივი, ფეიხოა	–	+	+	+	+	+	–	+
4	თხილი, კაკლი	–	+	+	–	+	+	–	+
5	ყურძენი	+	–	+	–	+	+	–	+
6	კარტოფილი	–	–	+	–	+	+	–	+
7	პომიდორი და ბოსტნეული	–	–	+	–	+	+	–	+
8	ტუნგო	–	–	–	+	+	+	+	–
9	თაფლი	–	+	+	–	+	+	+	+
10	თამბაქო	+	+	–	+	+	+	+	+
11	თუთის ფოთოლი აბრეშუმი	–	–	–	+	+	+	–	+
12	ჩაი	+	+	+	+	+	+	+	+
13	რძე	–	–	–	–	+	+	–	+
14	ხორცი	–	–	–	–	+	+	–	+

როგორც ცხრილიდან ჩანს ავტონომიური რესპუბლიკის აგროსამრეწველო სექტორის სანედლეულო ბაზა საკმაოდ ფართოა, რაც მრავალი სახის სასურსათო პროდუქციის ასორტიმენტისა და ნომენკლატურის გამოშვების საფუძველს ქმნის. ამ პოტენციალის რაციონალურად გამოყენება ხელს შეუწყობს, როგორც რეგიონის ისე ქვეყნის სასურსათო უშიშროების პრობლემის გადაწყვეტას.

ეროვნული მეურნეობის ნორმალურ ფუნქციონირებას, გარდა დარგობრივ და რეგიონალურ სტრუქტურაში არსებული პრობლემებისა, კიდევ უფრო ამძაფრებს მასშტაბური ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებობა.

ცხრ.2.1.4. სტატისტიკურად აღურიცხავი გამოშვების წილი საქართველოს ეკონომიკის მთლიან გამოშვებაში (ცალკეული დარგების მიხედვით) %.(71.)

წლები		1996	1997	1998	1999	2000	2001
ეკ-კის მთლიანი გამოშვება	დაკვირვებადი	26,9	27,4	28,3	29,2	32,8	32,7
	დაუკვირვებადი	73,1	72,6	71,7	70,8	67,2	67,3
მათშორის დაუკვირვებადი: –მრეწველობა		46	43	40	39	41	41
–სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, თევზჭერა.		9	9	9	9	11	10
–მშენებლობა		18	35	38	38	60	58
–ტრანსპორტი		38	35	36	37	35	39
–კავშირგაბმულობა		23	23	19	24	22	25
–ვაჭრობა		66	60	57	56	56	57
–სატუმროები და რესტორნები		62	61	60	64	67	71
–სხვა დარგები		24	27	31	33	40	36
–წილი მთლიან გამოშვებიდან		26,9	27,4	28,3	29,2	32,8	32,7

როგორც ცხრილიდან ჩანს, ბოლო წლებში ეკონომიკის მთლიან გამოშვებაში ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი შეადგენს დაახლოებით ერთმესამედს. ისი წილი განსაკუთრებით მაღალია ვაჭრობის, მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის დარგებში. ჩრდილოვანი ეკონომიკის ასეთი მასშტაბები ხელს უშლის ისედაც მინიმალურ დონეზე დაგეგმილ ბიუჯეტის შესრულებას, რაც სახელმწიფოს ართმევს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესებში ეფექტური ჩარევის შესაძლებლობებს.

საქართველოს ეკონომიკაში არსებულმა კრიზისმა უარყოფითად იმოქმედა ქვეყნის საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობაზე. რაც უპირველეს ყოვლისა აისახა ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობაზე, მათ სტრუქტურაზე. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მკვეთრად დაბალია ექსპორტის წილი მშპ-ში. მისი მნიშვნელობა ბოლო წლებში არ აღემატება 12-13%-ს. იგივე მაჩვენებლის მნიშვნელობა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში 2-3-ჯერ უფრო მაღალია. რაც შეეხება იმპორტს, 2000-2001 წლებში მისი მოცულობა, 2-ჯერ მეტია ექსპორტის მოცულობაზე (71), თანაც ქვეყანაში ძირითადად შემოდის სამომხმარებლო დანიშნულების საქონელი, საწარმოო დანიშნულების მანქანა-მოწყობილობების იმპორტი კი მკვეთრადაა შემცირებული.

საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში საქართველოს ეროვნული მეურნეობის ცალმხრივი (იმპორტზე ორიენტირებული), პასიური როლის ძირითადი მიზეზია თანამედროვე მანქანა-მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების დეფიციტი, სამამულო წარმოების დაბალი ეფექტიანობა სუსტია ინსტიტუციური

უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით ვერ აკმაყოფილებს გარდამავალი ეკონომიკის მოთხოვნებს, ვერ უზრუნველყოფს ეროვნული მეურნეობის ნორმალურ ფუნქციონირებას, მეწარმეთა და დაქირავებულ მუშაკთა, სახელმწიფო ინტერესების დაცვას, სათანადო ინვესტიციური გარემოს შექმნას.

საქართველოს ეკონომიკაში არსებული ვითარების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მისი სტრუქტურა უკიდურესად დეფორმირებულია. მინიმალურ დონეზე გამოიყენება ქვეყნის საწარმოო პოტენციალი. ქვეყნის უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს – პროდუქციის გამოშვების უკიდურესად დაბალი დონე; ეროვნული სიმდიდრის, მ.შ. საგანმანათლებლო, მეცნიერულ-ტექნიკური და საწარმოო პოტენციალის შემცირება; პერმანენტული და მწვავე საბიუჯეტო კრიზისი; ინვესტიციების უკმარისობა; საგარეო ვაჭრობის მნიშვნელოვანი უარყოფითი სალდოს არსებობა; საგარეო და საშინაო ვალის ზრდა; ფინანსური რესურსების დეფიციტი; ინოვაციათა უკმარისობა; მოსახლეობის აბსოლიტური უმრავლესობის გაღარიბება; მონოპოლიზმის მაღალი დონე; სტრუქტურული, ინსტიტუციური და ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა; ეკონომიკის მომხმარებლური ხასიათი; კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის მასიური ხასიათი; „ქვეყნის ეკონომიკის ასიმეტრიული ხასიათი, რაც გამოიხატება მშპ-ში წამყვან დარგის მრეწველობის წილის მნიშვნელოვან შემცირებაში, ხელს უშლის ბაზარზე საკუთარი პროდუქციის სათანადო ოდენობით მიწოდებას, მოსახლეობის დასაქმებას, ქვეყნის საწარმოო-ტექნიკური დონის ამაღლებას.”(34გვ.125)

ქვეყანაში ჩამოყალიბებული უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე, მეცნიერულ-ტექნიკური პტოგრესის დანერგვაზე და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე, აგრეთვე მსოფლიო გლობალიზაციის პროცესში ეფექტურ ჩართვაზე საუბარი ზედმეტია ხელისუფლების მიერ ეკონომიკური სტრუქტურული და ინსტიტუციური ღონისძიებების გატარების გარეშე.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეფექტიან სტრუქტურული პოლიტიკის შემუშავება-განხორციელებას, ეროვნული მეურნების დარგებსა და რეგიონებს შორის ოპტიმალურ თანაფარდობის მიღწევას, ეროვნული მეურნეობის პრიორიტეტული დარგების განვითარებას. მთავრობის ეკონომიკურმა პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს დარგებსა და რეგიონებს შორის კოოპერაციული კავშირების აღდგენა-გაფართოებას, ქვეყნის ფარგლებში საწარმოო პროცესის მთლიანობის უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა იმ დარგებისა და საწარმოების აღორძინება რომლებიც წარმოქმნიან ერთიანი ტექნოლოგიური პროცესის ცალკეულ რგოლებს.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ფინანსური კაპიტალის ორიენტაციის შეცვლა სავალუტო და სავაჭრო ოპერაციებიდან მატერიალურ წარმოებაში, რაც უნდა განხორციელდეს სათანადო სტიმულებისა და კონტროლის მექანიზმების დანერგვით. უპირველეს ყოვლისა უნდა გაიზარდოს მატერიალური წარმოების სფეროში შემოსავლიანობა, რისთვისაც აუცილებელია დემპინგური იმპორტული საქონლის აკრძალვა და საგადასახადო წნეხის შემცირება, წარმოების წამახალისებელი

ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკის გატარება, სამართლებრივი ბაზის სრულყოფა, ჯანსაღი კონკურენციული გარემოს ფორმირება.

2.2. აგროსასურსათო სექტორის რესტრუქტურიზაციის მატერიალურ-ტექნიკური რესურსები

ეკონომიკის ეფექტიანი რესტრუქტურიზაცია მოითხოვს ქვეყანაში ათეულობით წლების განმავლობაში შექმნილი ეკონომიკური და სოციალური პოტენციალისმობილიზებას და მათ მაქსიმალურ გამოყენებას.

ეკონომიკის ციკლური და არაციკლური რყევების ერთ-ერთ უმთავრეს თავისებურებას წარმოადგენს განვითარების მიღწეული დონის (შექმნილი პოტენციალის) შენახვა. ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონეზე მოქმედი ფაქტორები განაპირობებენ მის შენარჩუნებას, ან უფრო ნაკლებად ვარდნას, წარმოების დაცემასთან შედარებით. ეკონომიკის ციკლური დაქვეითების, თუ კატასტროფული მდგომარეობის შედეგად წარმოების დაქვეითებისას განვითარების მიღწეული დონე დროებით გამოუყენებელი ხდება. ქვეყანაში ადრე შექმნილი

დოვლათმწარმოებელი პოტენციალის მნიშვნელოვანი ნაწილი ამ პერიოდში უმოქმედოა. ე.ი. საზოგადოება ვერ იღებს შესაბამის მატერიალურ სიკეთეს, რაც შეეძლო მას მიეღო არსებული პოტენციალის სრული გამოყენებით. ეკონომიკური კრიზისის შედეგად, განვითარების მიღწეული დონის გამოუყენებელი ნაწილის თანდათანობით ამოქმედება არის წარმოების გამოცოცხლების, ეკონომიკური ზრდის უმთავრესი პირობა (34.გვ.115-116).

ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს, მისი შემდგომი განვითარების შესაძლებლობებს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ძირითადი ფონდების მდგომარეობა, მათი მოცულობა, ტექნიკური დონე,ფუნქციონალური და ასაკობრივი სტრუქტურა.

ძირითადი ფონდების ეფექტიანად გამოყენება წარმოების ინტენსიური განვითარების, შრომის მწარმოებლურობის ამაღლების,პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ეკონომიკური ზრდის აუცილებელი პირობაა.

პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პერიოდი საქართველოში ხასიათდება უმწვავესი ეკონომიკური კრიზისით. მიმდინარე მომენტისათვის საქართველოში გამოშვებული მშპ-ის მოცულობა შეადგენს 1990 წლისთვის არსებული დონის დაახლოებით 40%-ს, რაც გამოწვეულია 1991-1994 წლებში მშპ-ის თითქმის 4-ჯერ შემცირებით. წარმოების ასეთი დაცემისა და მომდევნო პერიოდში ეკონომიკური ზრდის არასტაბილური ტემპების (იხ. ცხრ. 2.2.1.) პირობებში, როდესაც სახეზეა ძირითადი ფონდების მნიშვნელოვანი ნაწილის დაუტვირთაობა, რაიმე არსებითი ხასიათის კაპიტალდაბანდებებზე, ძირითადი ფონდების განახლებაზე და ტექნიკური დონის

გაუმჯობესებაზე საუბარი ზედმეტია.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში არსებული ძირითადი ფონდების მნიშვნელოვანი ნაწილი ფიზიკურად და მორალურად მოძველებულია, ვინაიდან გასული საუკუნის 90-იანი წლებში არ არსებობდა მათი განახლებისათვის აუცილებელი სტიმულები. უფრო მეტიც, ძირითადი ფონდების დაძველების პროცესი დაიწყო ბევრად უფრო ადრე, რაზეც მიუთითებს ის, რომ 1990 წლის ბოლოსათვის საქართველოს ეროვნული სიმდიდრის 20,3% ამორტიზირებული იყო, მათ შორის ძირითადი ფონდების 29,5%. მთლიანად ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის თითქმის 50% ამა თუ იმ ფორმით ფიქტიური იყო (4.).

ცხრ.2.2.1. ძირითადი კაპიტალის მწყობრიდან გასვლა და მწყობრში შესვლა 1990-2002 წწ.

		მრეწველობა	სოფ. მეურნეობა	მშენებლობა	ტრანსპორტი	ვაჭრობა	სხვა დარგები	სულ
1990 (მლ.მან)	მწყობრიდან გავიდა	880	663	221	430	55	761	3020
	მწყობრში შევიდა	926	707	256	481	78	983	3431
	გასვლა %-ით შემოსვლასთან	95,0	95,2	86,3	89,4	70,5	77,4	88,0
1991 (მლ.მან)	მწყობრიდან გავიდა	879	536	285	512	92	788	3092
	მწყობრში შევიდა	603	527	164	468	81	889	2732
	გასვლა %-ით შემოსვლასთან	145,8	101,7	173,8	109,4	113,6	88,6	113,2
1992 (მლ.მან)	მწყობრიდან გავიდა	7591	42555	1109	5413	429	14832	71929
	მწყობრში შევიდა	5318	21374	1598	1954	224	11502	41930
	გასვლა %-ით შემოსვლასთან	142,7	199,5	69,4	277,0	191,5	129,0	171,5
1993 (მლ.კუპ)	მწყობრიდან გავიდა	21636	15916	2682	7512	3620	16901	68267
	მწყობრში შევიდა	23767	7683	6759	18118	6027	14872	77226
	გასვლა %-ით შემოსვლასთან	91,0	207,2	39,7	41,5	60,1	113,6	88,4
1998	მწყობრიდან გავიდა	461,1	68,8	9,8	85,9	11,7	46,0	683,8
	მწყობრში შევიდა	124,7	3,2	10,9	54,7	16,3	18,0	227,8
	გასვლა %-ით შემოსვლასთან	370,2	2175,2	89,9	157,1	72,2	254,8	300,2
1999	მწყობრიდან გავიდა	278,2	4,4	11,7	209,1	7,9	62,6	574,0
	მწყობრში შევიდა	230,7	1,6	36,8	237,0	12,1	39,2	557,6
	გასვლა %-ით შემოსვლასთან	120,6	271,4	31,8	88,2	65,1	159,6	102,9
2000	მწყობრიდან გავიდა	335,9	0,5	9,4	61,1	10,0	80,1	497,0
	მწყობრში შევიდა	279,1	2,1	10,7	68,3	9,4	165,3	534,8
	გასვლა %-ით შემოსვლასთან	120,4	22,0	87,9	89,5	106,7	48,5	92,9
2001	მწყობრიდან გავიდა	185,7	3,9	8,3	63,1	13,6	82,7	357,3
	მწყობრში შევიდა	178,6	1,0	11,5	51,7	17,8	151,3	411,8
	გასვლა %-ით შემოსვლასთან	104,0	376,9	72,2	122,2	76,4	54,7	86,8

წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახ. დეპარტამენტი.

პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პერიოდში აღინიშნა ძირითადი ფონდების ხარისხობრივ-ტექნიკური და რაოდენობრივი მაჩვენებლების შემდგომი არსებითი გაუარესება. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით (იხ. ცხრ. 2.2.1.) 1991 წლიდან 2001 წლის ჩათვლით მწყობრიდან გასული ძირითადი კაპიტალის მთლიანი მოცულობა მკვეთრად აჭარბებს ამავე პერიოდში მწყობრში შესული ძირითადი კაპიტალის მთლიან მოცულობას. ასე მაგალითად, 1998-2001 წლებში მწყობრიდან გასული ძირითადი კაპიტალის საერთო მოცულობა, მწყორში შემოსულს აღემატება 21,9%-ით.

ძირითადი ფონდების მოცულობის უმნიშვნელო ზრდა აღინიშნა 2000-2001 წლებში, თუმცა ეს პროცესი არ შეხებია მრეწველობის დარგებს, სადაც ამავე პერიოდშიმწყობრიდან გასული ძირითადი კაპიტალის მოცულობა 14%-ით მეტია მწყობრში შესულზე.

ამრიგად, სახეზეა მრეწველობის დარგების დეკაპიტალიზაციის ტენდენცია, რაც გამოიხატება ამ სფეროში არსებული ძირითადი ფონდების მთლიანი მოცულობის შემცირებაში, მათი ტექნიკური დონის გაუარესებაში, ძირითადი კაპიტალის მთლიან მოცულობაში მრეწველობის წლის შემცირებაში და ა.შ.

ვინაიდან სამრეწველო წარმოება უზრუნველყობს მაღალტექნოლოგიური, მეცნიერებატევადი პროდუქციის წარმოებას, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ეკონომიკის სხვა დარგების სათანადო დონეზე განვითარება, ამიტომ სამრეწველო წარმოების სფეროში ძირითადი კიპიტალის მოცულობის შემცირება აუცილებლად გამოიწვევს ეკონომიკური განვითარების შეფერხებას და სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობის შემცირებას გრძელვადიანი პერიოდისათვის, რაც მკვეთრად შეამციერბს

საქართველოს მდგრადი და უსაფრთხო განვითარების შესაძლებლობებს.

1985-1990წლებში ქვეყნის სასოფლო სამეურნეო წარმოებაში გამოიყენებოდა 28,8 ათასზე მეტი ტრაქტორი,18 ათასზე მეტი სატვირთო ავტომანქანა, 8,5ათასზე მეტი ტრაქტორი მისაბმელი, 1,4 ათასზე მეტი კომბაინი,4 ათასზე მეტი სატრაქტორო კულტივატორი, კიდევ ბევრი სხვა სასოფლო სამეურნეო ტექნიკა (19-2გვ.483). რადიკალურმა ცვლილებებმა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში მკვეთრი ზეგავლენა მოახდინა სასოფლო სამეურნეო წარმოების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე. ბევრი ტექნიკა გაცვდა ფიზიკურად და მორალურად, ბევრიც უმისამართოდ გაიყიდა და დღეს არსებული მდგომარეობის აღრიცხვა-შეფასება ძალზე რთულია 1998 წლისათვის ამ დარგში მწყობრიდან გავიდა 68,8 მილიონი ლარის ძირითადი კაპიტალი, მწყობრში კი შევიდა 3,2 მილიონი ლარის.

1999-2001 წლებში კი სულ მწყობრიდან გავიდა 8,8 მილიონი ლარის ძირითადი კაპიტალი, მწყობრში კი სულ შევიდა 4,7 მილ. ლარის. ამ სფეროდან 1998 წლისათვის მწყობრიდან გასულ ძირითადი კაპიტალის მოცულობას თუკი შევადარებთ 1999-2001 წლების შესაბამის მაჩვენებელს, მაშინ ცხადი გახდება, რომ სოფლის მეურნეობაში პრაქტიკულად არ დარჩა ექსპლუატაციისათვის ვარგისი შედარებით მოძველებული ძირითადი კაპიტალი. მათი ძირითადი ნაწილი მწყობრიდან გავიდა 1998 წლამდე. 1998-2001 წლებში სულ მწყობრში შევიდა 7,9 მილ. ლარის ძირითადი კაპიტალი.

1991-1997 წლებში ამ სფეროში ძირითადი კაპიტალის რაიმე არსებით განახლებაზე საუბარი ზედმეტია. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სოფლის მეურნეობის დარგის ძირითადი

კაპიტალით უზრუნველყოფის დონე დღეს-დღეობით მკვეთრად დაბალია და იგი მნიშვნელოვნად ნაკლებია 1998 წლისათვის ამ სფეროდან მწყობრიდან გასული ძირითადი კაპიტალის მოცულობაზე. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ვეღარ ფუნქციონირებს აგრალური სექტორის მატერიალური-ტექნიკური უზრუნველყოფის ადრინდელი სისტემა, რაც გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით:

- მოიშალა ტრადიციული ეკონომიკური კავშირები,
- მოხდა საბჭოთა მეურნეობების არასწორი რესტრუქტურიზაცია,
- მიწის რეფორმა გამოიწვია სამექანიზაციო ფართობების დანაწევრება,
- შემცირდა პროდუქციის წარმოებაც და მოთხოვნა ტექნიკურ საშუალებებზე, მანქანამოწყობილებებზე.

ძალზედ მნიშვნელოვანია შევაფასოთ ძირითადი ფონდების მწარმოებლურობის დონე, რომელიც ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვის შრომის მეცნიერული ორგანიზაციის გაუმჯობესების მაჩვენებელია.

ცხრილი.2.2.2. საქართველოს მთლიანი შიგა პროდუქტის რეალური პროცენტული ცვლილება და ძირითადი კაპიტალის გასვლა შემოსვლასთან შედარებით (ზრდის ტემპები) 1990-2004 წლებში, პროცენტებში.

	1990	1991	1992	1993	1998	1999	2000	2001
ზრდის ტემპი წინა წელთან.	-15,0	-21,0	-44,2	-29,3	2,9	3,0	2,0	4,5
ძირითადი კაპიტალის გასვლა შემოსვლასთან შედ.%	88	113	171	88,4	300	103	93	87

ცხრილში მოცემული მონაცემების საფუძველზე შეგვიძლი ვთქვათ, რომ 1990 და 1993 წლებში ძირითადი ფონდების მოცულობა იზრდება, მაგრამ მცირდება მშპ-ს მოცულობა, ეს კი იმას

ადასტურებს, რომ ქვეყანაში მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა არ ხდება.

1991-1992 წლებში, როგორც ძირითადი ფონდების ღირებულება ისე მშპ-ს მოცულობაც მცირდება. რაც შეეხება 2000-2002 წლებს ამ პერიოდისათვის ორივე მაჩვენებლის სიდიდე იზრდება, მაგრამ ძირითადი ფონდების მწარმოებლურობა უმნიშვნელოა. ე.ი. ქვეყანაში მოწინავე ტექნოლოგიების შემოტანა და დანერგვა ბრკოლდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში საინვესტიციო გარემო სხვა მნიშვნელოვან პირობებთან ერთად მოუგვარებელია.

სოფლის მეურნოების ტექნიკური უზრუნველყოფის გაუარესება ამუხრუჭებს დარგში ეკონომიკურ რეფომების გატარებას, აგრეთვე სოფლის მეურნეობაში გრძელვადიანი კრედიტების დაბანდების სურვილს, რადგანაც ტექნიკის მოთხოვნის ფონზე არ არსებობს მისი ეფექტურად გამოყენების გარანტიები და კრედიტების დაბრუნების რეალური წყაროები. ამასთან ერთად კომერციული ბანკებისათვის სოფლის მეურნეობა უინტერესო დარგია (მაღალი რისკის გამო).

საქართველოში არ იქნება და მიზანშეწონილადაც არ მიგვაჩნია წარმოების ისეთი სტრუქტურის შექმნა, რომელიც სრულად უზრუნველყოფს ასკ-ს საკუთარი წარმოების მანქანამოწყობილობებით. ე.ი. საქართველო კვლავ დარჩება ამ მხვრივ იმპორტზე ორიენტირებული ქვეყანა. აქედან გამომდინარე საჭიროა შეიქმნას ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებზე ქვეყნის მოთხოვნიების დაკმაყოფილებას.

თუ გავითვალისწინებთ ევროპის ცალკეული ქვეყნების გამოცდილებას ზემოთ აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მრავალი გზა არსებობს, მათშორის მნიშვნელოვნად შეიძლება მივიჩნიოთ

ლიზინგი, საკრედიტო კავშირების შექმნა, სახელმწიფო მხარდაჭერა. „სასურსათო წარმოების ზრდა საქართველოში” იაპონური გრანტის პროექტით საქართველოში შემოტალინი იქნა 23 მლნ ლარის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. რათქმაუნდა ასეთი პროექტები მისასალმებელია მაგრამ პრობლემის გადაჭრისათვის აუცილებელია ქმედითი და ორგანიზებული საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების უზრუნველყოფის სისტემის შექმნა.

2.3. ინვესტიციების როლი აგროსასურსათო სექტორის რესტრუქტურიზაციაში

საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციისა და საბაზრო-კონკურენციული ეკონომიკური სისტემის ფორმირებისათვის აუცილებელია ხელსაყრელი საშინაო და საგარეო პოლიტიკური გარემო; მსოფლიო პროცესებთან ადაპტაცია, ინტეგრაციის ქვეყნის თვითმყოფადობასთან შეხამება, ეკონომიკის რესტრუქტურიზაცია.

ეკონომიკის რესტრუქტურიზაცია გულისხმობს ძველის გაუმჯობესებას და ახლის შექმნას, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების წარმოებასა და დანერგვას, ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაციას, დარგთაშორისო კავშირების გაუმჯობესებას და გარდაქმნას, მიკრო დონეზე ეკონომიკური გარდაქმნების განხორციელებას. აქედან გამომდინარე, ისეთი საწარმოები და დარგები, რომლებიც ათწლეულების მანძილზე მძიმე ტვირთად აწვა სახელმწიფო ბიუჯეტს, ეროვნული მეურნეობის რესტრუქტურიზაციის პროცესში გაუქმდება, სამაგიეროდ ხელსაყრელი პირობები შეიქმნება ისეთი საწარმოებისა და დარგების დაჩქარებულ განვითარებისათვის, რომელთა საქმიანობაც ეკონომიკური თვალსაზრისით გამართლებული იქნება. გარდამავალ პერიოდის ეკონომიკურ სტრუქტურაში შეიძლება გამოვყოთ:

– რენტაბელური დარგები და საწარმოები, რომელთა მიმართაც, ინვესტორთა ინტერესი დიდია;

– დარგები და საწარმოები, რომელთაც გრძელვადიანი მხარდაჭერა ჭირდებათ და პერსპექტივაში ტექნიკური გადაიარაღების, რეორგანიზაციისა და რესტრუქტურიზაციის შედეგად, რენტაბელურად გადაიქცევიან;

– საწარმოები, რომლებიც უახლოესი ტექნოლოგიებით – მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ინოვაციების გამოყენებით, ახალი საქონლისა და პროდუქციის წარმოებას განახორციელებენ;

ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის წარმატებით განსახორციელებლად აუცილებელია რეფორმების პროცესში მძლავრი ფინანსური მხარდაჭერა. (თვით ეკონომიკური გარდაქმნების იდეის გადარჩენის პრობლემა მიკრო დონეზე წყდება, სამწუხაროდ დღეს სახელმწიფო ამ პრობლემებს მხოლოდ მაკროეკონომიკური პოზიციებიდან უყურებს.)

ეკონომიკის რესტრუქტურიზაცია, მისი დარგობრივი სტრუქტურის გარდაქმნა საშინაო და საგარეო ბაზრებზე არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით, მისი ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება, წარმოების ტექნიკურ-ტექნოლოგიური ბაზის განახლება და სათანადო კვალიფიკაციის მქონე სამუშაო ძალის ფორმირება მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციებს.

საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის პროცესში ეკონომიკის რესტრუქტურიზაციისათვის საჭირო ხარჯები (Kრ) დაფინანსების წყაროების მიხედვით შეიძლება დავყოთ შემდეგნაირად: ისტიტუციური რეფორმებისა და მატერიალურ-ტექნოლოგიური ბაზის უზრუნველყოფისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები (K); ხარჯები, რომლებიც ფინანსდება შიგა ინვესტიციებით (Iშ); ხარჯები, რომლებიც ანაზღაურდება უცხოური ინვესტიციებით (Iუ) და ხარჯები, რომელსაც აუცილებლად ქვეყნის მოსახლეობა საოჯახო ბიუჯეტიდან გაიღებს (G). ე.ი.

$$K_{რ} = K + I_{Ш} + I_{У} + G. \qquad (1)$$

თუ რესტრუქტურიზაციის ხარჯებს დავუკავშირებთ მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ს მაჩვენებელს (Q) მივიღებთ, რომ .

$\delta = \frac{\Delta Q}{\Delta K_{ر}}$, სადაც $\delta -$ მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით მშპ-ს ზრდის ტემპის შეფარდება ამ ნაზრდის გამომწვევ სტრუქტურული ხარჯების ზრდის ტემპთან უცვლელი ფასებისა და ინფლაციის პირობებში.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ $1-\delta\angle 0$-ზე.

სიღრმისეული ანალიზისათვის აუცილებელია განვსაზღვროთ თითოეული ხარჯის ხვედრითი წონა რესტრუქტურიზაციის მთლიან ხარჯებში და გავარკვიოთ დაფინანსების რომელი წყაროს მიერ გაწეული ხარჯების გაზრდა იქნება ქვეყნისათვის უფრო მნიშვნელოვანი და ეფექტიანი.

თუ იზრდება ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის პროცესში გაწეული ხარჯების დაფინანსებაში სახელმწიფოს ხვედრითი წონა, ჩვენი აზრით, მას მოჰყვება შემდეგი უარყოფითი მოვლენები: ბიუჯეტი გახდება დეფიციტური, ინფლაციის დონე ამაღლდება და საგადასახდელო ბალანსი გაუარესდება. ე.ი. შიგა და გარე წონასწორობა დაირღვევა, რისი აღმოფხვრაც დამატებით ხარჯებს მოითხოვს.

მწირი შემოსავლებისა და უმნიშვნელო დანაზოგების პირობებში შეუძლებელია IშD და სიდიდეთა მნიშვნელოვან გაზრდა. ქვეყანაში ჩამოყალიბებულმა სისტემურმა ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია შემოსავლებისა და დანაზოგების მკვეთრი შემცირება (არსებული უმნიშვნელო დანაზოგები საბანკო სისტემის მოუქნელი მუშაობის გამო თითქმის არაა ჩართული საკრედიტო რესურსებში), რამაც მინიმუმამდე დაიყვანა საკუთარი ინვესტიციური პოტენციალი.

პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის განვლილ პერიოდში საქართველოში ჩამოყალიბებულმა კრიზისმა მძიმე დაღი დაასვა საინვესტიციო საქმიანობის სფეროს. წარმოების დაცემამ, მოსახლეობის შემოსავლებისა და დანაზოგების მკვეთრმა შემცირებამ, უმწვავესმა ფინანსურმა კრიზისმა, საბანკო-საკრედიტო სფეროს სათანადო დონეზე განუვითარებლობამ და საგადასახადო წნეხის მაღალმა დონემ გამოიწვია ქვეყნის საკუთარი ინვესტიციური პოტენციალის არსებითი შემცირება. ამასთან ერთად, მნიშვნელოვნად შემცირდა ინვესტიციების განხორციელებისათვის აუცილებელი სტიმულებიც, რადგანაც წარმოების საყოველთაო დაცემისა და საწარმოო სიმძლავრეთა ძირითადი ნაწილის დაუტვირთაობის პირობებში ახალ კაპიტალდაბანდებათა განხორციელება მაღალ რისკთანაა დაკავშირებული. ასეთ ვითარებაში ქვეყნის ეკონომიკამ შეიძინა მომხმარებლური ხასიათი. წინა პლანზე წამოიწია მიმდინარე მოთხოვნილებებმა, უგულვებელყოფილია და პრაქტიკულად არ ხორციელდება ქვეყნისათვის სასიცოცხლო აუცილებელი გრძელ ვადიანი პროექტებისა და მიზნების რეალიზაცია. ქვეყნის მშპ-ის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი წარიმართება ძირითად კაპიტალში ინვესტიციებზე.

1996-2000 წწ, ძირითად კაპიტალში ინვესტიციების წილი მშპ-ში მერყეობდა 4-10%-ის ფარგლებში. 1996 წლისთვის იგი შეადგენდა 4,4%-ს, 1997 წლისთვის 5,7%-ს, 1998 წლისთვის დაფიქსირდა მისი ყველაზე მაღალი მნიშვნელობა-10,1%, რაც წინა წელთან შედარებით უცხოური ინვესტიციების მოცულობის 2,2-ჯერ გადიდებითაა გამოწვეული. 1999-2000 წლებში მშპ-ში ინვესტიციების წილის შემცირება 6,4-დან 5,8%-მდე დაკავშირებული იყო უცხოური ინვესტიციების მოცულობის შემცირებასთან.

აღნიშნული მაჩვენებლის დონე საქართველოში მკვეთრად დაბალია. იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ცენტრალური ევროპისა და ბალტიის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს. ასე მაგალითად 1999 წლისათვის ძირითად კაპიტალში ინვესტიციების თანაფარდობამ მშპ-თან ბულგარეთში შეადგინა 15,9%, ჩეხეთში–26,4%, ესტონეთში–25,1, უნგრეთში–23.,9%, ლატვიაში–25,0%, ლიტვაში–22,5%, პოლონათში–26,2%, რუმინეთში–18,5%, სლოვაკეთში–30,8%. აღნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელობები 20-35%-ის ფარგლებშია დასავლეთის ინდუსტრიულ ქვეყნებშიც.

საქართველოში, როგორც ვხედავთ, აღინიშნება ინვესტიციების ნაკლებობა, მათი დეფიციტი. სახეზეა ინვესტიციების როგორც შეფარდებითი, აგრეთვე აბსოლიტური მაჩვენებლების უკიდურესად დაბალი დონე. ასე მაგალითად, 1996 წლისათვის ინვესტიციების მთლიანმა მოცულობამ შეადგინა 170 მლნ. ლარი, აქედან უცხოურმა 86 მლნ. ლარი, ადგილობრივმა კი –84 მლნ. ლარი. 2000 წლისათვის ინვესტიციების მთლიანი მოცულობა უდრიდა 394 მლნ. ლარს, აქედან უცხოური შეადგენდა –119 მლნ. ლარს, ადგილობრივი –230 მლნ. ლარს. მთლიანობაში 1996-2000 წლებში, ინვესტიციების საერთო მოცულობამ შეადგინა 1788 მლნ. ლარი, აქედან ადგილობრივზე მოდიოდა 790 მლნ. ლარი ანუ მთლიანი ინვესტიციების 44,2% (70.გვ.10), რაც განსაკუთრებით შემაშფოთებელია. ჯერ ერთი, იგი მიუთითებს ინვესტიციების ადგილობრივი წყაროების როლის დაკნინებაზე, ერის მომავლისადმი, მის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფორმირებისადმი ზერელე დამოკიდებულებაზე. მეორეს მხრივ, იგი მიუთითებს უცხოურ კაპიტალზე დამოკიდებულების არსებით ზრდაზე.

ინვესტიციების დეფიციტურობა სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის გაღრმავების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია. მისი

არსებული დონე ვერ უზრუნველყობს ძირითადი ფონდების განახლებას. ადგილი აქვს შექმნილი ეროვნული სიმდიდრის შემცირებას, „ქვეყნის გაღარიბებას, რამდენადაც ახლადშექმნილი დოვლათი უფრო ნაკლებია, ვიდრე სიძველისა და ცვეთისაგან მწყობრიდან გასული დოვლათი" (34.გვ153). ე.ი. ინვესტიციების არსებული მოცულობები საქართველოში საკმარისი არ არის მარტივი კვლავწარმოების უზრუნველსაყოფად, გაფართოებულ კვლავწარმოებაზე კი საუბარი ზედმეტია. ასეთ პირობებში წარმოუდგენელია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საჭირო დონის მიღწევა, ანუ შეუძლებელია ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების უზრუნველყოფა, სიღარიბის დაძლევა, მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ეკონომიკაზე ინვესტიციების შემცირების ტენდენციის უარყოფითი ზემოქმედება გრძელვადიან ხასიათს ატარებს. ამიტომ ინვესტიციური კომპლექსის განუვითარებლობა უახლოეს მომავალში კიდევ უფრო გააუარესებს ქვეყანაში არსებულ ისედაც მწვავე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, რაც საქართველოსათვის შეიძლება უმძიმესი შედეგებით დამთავრდეს. მოვლენების ასეთი სცენარით განვითარების თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია ქვეყნის საკუთარი ინვესტიციური პოტენციალის გადიდება, რისთვისაც საჭიროა:

1. მოსახლეობის შემოსავლებისა და დანაზოგების გაზრდის ხელშეწყობა, ვინაიდან საბანკო ანგარიშებზე განთავსებული და ბიზნესში დაბანდებული დანაზოგები წარმოადგენენ ინვესტიციების დაფინანსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს. უკანასკნელი 10-12 წლის განმავლობაში, ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შედეგად, მოსახლეობის შემოსავლები და დანაზოგები მკვეთრად

შემცირდა. ამას დაემატა დისპროპორციების მკვეთრი გაღრმავება შემოსავლების განაწილებაში, რის შედეგადაც მოსახლეობის ძირითად ნაწილს არ გააჩნია პირველადი მოთხოვნილებებისათვის საჭირო სახსრები, ხოლო დანაზოგები თავს იყრის მოსახლოების მცირე ნაწილის ხელში, რომლებიც შესაბამისი ბიზნესგარემოს არ არსებობის გამო წარმოებაში დანაზოგების დაბანდებას ამჯობინებენ კონვერტირებულ ვალუტის და უძრავი ქონების შეძენას, ან კიდევ მის უცხოეთში გატანას.

შემოსავლების განაწილებაში დისპროპორცია ამცირებს ქვეყნის ინვესტიციურ პოტენციალს, ვინაიდან იწვევს ერთობლივი მოთხოვნის სტრუქტურის დამახინჯებას და შიდა ბაზრის შევიწროებას, ამასთან ხელს უწყობს კაპიტალის უცხოეთში გასვლას. ამიტომ აუცილებელია შემოსავლების სამართლიანი და ეკონომიკურად მიზანშეწონილი გადანაწილება, მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმამდე გაზრდა, შემოსავლების ინდექსაცია ინფლაციის ტემპის გათვალისწინებით და ა.შ.

2. ეკონომიკის წამახალისებელი ბიუჯეტურ-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება, რაც ხელს შეუწყობს საწარმოთა ინვესტიციური შესაძლებლობების ამაღლებას როგორც საკუთარი, აგრეთვე მოზიდული სახსრების ხარჯზე. აღნიშნული ეკონომიკური პოლიტიკა წარმოების აღორძინების პარალელურად გამოიწვევს დასაქმებულთა შემოსავლების გადიდებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს დანაზოგების ზრდას და ინვესტიციური პროცესის შემდგომ ამაღლებას.

3. ინვესტიციური პრუექტების დაფინანსებაში სახელმწიფოს წვლილის ამაღლება. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, ბოლო წლებში პრაქტიკულად არ ფიგურირებს კაპიტალური ხარჯები, რაც

წარმოადგენს ინვესტიციების საერთო მოცულობის მკვეთრი შემცირების ერთ-ერთ ძირითად მიზეზს.

ინვესტიციების დაფინანსებაში სახელმწიფოს როლის უგულებელყოფამ უარყოფითად იმოქმედა ეკონომიკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებაზე, საწარმოო ინფრასტრუქტურის ფორმირებაზე, რამაც გამოიწვია ეკონომიკური ზრდის შენელება. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანი ყურადღება, ტრანსფორმაციის პროცესში, უნდა გამახვილდეს სახელმწიფოს ინვესტიციური აქტიობის ამაღლებაზე, რაც გამოიწვევს ქვეყნის საკუთარი ინვესტიციური პოტენციალის გადიდებას და კაპიტალდაბანდებათა ზრდისა და წარმოების განახლების ხარჯზე ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებას.

4. ხელსაყრელი ინვესტიციური გარემოს ფორმირება, რაც შეამცირებს რისკის ფაქტორს და ხელს შეუწყობს ინვესტიციური აქტივობის ამარლებას, წაახალისებს კაპიტალის ქვეყნის შიგნით დაბანდებას.

ასეთ პირობებში მწარმოებლური ძალების განახლება და ეკონომიკური განვითარების დაჩქარება შეუძლებელია უცხოური ინვესტიციების ფართომასშტაბიანი გამოყენების გარეშე.

ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის ხარჯების დაფინანსებაში უცხოური ინვესტიციების ხვედრითი წონის გადიდება, ეკონომიკური გარდაქმნების მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგანაც:

– ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის აუცილებელი პირობაა პრივატიზაციის დაჩქარება, ხოლო ამ პროცესში უცხოელ ინვესტორთა ჩართვა სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს;

– უცხოური ინვესტიციები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, მწარმოებლურ ძალთა განახლების, ინოვაციების, მართვის

თანამედროვე სისტემების დანერგვისა და ექსტენსიურიდან ინტენსიურ წარმოებაზე გადასვლის მნიშვნელოვანი ფაქტორია;

– მისი საშუალებით შეიძლება გადაიჭრას ორი მნიშვნელოვანი პრობლემა: კაპიტალის დეფიციტის შემცირება და წამოებაში თანამედროვე მაღალი ტექნოლოგიების დანერგვა;

– სახელმწიფო ვალდებულია, გაუადვილოს ხალხს კონკურენციული ცვლილებებით გამოწვეული პირადი პრობლემების დაძლევა. უცხოური ინვესტიციები სახელმწიფოს აძლევს იმის საშუალებას, რომ ბიუჯეტიდან ნაწილობრივ მაინც დააფინანსოს ის ხარჯები, რომელსაც მოსახლეობა გაიღებს თავისი ბიუჯეტიდან რესტრუქტურიზაციის პროცესისათვის; ამასთან $1-\delta<0$ – ის მიღწევა უფრო ეფექტიანად ინვესტიციებით, მათ შორის უცხოური ინვესტიციებით, ადვილად შესაძლებელია.

საქართველოში უცხოური ინვესტიციების გამოყენება ობიექტური აუცილებლობაა, მაგრამ გასარკვევია: 1. ეკონომიკის რესტრუქტურიზაციაში რა როლს ასრულებს უცხოური ინვესტიციები და რამდენად უწყობს ხელს ის ამ პროცესს; 2. როგორ შევქმნათ უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელსაყრელი გარემო;

საქართველოში კაპიტალდაბანდებათა განხორციელებაში უცხოელი ინვესტორების დაინტერესებას განაპირობებს იაფი შრომითი და ბუნებრივი რესურსების არსებობა, ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენით სტრატეგიული ობიექტების ღირებულების მკვეთრი შემცირება. ამასთან, უცხოელი ინვესტორები ირჩევენ მინიმალურ სარისკო სტრატეგიას, ისინი ძირითადად ინვესტიციებს აბანდებენ: მსხვილ სანედლეულო პროექტებში, სადაც მოგება გარანტირებულია და დაფინანსება შეიძლება მხარდაჭერილ იქნეს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ; ნაკლებხარჯიანი

ინდუსტრია, სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურეობის წარმოება, რაც უმნიშვნელო ინვესტიციებს მოითხოვს; საწარმოებში, სადაც მთელი წარმოების პროცესი: ნედლეულის მოპოვება, გადამუშავება და მზა პროდუქციის გამოშვება ინტერნაციონალიზირებულია, რისკი დაბალია, რადგანაც ქვეყანაში მოსალოდნელი დესტაბილიზაცია ნაკლებ ზეგავლენას მოახდენს წარმოების პროცესზე;

პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის განვლილ პერიოდში საქართველოში მოზიდული იქნა მნიშვნელოვანი მოცულობის უცხოური ინვესტიციები, კერძოდ 1996-2000 წლებში უცხოური ინვესტიციების მოცულობამ სულ 955 მლნ. ლარი შეადგინა, რაც ამავე პერიოდში განხორციელებული ინვესტიციების მთლიანი მოცულობის (1661 მლნ. ლარი.) 57,5%-ია.

ცხრ.2.3.1. ინვესტიციები ძირითად კაპიტალში (მლნ. ლარი)

	1996		1997		1998		1999		2000		2001		2002		2003	
		%		%		%		%		%		%		%		%
სულ	170	100	266	100	512	100	364	100	349	100	398	100	475	100	944	100
უცხ. ინვ.	86	50,6	180	67,7	401	78,3	169	46,3	119	57	140	35,2	78	16,4	542	57,5

უცხოური ინვესტიციების სტრუქტურაში ტრანსპორტის, სასაწყობო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის, აგრეთვე ენერგეტიკისა და წყალმომარაგების წილი 1998 წელს იყო – 86%, 1999 წელს – 84.3%, ხოლო 2000 წელს – 47.3%. ამასთან აღნიშნულ პერიოდში, უცხოური ინვესტიციების სტრუქტურაში მკვეთრად დაბალი იყო გადამამუშავებელი მრეწველობის წილი, რომელიც 1998 წლისათვის არსებულ 8.8%-დან, 2000 წლისათვის დაეცა – 5.8%-მდე , რაც ეწინააღმდეგება ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, რომელიც მოითხოვს მრეწველობის პრიორიტეტულ გადამამუშავებელ დარგების, განსაკუთრებით კი ეროვნული მეურნეობის ტექნიკური

ბაზის უზრუნველმყოფი დარგების დაჩქარებულ განვითარებას. საქართველოში მნიშვნელოვნად დეფორმირებულია ინვესტიციების რეგიონული სტრუქტურა.

ცხრილი 2.3.2. საქართველოს რეგიონებში დაბანდებული უცხოური ინვესტიციები 2002 წელს (ინდივიდუალური ბინათმშენებლობის გარეშე; ათასი ლარი.)

	ძირითადი ფონდების ამოქმედება	უცხ. ინვესტიციები ძირითად კაპიტალში		მ.შ. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები
		აბ.მნ	ხვ.წ.მთლ	
საქართველო-სულ	72642	52271	100%	24126
ქ. თბილისი	67093	45145	86,4%	24126
აჭარის ა.რ.	0	0	0	0
სამეგრელო-ზემო სვანეთი.	2693	2693	5,1%	0
გურიის მხარე	0	0	0	0
იმრეთის მხარე	0	0	0	0
რაჭა-ლეჩხუმი	0	0	0	0
შიდა ქართლის მხ.	0	0	0	0
მცხეთა-მთიანეთის მხარე	0	1412	2,7%	750
კახეთის მხარე	0	164	0,3%	0
ქვემო ქართლის მხ.	2857	2857	5,4%	0
სამცხ-ჯავახ მხარე	0	0	0	0

1-2. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2002წელს, თბ, 2002. გვ.57.

როგორც ვხედავთ, უცხოელი ინვესტორების დაინტერესება რეგიონების მიმართ თითქმის არ არსებობს, არადა, საქართველოს ყველა რეგიონს გააჩნია გარკვეული სახეობის საქონლისა და მომსახურების წარმოების საკმარისი პოტენციალი.

აღნიშნული მდგომარეობის ერთ-ერთ ძრითად მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ქვეყნის რეგიონული პოლიტიკის ხარვეზები უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სფეროში, ყველაზე მეტად კი – დაზღვევის, გარანტიის, კაპიტალისა და ინვესტორთა უსაფრთხოების, აგრეთვე ინვესტორთა ინფორმაციული უზრუნველყოფის საკითხების მოუგვარებლობა, ინფრასტრუქტურის

განუვითარებლობა. სახელმწიფომ უნდა განახორციელოს მიზანმიმართული და დიფერენცირებული ეკონომიკური პოლიტიკა დეპრესიული რეგიონების მიმართ, უნდა განისაზღვროს როგორც ქვეყნის, ასევე თითოეული რეგიონის ძირითადი პრიორიტეტები, საქონლისა და მომსახურების წარმოების სფეროები.

უცხოელ ინვესტორებს ძირითადად აინტერესებთ მოკლე პერიოდში მოგების მაღალი ნორმა, რაც ხშირად არ შეესაბამება ადგილობრივი, სამამულო წარმოების აღორძინების ინტერესებს, რომელიც მოითხოვს მნიშვნელოვანი მოცულობის გრძელვადიანი ინვესტიციების განხორციელებას მრეწველობის წამყვან დარგებში, სადაც მოგების ნორმა შედარებით დაბალია. ფაქტობრივად, საქართველოში ძირითადად ხორციელდება მოკლევადიანი უცხოური ინვესტიციები. ე.ი. დროის მცირე პერიოდში უცხოელ ინვესტორებს ქვეყნიდან გააქვთ იმაზე მეტი, ვიდრე ინვესტირებული თანხის მოცულობა შეადგენს. ასეთ ინვესტიციებს ქვეყნისათვის რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი არ მოაქვს, რადგანაც მშპ-ის მნიშვნელოვანი ნაწილი გადაადგილდება საზღვარგარეთ, რაც მკვეთრად ამცირებს ქვეყნის ინვესტიციურ პოტენციალს.

ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის პროცესში უცხოური ინვესტიციების როლი შეიძლება შევაფასოთ შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით: 1. ძველ საწარმოებში წარმოების ეფექტიანობის ზრდა; 2. უცხოური ინვესტიციებით განახლებული ძირითადი კაპიტალის წილი;საქართველოში მრეწველობა სრულ სტაგნაციას განიცდის, რადგანაც არც ერთხელ ბოლო 12-13 წლის განმავლობაში, გამოშვებული პროდუქცია 1990 წლის წარმოების 18%-ს არ აღემატებოდა. დასაქმებულთა რიცხვი 2000 წელს 1999 წელთან შედარებით 18%-ით შემცირდა, შემდეგაც 2003 წლამდე– დასაქმებულთა შემცირების ზრდა აღინიშნება. რაც შეეხება ეროვნულ

ცხრილი 2.3.3. უცხოური ინვესტიციები ძირითად კაპიტალში ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით

	ფაქტიურად მოქმედ ფასებში ათასი ლარი											
	1998	%	1999	%	2000	%	2001	%	2002	%	2003	%
ცხოური ინვესტი- ციები ძირითად კაპიტალში სულ-	400989	100	168606	100	118803	1,,00	140223	100	78021	100	542529	100
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და მეტყევეობა	––	0	6010	3,56	531	0,44	363	0,25	315	0,4	171	0,03
სამთომომპოვებელი მრეწველ. და კარი-ერების დამუშავება	1996	0,5	2071	1,2	22616	19,1	––	0	8828	113,1	0	0
გადამამუშავებელი მრეწველობა	35323	8,8	10104	6	6885	5,8	––	0	3276	4,2	0	0
ელექტროენერგია, გაზი და წყალმომ.	72853	18,1	49451	29,3	7463	6,3	59645	42,5	0	0	0	0
მშენებლობა	1934	0,5	––	0	––	0	12047	8,6	2214	2,8	43423	7,7
საბითუმო და სა-ცალო ვაჭრობა; ავ-ტომობილების, მო-ტოციკლების, საყო-ფაცხოვრებო საქო-ნლის და პი-რადი ნივთების რემონტი	8573	2,1	249	0,15	––	0	462	0,3	8173	10,47	0	0
სასტუმროები და რესტორნები	5943	1,48	5467	3,2	19307	16,1	17713	12,6	25049	32	8964	1,5
ტრანსპორტი, სასა-წყობო მეურნეობა და კავშირგაბმულობა	272193	68	92808	55	48647	41	34326	24,5	3672	4,7	475293	87
პერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული საქმიანობა	–––	0	–––	0	626	0,5	162	0,1	16634	21,3	4506	0,6
სახელმწიფოს მარ-თვა და თავდაცვა; სავალდებულო სო-ციალური დაზღვევა	1906	0,47	1008	0,6	7315	6,1	13700	9,8	4500	5,7	3200	0,4
ანათლება	–––	0	1438	0,85	897	0,75	––	0	––	0	––	0

ჯამრთელობის დაც-ვა და სოციალური მომსახურება	–––	0	–––	0	508	0,4	60	0,04	4838	6,2	12663	2,2
შხვა კომუნალური, სოციალური და პე-რსონალური მომსა-ხურება	268	0,06	–––	0	4008	3,37	1963	1,4	2026	2,6	3339	0,6

საწარმოებზე მწარმოებლურობის ზრდას 1999 წელს მრეწველობაში 54,5 მლნ ლარის პროდუქცია მოდიოდა. შემდეგ წლებში წინა წლებთან შედარებით შესაბამისად 13,65%-ით, 19,24%-ით, 13,95%-ით ზრდა აღინიშნებოდა, 2003 წელს 2002 წელთან შედარებით კი მხოლოდ 1,72%-ით ზრდას ჰქონდა ადგილი.

1998 წელს უცხოური ინვესტიციების დიდი მოცულობა აიხსნება ბაქო-სუფსის მილსადენისა და სუფსის ტერმინალში განხორციელებული კაპიტალ- დაბანდებებით.

თუ გადავხედავთ 1999-2001 წლებში ძირითადი კაპიტალის მწყობრიდან გასვლისა და მწყობრში შესვლის მონაცემებს, დავინახავთ, რომ 1999 წელს მწობრიდან გავიდა 574 მლნ. ლარის, ხოლო მწყობრში შევიდა 557,6 მლნ. ლარის ძირითადი კაპიტალი. ამ წელს უცხოური ინვესტიციები შეადგენდა 169 მლნ. ლარს, ე.ი. ძირითადი კაპიტალის განახლების ერთ მესამედს. 2000 წელს კი ეს თანაფარდობა იყო (535/119) 1/4, 2001 წელს (411/125) 1/3 (71.გვ.5). ამასთან, აღინიშნება მშპ-ში ინვესტიციების წილის დაბალი დონე (5,8%), რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეკონომიკის ტექნოლოგიური ბაზა არ იცვლება, ხოლო ეკონომიკის რესტრუქტურიზაციაში უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობა დაბალია. განსაკუთრებით დაბალია ის ეროვნული მეურნეობის მწარმოებლურ დარგებში.

აქედან გამომდინარე უცხოური ინვესტიციების მოცულობა არ შეესაბამება საქართველოს ეკონომიკის ძირითად მახასიათებლებს, როგორიცაა: ბაზრის ტევადობა, ბუნებრივი და მინერალური რესურსებით უზრუნველყოფა, სამუშაო ძალის კვალიფიკაცია.

აუცილებელია დაჩქარდეს საქართველოს სამეურნეო კომპლექსის რეკონსტრუქცია და ტექნიკური განახლება, განხორციელდეს საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღება. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პროცესის შემდგომ სრულყოფას, ამ პროცესში უცხოელ ინვესტორთა ჩართვას, მის გამჭვირვალობას, საწარმოთა რესტრუქტურიზაციის დაჩქარებას და ანტიმონოპოლიური საქმიანობის გაუმჯობესებას.

ცნობილი გამონათქვამიდან – „კაპიტალი იქ მიდის, სადაც იგი საჭიროა და რჩება იქ, სადაც მას კარგად ეპყრობიან"(64.გვ.42). გამომდინარე, მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს იმ ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც ხელს შეუწყობს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას ქვეყანაში.მთავრობამ უცხოელ ინვესტორებს უნდა შესთავაზოს ადეკვატური სტრუქტურული პოლიტიკა და შეღავათები ხანგრძლივი პერიოდისათვის (გადასახადების, საბაჟო რეჟიმის, რეინვესტირების, მოგების რეპატრიაციის და სხვა სფეროში). თამაშის წესების მუდმივი ცვლილება უარყოფით როლს ასრულებს საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღების საქმეში.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სტრატეგიულ ორიენტირად შეიძლება ჩაითვალოს: მსოფლიო პრაქტიკის გამოყენება და ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინება, გამოუყენებელი მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის ათვისება, საექსპორტო პოტენციალის გაფართოების ხელშეწყობა და იმპორტშემცვლელი წარმოების განვითარება ცალკეულ დარგებში, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და წარმოების ორგანიზაციის თანამედროვე ფორმების დანერგვა, საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა.

ხაზგასასმელია ის გეარემობაც, რომ უცხოური ინვესტიციების გამოყენება, პროგრესულ დარგობრივი სტრუქტურის ფორმირებაში მისი წილის ამაღლება მოითხოვს სახელმწიფო რეგულირებას, რაც გულისხმობს ისეთი საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც წაახალისებს, ეკონომიკის განვითარებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე სფეროებში უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უცხოური ინვესტიციების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტის შეფასებას.

არანაკლებ მნიშვნელოვანია სათანადო ნორმატიული ბაზის შემუშავება (საქართველოში უცხოური ინვესტიციების ძირითადი სამართლებრივი ბაზაა „კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ”-1996წ. 12 ნოემბერი), რომელიც გამორიცხავს უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებულ ისეთ არასასურველ მოვლენას, როგორიცაა ხმარებაში მყოფი, მსოფლიო სტანდარტების გათვალისწინებით მორალურად გაცვეთილი მანქანა-მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების შემოტანა. ასეთი ტექნოლოგიების დანერგვა იწვევს ქვეყნის კონკურენციული შესაძლებლობების შეზღუდვას, რაც ხელს უშლის მის სრულფასოვან და ეფექტიან მონაწილეობას მსოფლიო ეკონომიკურ იტეგრაციულ პროცესებში.

უცხოური ინვესტიციები უშუალოდ ახდენენ გავლენას ქვეყანაში არსებულ კონკურენციის პირობებზე (ცუდი ის არის, რომ სარგებელი, რომელიც კონკურენციას მოაქვს, ხშირად ხანგრძლივი დროის შემდეგ იჩენს ხოლმე თავს), ამიტომ, სახელმწიფოს შემუშავებული უნდა ჰქონდეს ინვესტიციების გამოყენების სტრატეგია (რომელ სფეროში, რა ზომით და ა.შ.). წინასწარ უნდა იყოს პროგნოზირებული, თუ რა გავლენას მოახდენს უცხოური

ინვესტიციები ეროვნულ ეკონომიკაზე, მაკროეკონომიკურ პროცესებზე, საერთო სტაბილურობაზე. სახელმწიფომ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს საბაზო დარგების, ინფრასტრუქტურის, ახალი საფინანსო ინსტიტუტების (საივესტიციო ფონდების, სალიზინგო და სადაზღვევო კომპანიების) დაფინანსებაში. საინვესტიციო ნაკადის გაზრდის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მსოფლიოში აპრობირებული ისეთი მეთოდების გამოყენება, როგორიცაა საამორტიზაციო პოლიტიკის სრულყოფა, კერძოდ უნდა შემცირდეს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ამორტიზაციის ნორმები; რეინვესტირებული მოგების განთავისუფლება გადასახადისაგან (საინვესტიციო საგადასახადო კრედიტის სახით). ექსპორტის დაზღვევისა და დაკრედიტების სისტემის შექმნა; უნდა დაჩქარდეს ფასიანი ქაღალდების ბაზრის შექმნის პროცესი. აუცილებელია კანონით დაწესებული შეღავათის რეალური ამოქმედება და საჭიროა შეიქმნას ალტერნატიული მექანიზმები, რომლებიც მეწარმეს კუთვნილი თანხის „გაცოცხლების" საშუალებას მისცემს.

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში მეტად საჭიროდ უნდა მივიჩნიოთ ინვესტირების ეფექტის მიღწევა სახელმწიფოს მონაწილეობით, რომლის დროსაც კერძო ინვესტორები იღებენ საინვესტიციო პროექტების განხორციელების შესაძლებლობას სტრუქტურული რეფორმების პირველდაწყებითი ეტაპის დასრულების შემდეგ.

ინვესტორების აქტიურობაზე დიდ გავლენას ახდენს სახელმწიფო საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც მიმართული უნდა იყოს ფართო საგადასახადო ბაზისა და დაბალი განაკვეთების მქონე სისტემის ჩამოყალიბებისაკენ: ეს ქვეყანა საშუალებას მისცემს, გააუმჯობესოს კონტროლი საკუთარ და უცხოური ინვესტიციების

განაწილებაზე. ინვესტიციების სტიმულირებისათვის აუცილებელია, ერთი მხვრივ, გადასახადის საერთო დონის შემცირება და, მეორე მხვრივ, მოსახლეობის მიერ გადახდილი გადასახადების ბიუჯეტის შემოსავლების მთავარ წყაროდ გამოყენება.

კრიზისული მდგომაერობიდან გამოსვლა არის სახელმწიფო მნიშვნელობის ამოცანა ქვეყნის ეკონომიკური გარდაქმნის მთავარი ელემენტი, რაც შეუძლებელია ინვესტიციური საქმიანობის გააქტიურების გარეშე.

დღეისათვის საქართველოსთვის პრიორიტეტულია აგროსასურსათო სექტორის ტრადიციული დარგების მევენეხოება მეღვინეობა, მეჩაიეობის, მეციტრუსეობის, მეხილეობა-მებოსტნეობის, მეცხოველეობის, მეფრინველეობის, აგროტურიზმის განვითარება სწორედ ამ მიმართულებით უნდა იქნეს გამოყენებული უცხოური ინვესტიციები და ინვესტორთა გამოცდილება, რა თქმა უნდა, ადგილობრივი ფაქტორების ოპტიმალურად გამოყენების პირობებში.

ინვესტიციების ეფექტიანად გამოყენების მნიშვნელოვან გზად მიგვაჩნია სერთაშორისო ინტეგრაციული პროცესის გაღრმავება მიკრო დონეზე, კერძო ინვესტიციებზე დაფუძნებული სხვადასხვა საერთაშორისო გაერთიანების, ხოლო რეგიონის დონეზე – საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების ჩამოყალიბება. სწორედ ისინი მოახდენენ სამრეწველო და საბანკო კაპიტალის შერწყმას. როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, ამ გზით მიიღწევა ეფექტიანად მოქმედი ინვესტირების მექანიზმების ფორმირება და მოქნილი სამრეწველო პოლიტიკის გატარება. საინვესტიციო საქმიანობის მოტივაციის სისტემაში მიმდინარე ცვლილებების მიუხედავად, მოგება რჩება საინვესტიციო პროცესის მაშტაბისა და მიმართულების განმსაზღვრელ კრიტერიუმად. ამიტომ საწარმოთა

მოგების სახელმწიფო რეგულირებას საინვესტიციო აქტივობის სტიმულირებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

როცა ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის ეფექტიანობაზე ვმსჯელობთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ არსებობს მიზეზ–შედეგობრივი კავშირი კარგად განვითარებულ კერძო სექტორს, გამკაცრებულ ბიუჯეტურ შეზღუდვებს, დაჩქარებულ რესტრუქტურიზაციასა და შრომის მწარმოებლურობას შორის.

ამრიგად, საქართველოში ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად, ეკონომიკის რესტრუქტურიზაციისა და ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მისაღწევად, აუცილებელია ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბება, უცხოური ინვესტიციების სტიმულირება. სტიმულირების პრინციპების რეალიზაციაში მთავარ ადგილს იჭერს საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის სრულყოფა. ხელისუფლებამ და მოსახლეობამ ერთობლივი ძალისხმევით უნდა უზრუნველყონ საივნესტიციო პროექტების შერჩევა, კრიმინოგენური ვითარების გაჯანსაღება ინტელექტუალური საკუთრების დაცულობის ხარისხის ამაღლება და ეკონომიკური ვითარების სტაბილიზება.

2.4. მეცნიერულ–ტექნოლოგიური ინოვაციების როლი რესტრუქტურიზაციის დაჩქარებაში

საქართველოში ეკონომიკურ ურთიერთობათა გარდაქმნების მიმდინარე ეტაპზე წარმოების ტექნიკურ-ტექნოლოგიური დონის ამაღლება, წარმოების მმართვისა და ორგანიზაციის მოწინავე, პროგრესული მეთოდების დანერგვა, პროდუქციის ხარისხის ამაღლება და კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვება შეუძლებელია მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის ამოქმედებისა და მისი შემდგომი გადიდების გარეშე.

ადამიანთა საზოგადოებამ, მიუხედავად მის მიერ გამოვლილი მრავალი ომისა და ბუნებრივი კატაკლიზმებისა, გამოიჩინა მიღწეული მეცნიერულ-ტექნიკური დონის შენახვის საოცარი უნარი, რომელიც წარმოების დონისაგან განსხვავებით ემყარება უფრო ხანგრძლივმოქმედ რესურსებს–მეცნიერულ იდეებს, ცოდნას, გამოცდილების მარაგს, რომელთაგან ზოგიერთი მარადიულიცაა, მათი ინფორმაციული, არამატერიალური ნაწილი არ იხარჯება, არ ცვდება და მისი მატარებელი ადამიანი უფრო ხანგრძლივად ინახავს მიღწეულ დონეს, ვიდრე ტექნიკური საშუალებები. ამ რესურსთა გადიდების გზები გაცილებით უფრო ინტენსიურია (გარდა ადამიანში დავიწყების მოვლენისა), ვიდრე წარმოების რესურსებისა, რის გამოც უზრუნველყოფენ მიღწეული დონის შენარჩუნებას (33.გვ.162).

აგროსასურსათო სექტორისათვის უზრუნველ უნდა იქნეს ინვესტიციების მაქსიმალურად შესაძლებელი ოდენობა მეცნიერულ

ტექნიკური პროცესის მიღწევათა გამოყენების, ასევე სოფლის ყველაზე მწვავე სოციალური პრობლემების თუნდაც მინიმალური გადაწყვეტისათვის. უნდა შემუშავდეს მეცნიერული, კომპლექსურ მიზნობრივი, ეტაპობრივი კონცეფცია მიკრო და მაკრო ეკონომუკური პროცესების გათვალისწინებით, რომელშიც გამოიკვეთება მეცნიერულ-ტექნოლოგიური კვლევებისა და სიახლეების წარმოებაში დანერგვის ეფექტური გზები.

საქართველოს ეკონომიკაში კრიზისული მოვლენების გაღრმავება-გახანგრძლივება უარყოფითად აისახა სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებების მუსაობაზე. მათ უმრავლესობას შეუწყდა, ან მინიმუმამდე შეუმცირდა ცენტრალიზებული სახელმწიფო დაფინანსება. საერთო ეკონომიკური კრიზისის ფონზე, ინოვაციურ საქონელზე მოთხოვნის შემცირების შედეგად მათ ვერ შეძლეს დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოძიება. რამაც გამოიწვია მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუარესება და კადრების მასიური გადინება საქმიანობის სხვა სფეროში.

მიუხედავად ამისა, მეცნიერულ-ტექნიკური დონის შენახვის უნარის შედეგად ქვეყანაში მნიშვნელოვანწილად შენარჩუნებულია წინა პერიოდში შექმნილი მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი. ეკონომიკური რეფორმების დაწყებამდე –1990 წლისათვის, საქართველოში ფუნქციონირებდა 131 სამეცნიერო დაწესებულება, მათ შორის 12 უმაღლესი სასწავლებელი, 115 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და 4 საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაცია, რომლებიც აღჭურვილი იყო იმ დროისათვის უახლესი მანქანა-მოწყობილობებით. ამავე პერიოდში რესპუბლიკის მრეწველობაში მუშაობდა 2406 მექანიზებულ-ნაკადური (მათ შორის 389 იმპორტული) და 380 ავტომატური ხაზი (მათ შორის 146 იმპორტული). 1207

კომპლექსურ-მექანიზებული, 103 ავტომატიზებული და 22 კომპლექსურ-ავტომატიზებული უბანი და საამქრო. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში არსებული ძირითადი ფონდების 29.5% ამორტიზებული იყო , რაც ხელს უშლიდა მაღალხარისხოვანი და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას.

შეზღუდული რესურსების რაციონალურად გამოყენებისათვის აუცილებელია საზოგადოებრივ და კერძო საწყისებზე სამეცნიერო კვლევების გამიჯვნა. საქართველოს სასოფლო სამეურნეო განათლება იყოფოდა შემდეგ დონეებად: თბილისის აგრალური უნივერსიტეტი, ზოვეტერინალური ინსტიტუტი და სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი, 7 სასოფლო სამეურნეო კოლეჯი და 9 სასოფლო სამეურნეო სკოლა, 27 კვლევითი ინსტიტუტი, მიუხედავად ამისა არსებული პოტენციალი ვერ იქნა გამოყენებული მიზნობრივად. აგროსასურსათო სექტორის მეცნიერულ-ტექნოლოგიური უზრუნველყოფის ძალზე დაბალმა დონემ გაზარდა სოფლად მეწარმეთა რისკის ფაქტორი და შექმნა ბაზისი ჩამოყალიბებულიყო ნატურალური და ნახევრადნატურალური მეურნეობები.

აგროსასურსათო სექტორში წარმოებული პროდუქცია ხასიათდება არაკონკურენტუნარიანობით, რომლის მთავარი მიზეზი მისი კვებითი და გემოვნებითი სარგებლიანობის პარამეტრები კი არა, არამედ მაღალი ენერგოტევადობა, ნედლეულის გადამუშავების არა კომპლექსურობა, ტექნოლოგიური მანქანადანადგარების წარმოების შეუსაბამობა და სხვა მსგავსი ფაქტორებია.

იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობას ჰქონდეს უნარი უპასუხოს ქვეყნის საჭიროებებს, ის უნდა იყენებდეს საერთაშორისო სამეცნიერო ტექნოლოგიურ სიახლეებს, ამისათვის საჭიროა

სამეცნიერო კვლევისა და საგანმანათლებლო პროგრამების გაფართოება, გამოყენებითი სამეცნიერო კვლევებისა და ცოდნის გაფართოების სისტემის შექმნა. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის აგრალური ბიოტექნოლოგიებისა და ბიზნესის ინსტიტუტეს სამეცნიერო კვლევით და პრაქტიკულ დანერგვითი სამუშაოების პერსპექტივებს შეიძლება აღენიშნოს, რომ პოტენციალი არსებობს და მას სჭირდება სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული სახის სტიმულები. აღნიშნულ ინსტიტუტში ფუნქციონირებს ექსპერიმენტალური საკონსერვო ქარხანა, სადაც ხორციელდება, როგორც ტრადიციული ასევე ახალი სახის პროდუქტების წარმოება. ქარხანას გააჩნია კურკოვანი და ციტრუსოვანი ნაყოფისაგან ნატურალური და კონცენტრირებული წვენების მიღების, პიურეს მაგვარი პროდუქტების წარმოების, მზა პროდუქციების დაფასოების ტექქნოლოგიური ხაზები. ინსტიტუტში შემუშავებულია შემდეგი პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიები: მანდარინის ნატურალური კონცენტრატი, ხურმის ნატურალური კონცენტრატი, ტყემლის, აჯიკის, ფეიხოს ჯემის, კაკლის, მანდარინისა და მსხლის მურაბების. ინსტიტუტეს მოპოვებული აქვს სხვადასხვა სახის გრანტები, რომელთა გამოყენებით შემუშავებული იქნა სრულყოფილი ტექნოლოგიები და დამზადებული იქნა პროდუქციის საცდელი ნიმუშები.

ჩვენის აზრით ტექნოლოგიური საშუალებების ეფექტური მონიტორინგი და საკონსულტაციო მომსახურების მობილური სისტემის ჩამოყაიბება საშუალებას მისცემს ქვეყანას აამაღლოს საკუთარი მწარმოებლური პოტენციალი.

პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის განვლილ პერიოდში ჩამოყალიბებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია სამეცნიერო

დაწესებულებებისა და მეცნიერ-მუშაკთა რიცხოვნობის შემცირება, ამ უკანასკნელის სტრუქტურაში ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერებების (ფიზიკა-მათემატიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, ტექნიკერი) წილის შემცირება. ასე მაგალითად, 1990 წელთან შედარებით 2000 წლისათვის:

–სამეცნიერო დაწესებულებათა რიცხვი შემცირდა 22%-ით (131-დან 102-მდე). მათ შორის 2000 წლისათვის გაუქმებული იყო 1990 წლისთვის მოქმედი ოთხივე საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაცია, ხოლო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების რაოდენობა აღნიშნულ პერიოდში შემცირდა 115-დან 85 ერთეულამდე, ანუ 26%-ით.

–მეცნიერ-მუშაკთა რაოდენობა დაახლოებით ორჯერ-14.9 ათასს კაცამდე 2000 წლისათვის.

–მეცნიერ-მუშაკთა სტრუქტურა შეიცვალა ჰუმანიტარულ სფეროს სასარგებლოდ. ასე მაგალითად, ზრდა დაფიქსირდა ისტორიულ, ფილოსოფიურ, გეოგრაფიულ, იურიდიულ, ხელოვნებათმცოდნეობის და სხვა სფეროში (1.გვ.39.გვ.29.გვ.33).

–მეცნიერებაზე გაწეული დანახარჯების ხვედრითი წილი 1994 წელს შემცირდა 60%-ით. (1-დან 0.4%-მდე). იგივე დონე იქნა შენარჩუნებული 1995 წელს, ხოლო 1996 წელს აღინიშნა შემდგომი შემცირება (სავარაუდოდ 0.19%-მდე). ეს მაშინ, როდესაც განვითარებად ქვეყნებში აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენს 0.6-0.8%-ს, ხოლო მაღალ განვითარებულ ქვეყნებში მიიჩნევენ, რომ იგი არ უნდა იყოს 3.5%-ზე ნაკლები (1.გვ.39.გვ.29.გვ.33).

1990-იან წლების დასაწყისიდან მკვეთრად შემცირდა სამეცნიერო-ტექნიკური სამუშაოების დაფინანსების მოცულობა. 1996-1997 წლებში ამ სფეროში დაისახა გარკვეული დადებითი

ტენდენციები, თუმცა მომდევნო წლებში კვლავ აღინიშნა კრიზისული მოვლენები:

–1996 წელს აღნიშნული სამუშაოების მოცულობამ შეადგინა 9289.1 ათასი ლარი, 1997 წელს –21942.5 ათასი ლარი, 1998 წელს –17545.1 ათასი ლარი, 1999 წელს –15878.7 ათასი ლარი, 2000 წელს –13006.3 ათასი ლარი (71-2 გვ.30.გვ.103.გვ.104.გვ.105).

ზემოთ განხილული მონაცემები მიუთითებს ეროვნულ მეურნეობაში წლების განმავლობაში დაგროვილ მეცნირულ-ტექნიკური პოტენციალის გარკვეულ შემცირებაზე, სამამულო წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეუსაბამობაზე თანამედროვე მოთხოვნებთან და მისი შემდგომი ამაღლების სირთულეებზე.

ყოველივე აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ არასასურველი მდგომარეობაა შექმნილი სამეცნიერო და საინჟინრო ტექნიკური კადრების დასაქმებისა და მათი კვალიფიკაციის შენარჩუნაბისათვის, სრულიად არადამაკმაყოფილებელია მეცნიერების ფონდ-აღჭურვილობა და დაფინანსებაზე გაწეული მწირი ხარჯები, სამეცნიერო-ტექნიკურ შესაძლებლობათა გამოყენების დონე, ძირითადი ფონდების მდგომარეობა და წარმოებული პროდუქციის მოცულობა. ბოლო პერიოდში, ცალკეულ დარგებში, შეიმჩნევა გარკვეული ძვრები რაც მეტად უმნიშვნელოა.

საქართველოში, მიუხედავად არსებული ეკონომიკური კრიზისისა და სიდუხჭირისა, ჯერ კიდევ შემორჩენილია მნიშვნელოვანი მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი, მაღალი პროფესიული დონე, ეროვნული ტრადიციები, „სოციალური ენერგია–რომელიც ეკონომიკაში და მთელ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების ღრმად, მრავალ მხრივ, ახლებურად გააზრების საშუალებას იძლევა”(34.გვ.195), და ა.შ. ამასთან კრიზისის დაძლევა მოითხოვს

ისეთ სახელმწიფო მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის ფორმირებას, რომლის საფუძველზეც მოხდება მეცნიერულ-ტექნიკური დონის შენახვისა და ზრდის პრობლემების გადაწყვეტა. ამ მიზნით აუცილებელია სახელმწიფო მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის ფორმირებას საფუძვლად დაედოს: მეცნიერული პოლიტიკა, ტექნიკურ-ტექნოლოგიური პოლიტიკა, ინდუსტრიული პოლიტიკა, ნაციონალური პასუხისმგებლობის პოლიტიკა.

სახელმწიფო მეცნიერულმა პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს აღნიშნულ სფეროში არსებული პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას და მის შემდგომ გადიდებას, რაც აუცილებელია კონკურენტუნარიანი მეცნიერებატევადი პროდუქციის წარმოების განვითარებისათვის. აღნიშნული პოლიტიკის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მეცნიერების სფეროში მიღწეული შედეგების წარმოებაში დანერგვას. (განსაკუთრებით თაობების მიერ დაგროვილი ცოდნის, გამოცდილების, ტექნიკურ გამოგონებათა ეფექტური ჩართვა ეკონომიკურ პროცესში). რისთვისაც აუცილებელია ისეთი წამახალისებელი საგადასახადო-საკრედიტო პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს წარმოებაში სიახლეთა დანერგვასა და მათ სწრაფ ათვისებას.

საქართველოს ეკონომიკა უმძიმეს, შოკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა ათეულობით წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული სამეურნეო კავშირების რღვევისა და ტრადიციულ ბაზრებზე ქართული საწარმოების მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე ьმოთხოვნის შემცირების შედეგად. ამიტომ საწარმოები იძულებულნი გახდნენ მოეძებნათ მზა პროდუქციის გასაღების ახალი ბაზრები, სადაც ხარისხობრივი მოთხოვნები ტრადიციულ ბაზრებთან შედარებით ბევრად მაღალია. ამავე დროს შიდა ბაზრებზე გაძლიერდა კონკურენცია იმპორტული საქონლის

მხრიდან, რომელიც დამზადებულია უახლესი ან შედარებით თანამედროვე ტექნოლოგიებით.

აღნიშნულმა პროცესებმა წარმოშვა სტრუქტურული ცვლილებების დაჩქარების აუცილებლობა. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა სუბიექტური მიზეზებისა და მკაცრი ეკონომიკური კრიზისის შედეგად საქართველოში გაჭიანურდა ეკონომიკისა და ცალკეულ საწარმოთა რესტრუქტურიზაციის პროცესი, კონკურენტუნარიანი დარგობრივი სტრუქტურის ფორმირებისა და სტაბილური, გრძელვადიანი საგარეო-ეკონომიკური კავშირების ჩამოყალიბების პროცესი. აღნიშნული ამოცანების გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელია საქართველოს ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლება, საწარმოთა მწარმოებლურობისა და რენტაბელობის გადიდება, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოება, მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება და ა.შ.

ეროვნული მეურნეობის ეფექტური რესტრუქტურიზაცია, შიგა და საგარეო ბაზრებზე კონკურენტუნარიანი დარგებისა და საწარმოების ფორმირება მოითხოვს ეკონომიკის მმართვისა და ორგანიზაციის თანამედროვე მეთოდების, პროგრესული მანქანა-მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების მასშტაბურ დანერგვას.

გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ ადგილობრივი წარმოება განიცდის კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოსაშვებად საჭირო ტექნოლოგიების მწვავე დეფიციტს. უფრო მეტიც, სამამულო წარმოების უმრავლეს დარგებში და საწარმოებში არსებული მანქანა-მოწყობილობებითა და ტექნოლოგიებით გაიოშვებული საქონელი, შედარებით მაღალი დანახარჯებისა და დაბალი ხარისხის შედეგად ვერ უწევს კონკურენციას იმპორტულ პროდუქციას. ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინოვაციათა

შემოტანა და წარმოებაში მათი სწრაფი დანერგვა, რისთვისაც საჭიროა აღნიშნული პროცესის წახალისება.

აგრარულ პოლიტიკაში, რომელიც ორიენტირებულია კომპლექსურ, საუწყებათაშორისო მიდგომებზე რესურსების გამოყენებისა და სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების სფეროში თვისობრივად ახალ მიდგომებს საჭიროებს წარმოების დივერსიფიკაცია. ცნობილია, რომ წლების მანძილზე ჩამოყალიბებული დარგობრივი სტრუქტურა ვერ პასუხობდა თვით დივერსიფიკაციის ბუნებას, ამიტომ დივერსიფიკაციის გზაზე ხელოვნურად შექმნილმა ბარიერებმა გარდამავალ პერიოდში მძაფრად იჩინა თავი, რამაც უარყოფითად იმოქმედა მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების მოთხოვნაზე აგრალურ სექტორში.

რესტრუქტურიზაციის პროგრამების შემუშავება დღეს არსებული მდგომარეობის დაძლევის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულებაა, რომელიც აუცილებლად მოითხოვს მეცნიერულ-ტექნოლოგიურ სიახლეზე ორიენტირებულ საწარმოო სტრუქტურების შექმნასა და განვითარებას. ქვეყანაში უნდა შეიქმნას შესაბამისი პირობები მეცნიერულ-ტექნოლოგიური სიახლეების მოზიდვის.

არსებობს მეცნიერულ-ტექნოლოგიურ სიახლეთა მოზიდვის ორი გზა:

1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წახალისება. რადგანაც ასეთი ინვესტორები, საკუთარი ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ანუ მაღალი მოგების მიღების მიზნით, წარმოებაში ნერგავენ ახალ მეთოდებს მენეჯმენტის, მარკეტინგისა და წარმოების ორგანიზაციის სფეროში, აგრეთვე ახორციელებენ წარმოების ტექნიკურ-ტექნოლოგიურ მოდერნიზაციას.

2. მეცნიერულ-ტექნოლოგიურ სიახლეთა –მანქანა-მოწყობილობ-ების, ტექნოლოგიების, პატენტების–უცხოეთში შეძენა. ინოვაციათა ამ

გზით ფართო მასშტაბიანად შემოტანა სათუოა სათანადო ფინანსური რესურსების უქონლობის გამო. თუმცა ამ მიზნით შესაძლებელია უცხოური კრედიტების გამოყენება, რაც მთავრობისაგან მოითხოვს სათანადო პოლიტიკის შემუშავებას რითაც მოხდება უცხოური კრედიტების საფუძველზე ინოვაციების შემოტანის წახალისება.

ეროვნული მეურნეობის რესტრუქტურიზაციის დაჩქარების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში განისაზღვროს იმპორტირებული მეცნიერულ-ტექნოლოგიურ სიახლეთა გამოყენების პრიორიტეტული სფეროები. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია გადამამუშავებელი მრეწველობის წამყვანი დარგებისა და საწარმოების თანამედროვე მანქანა-მოწყობილობებით აღჭურვა, მათი ტექნოლოგიური გადაიარაღება, რაც მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების, წარმოების ეფქტიანობის ამაღლებისა და ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გადიდების აუცილებელი პირობაა.

საქართველოსათვის ექსპორტის ზრდის მყარი ტემპის მიღწევა უნდა გახდეს ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიული ამოცანა. ამ მიზნით ფულად საკრედიტო პოლიტიკა მუმართული უნდა იყოს საექსპორტო და იმპორტ შემცვლელი წარმოების განვითარებისაკენ. უმთავრეს ამოცანად მიგვაჩნია ქვეყნის ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის დაძლევა და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება, რაც მეცნიერების სათანადო ინვესტირების გარეშე შეუძლებელია.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან ჩანს, რომ მეცნიერებაზე სახელმწიფოს ასიგნებათა წილი მთლიან შიდა პროდუქტში არ უნდა იყოს 2 %-ზე ნაკლები. საქართველოში ეს მაჩვენებელი რამდენჯერმე ნაკკლებია.

საქართველო ჯერ კიდევ მნიშვნელოვან სამეცნიერო პოტენციალს ფლობს, მიუხედავად იმისა რომ მეცნიერების დაფინანსება გრანტულ სისტემაზე გადავიდა, ჯერ კიდევ რთულდება ეროვნული ტექნოლოგიური უსაფრთხოების დაცვა, რაც სამამულო სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ზღვრულად დასაშვებ მინიმალურ დონეზე შენარჩუნებას გულისხმობს.

სტრუქტურულმა ტრანსფორმაციამ ეკონომიკას ექსტრემალურ ვითარებაში ავტონომიური ფუნქციონირების უნარი უნდა მიანიჭოს, ხელი შეუწყოს მის მაღალი ეფექტიანობის მიღწევას, რაშიც მნიშვნელოვან როლს ინტენსიური ფაქტორები ასრულებენ, რომელთა გარეშე ყველა სხვა ფაქტორისა და რესურსის ძალა ძლიერ შემცირდება და შეუძლებელი გახდება პროგრესის მიღწევა. აქედან გამომდინარე მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების გამოყენების გარეშე ქვეყანა ვერ შეძლებს მნიშვნელოვან ეკონომიკურ განვითარებას.

თავი 3. აგროსასურსათო სექტორის რესტრუქტურიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობა.

3.1. ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდური საფუძვლები

ეკონომიკის რესტრუქტურიზაცია გულისხმობს სისტემური ცვლილებების განხორციელებას, იგი მოიცავს მწარმოებლური ძალების, ეკონომიკური ურთიერთობებისა და ინსტიტუციური მოწყობის გარდაქმნასა და სტრუქტურულ სრულყოფას. პრაქტიკულად იცვლება ეკონომიკის ყველა ელემენტი: ეკონომიკური პროცესების კორდინაციის, მ.შ. რესურსების განაწი-ლების წესი; საკუთრებითი ურთიერთობები: მოტივაცია; კვლავწარმოების ტიპი; ეკონომიკური განვითარების მიზნები და საშუალებები; ინსტიტუტები და სამართალი.

საქართველოში, საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების გათვალის-წინებით, მაკროეკონომიკური რესტრუქტურიზაციის, ანუ ეროვნულ მეურნეობაში ჩამოყალიბებული სტრუქტურის, ეკონომიკური ურთიერთობების, ინსტიტუციური უზრუნველყოფის სისტემისა და სამართლებრივი ბაზის სისტემური გარდაქმნებისა და სრულყოფის აუცილებლობა ისეთმა ობიექტურმა მიზეზებმა განაპირობეს როგორიცაა წარმოების ეფექტიანობისა და შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლურობის დაცემა;

ეკონომიკური ზრდის ტემპის მკვეთრი შემცირება, 80-იანი წლების დასაწყისიდან მისი პრაქტიკული შეწყვეტა და მთლიანი ეროვნული პროდუქტის აბსოლუტური მოცულობის შემცირება; მოსახლეობის ცხოვრების პირობების არსებითი გაუარესება.

შესაბამისად, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ეკონომიკის რესტრუქტირიზაციის ერთ-ერთი მთავარი მიზანია სოციალისტური ეკონომიკური სისტემის დემონტაჟი და მაღალგანვითარებული საბაზრო-ეკონომიკური სისტემის ფორმირება, კვლავწარმოების ისეთი მთლიანი სისტემის შექმნა, რომელიც გააერთიანებს ურთიერთშორის მჭიდროდ დაკავშირებულ საწარმოებსა და რეგიონებს, რომლის მთავარი მიზანი იქნება: სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლება; რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება; შრომის ნაყოფიერების ზრდა; პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება; ინვესტიციური აქტივობის ამაღლება; ინოვაციური სფეროს განვითარება და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უახლესი მიღწევების წარმოების პროცესში დანერგვა, მ.შ. ინფორმაციული ტექნოლოგიების ათვისება.

ეკონომიკის რესტრუქტურიზაცია მხოლოდ საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი ქვეყნებისათვის არ არის დამახასიათებელი. იგი მუდმივი პროცესია, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ადგილი აქვს რესტრუქტურიზაციის პროცესს, რომელიც განაპირობებს მწარმოებლურობის ზრდას, რაც დადებითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. რესტრუქტურიზაციის პროცესში 4 ძირითად კომპონენტს გამოყოფენ: პოლიტიკური რეფორმაცია, მართვის სრულყოფა, საქმიანობის რესტრუტურიზაცია და ფინანსური რესტრუქტურიზაცია, რომლებიც თავისებურად

მოქმედებენ ქვეყნის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფორმირებასა და განვითარებაზე.

რესტრუქტურიზაცია თავის შინაარსით და ფორმით უწყვეტი პროცესია, ამიტომ აუცილებელია, რომ ის იყოს შედეგზე ორიენტირებული, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი ინდიკატორების, მაჩვენებლების შემუშავება, რომლებიც მოგვცემენ ამომწურავ ინფორმაციას და მოგვეცემა საშუალება ადეკვატური მოქმედებები განვახორციელოთ შედეგების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.

რა თქმა უნდა რეფორმები და სტრუქტურული ცვლილებები შედეგებზე უნდა იყოს ორიენტირებული, რისთვისაც რესტრუქტურიზაციის პროცესის შეფასება შემდეგი მაჩვენებლებით ხდება: ინსტიტუციური, სოციალური, ფინანსური და კვალვწარმოებითი ეფექტიანობა, რომელთა დონეც დიდად არის დამოკიდებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფორმირებასა და განახლებაზე. ეკონომიკურ ლიტერატურაში ეფექტიანობა შეფარდებითი მაჩვენებელია, იგი გვიჩვენებს სამეურნეო საქმიანობით მიღებული შედეგის (ეფექტის) შეფარდებას დანახარჯებთან.

ეკონომიკური ეფექტიანობა გულისხმობს წამოების მიზნისა და ამოცანების მიღწევას მინიმალური დანახარჯებით. იგი როგორც რაიმე პროცესის, მოვლენის განვითარების ძირითადი არსის გამოხატვის საშუალებაა, გვევლინება განმაზოგადებელ საზომად და ძირითადი სამეურნეო საქმიანობის შედეგისა და მასზე გაწეული დანახარჯების ურთიერთშეფარდებაში აისახება.

სოციალური ეფექტიანობა ადამიანთა შრომის, დასვენების, საყოფაცხოვრებო და კულტურული დონის ამაღლებაში აისახება. იგი გამოხატავს სახელმწიფოს ზრუნვას მშრომელთა კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის, შრომის პირობების გაუმჯობესებისა

და გარემო პირობების დაცვაში, ქვეყნის რეგიონისა და ცალკეული რაიონების ეკონომიკური პოტენციალის განვითარებისათვის.

სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში ცხოვრების პირობების ერთიანობა აქტიური სტრუქტურული პოლიტიკით მიიღწევა. განასხვავებენ: სექტორულ სტრუქტურულ პოლიტიკას, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ცალკეულ დარგებში ცვალებადი მოთხოვნების და წარმოების პირობების შესაბამისობაში მოყვანას; რეგიონალურ სტრუქტურულ პოლიტიკას, რომელმაც ეკონომიკური საქმიანობის გაწონასწორებული განაწილების ფარგლებში უნდა იმოქმედოს და საწარმოთა სიდიდეებზე დამყარებული სტრუქტურული პოლიტიკა, რომელმაც საწარმოების განსაზღვრული სიდიდეების სტიმულირებით უნდა დააჩქაროს ცვალებად საბაზრო პირობებთან ადაპტაცია.

სოციალური შედეგები დამოკიდებულია ეკონომიკურ ეფექტიანობაზე და პირიქით, სოციალური ეფექტიანობის ზრდა ხელს უწყობს ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას. ესე იგი აუმჯობესებს შრომის პირობებს და ადიდებს შრომის წარმოებლურობას. ამიტომ ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ასევე სოციალური ეფექტი და მასზე დახარჯული რესურსები.

აქედან გამომდინარე რესტრუქტურიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ეფექტიანობა შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად: მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ეფექტიანობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შეფასების შედარებითი მაჩვენებელია, რომლის სიდიდეც გვიჩვენებს ეროვნული შემოსავლის ნამატის და ამ ნამატის გამომწვევ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების ხარჯების თანაფარდობას. თუ ეროვნული შემოსავლის ნამატს

ავღნიშნავთ ΔE ხოლო ხარჯებს ΔK-თი მაშინ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ეფექტიანობის მაჩვენებელი Э= ΔE / ΔK

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ეფექტიანობის მაჩვენებელთა აგება ეფუძვნება განსაზღვრულ მეთოდოლოგიურ პრინციპებს, რომელთა შორის ძირითადია:

- შედეგები და დანახარჯები, ამ სიდიდეთა თანაფარდობა ან სხვაობა გამოიყენება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ეფექტიანობის შესაბამისი მაჩვენებლის ფორმირების მიზნით;
- განხორციელებულ ცვლილებებითა და რეფორმებით მიღწეული შედეგებით შეფასება;
- მიმდინარე ხარჯების შეფასება;
- ეფექტიანობის მაჩვენებელი შეიძლება ორ ტიპად დაიყოს $E = \frac{S}{R(N)}$; რესურსული (R) და დანახარჯების ეფექტიანობა (N);
- მატერიალური ბაზის განვითარების დონე შეიძლება შევაფასოთ ნივთობრივი, შექმნილი სიმდიდრის რაოდენობას T პერიოდში თუ შეუფარდებთ ამავე პერიოდში მოსახლეობის რიცხოვნობას;
- ამასთან ერთად რესტრუქტურიზაცია ხომ სრული ადაპტაციაა საბაზრო ეკონომიკის გარემოში, რომლის ძირითადი მახასიათებელია წარმოება-მოხმარებისათვის, ამიტომ ცალკეული დარგების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ეფექტიანობის შეფასებისათვის შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი მაჩვენებელი E=100-C, სადაც C გვიჩვენებს მოცემული სახის საქონლის შიდა მოხმარების რამდენ პროცენტს უზრუნველყობს შიდა წარმოება;

ცალკეული დარგების ან საწარმოების მაშტაბით მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ეფექტიანობა შეიძლება განისაზღვროს როგორც მოგების ნამატი შეფარდება ამ მოგების

ნამატის გამომწვევ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების ხარჯებთან.

რესტრუქტურიზაციის ღონისძიებათა ეფექტიანობამ უნდა უზრუნველყოს საწარმოთა მომგებიანობა. იგი ორგანიზაციული ღონისძიებების გარდა, ითვალისწინებს ტექნიკურ და ტექნოლოგიურ ღონისძიებებს: პროგრესული ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანეგვას, პროდუქციის ხარისხის ამაღლებას, პროდუქციის ნომენკლატურის შეცხვლას, ახალი სახეობის პროდუქციის ათვისებას.

მსოფლიო გამოცდილებაში არ მოიპოვება მზა რეცეპტი, როგორც აგროსასურსათო სექტორის ისე მთლიანად ეკენომიკის რესტრუქტურიზაციის ეფექტურად განხორციელების. ჩვენს მიერ გამოყენებული რესტრუქტურიზაციის ეფექტიანობის მაჩვენებელთა სისტემა მოგვცემს საშუალებას შევაფასოთ მიღებული შედეგები გამოვარკვიოთ ხელშემშლელი ფაქტორები და შევიმუშავოთ ეფექტური მექანიზმები რესტრუქტურიზაციის პროცესის მუდმივი დაკვირვებისა, რაც ჩვენის აზრით სასურველ შედეგების მიღებას უზრუნველყოფს.

3.2. აგროსასურსათო სექტორის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ეფექტიანობა

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლასთან დაკავშირებით განხორციელებულმა რეფორმებმა შეაფერხა აგროსასურსათო სექტორის შემდგომი განვითარება. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა აგროსასურსათო სექტორის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მოხდა სოფლის მეურნეობის დეინდუსტრიალიზაცია, რაც ჩვენის აზრით ეგრეთწოდებული „ჰოლანდიური" დაავადებით იყო გამოწვეული. ამ პერიოდისათვის ფაქტიურად შემოსავლიან დარგად ვაჭრობა ითვლებოდა და თავისუფალი ფულადი სახსრების დიდმა ნაწილმა სწორედ ამ სფეროში მოიყარა თავი.

ქვეყანაში ადგილი ჰქონდა სულადობრივი შემოსავლების ზრდას, რამაც ენგელის კანონიდან გამომდინარე შეამცირა მოთხოვნა სასურსათო პროდუქტზე და წარმოების განვითარებამ მკვეთრად შეაფერხა. ამას თან დაერთო შიდა ომები, დესტაბილიზაცია, სამრეწველო წარმოების გაჩანაგება, რაც პირდაპირ აისახა ეროვნული მეურნეობის სტრუქტურასა და მის განვითარებაზე.

ბოლო წლებში აგროსასურსათო სექტორზე ზეგავლენას ახდენენ ფაქტორები, რომლებიც არ შეიძლება ჩაითვალნონ ობიექტურად. მათ

შორის მთავარია ფასების დისპარიტეტი – სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქციის ფასების ზრდის ძალზე დაბალი ტემპი მატერიალური საწარმოო რესურსებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანამოწყობილობების ფასების ზრდის ტემპთან შედარებით.

მოძველებული ტექნიკა-ტექნოლოგია, გაბატონებული ხელით შრომა, დაუცველი ბაზრები და სხვა ყველაფერი ერთად აფერხებს აგროსასურსათო სექტორის განვითარებას. თანამედროვე პირობებში გლობალიზიციის დაჩქარებული ტემპის გათვალისწინებით აუცილებელია შევაფასოთ ქვეყნის პოტენციალი და ეფექტურად ჩავერთოთ შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, რაც გვიბიძგებს ისეთი დარგების აღდგენა-განვითარებისაკენ, სადაც ჯერ კიდევ გაგვაჩნია სხვებთან შედარებით შეფარდებითი უპირატესობობი.

უნდა გვესმოდეს ისიც, რომ მაღალ ტექნოლოგიური ეკონომიკის პირობებში ფაქტორული უზრუნველყოფა გადამწყვეტი არ არის, ამიტომ ძალზედ მნიშვნელოვანია აგროსასურსათო სექტორში მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა, არსებული (თუ არსებობს) მატერიალური-ტექნიკური ბაზის შენარჩუნება და განახლებაზე ზრუნვა, აგროსერვისის აღდგენა-განვითარება

საქართველოში სახეზეა აგრარული სექტორის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მომარაგების არასახარბიელო მდგომარეობა. ძალიან დაბალია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების გამოყენება და საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფა რის მიზეზადაც მიგვაჩნია ის რომ ამ დარგში არ არის აღებული სწორი სტრატეგია და ტაქტიკა. განვითარებულ ქვეყნებში მოქმედი

სისტემების ჩვენი ქვეყნის პირობებთან შეჯერება დღის წესრიგში აყენებს სერვისის სრულიად ახალი მექანიზმის შექმნის აუცილებლობას, რომელიც მოერგება ფერმერულ, კოოპერაციულ, ისე სახელმწიფო და საზოგადოებრივ მეურნეობებს, აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა საწარმოებს.

ქვეუნის აგროსამრეწველო სექტორში აუცილებელია შრომისა და წარმოების ეფექტური ორგანიზაცია, საწარმოო სპეციალიზაციისა და კომპლექსური განვითარებისათვის. უნდა განხორციელდეს იმ პროდუქტების წარმოების, გადამუშავების და დამზადების საქმიანობის მოდერნიზაცია რომლებიც პირველ რიგში განკუთვნილია ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ამის შემდეგ უნდა ჩამოყალიბდეს ექსპორტის განვითარების ერთიანი სახელმწიფო გეგმა რამაც უნდა უზრუნველყოს ექსპორტ-იმპორტის ოპტიმალური თანაფარდობა რომელიც სრულად უპასუხებს ქვეყნის საერთო ინტერესებს. ასეთ მიდგომას უნდა დაექვემდებაროს ქვეყნის ყველა რესურსის განაწილება-გამოყენება რაც უნდა განხორციელდეს არა ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული მეთოდებით არამედ ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკური ბერკეტებით.

გარდა ზემოთ აღიშნულისა ძალზედ მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ აგროსასურსათო სექტორში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ეკონომიკურ ეფექტინაობაზე. ამ მიზნით კვლევები წარვმართეთ სამი მიმართულებით:

1. სექტორის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფის მდგომარეობა;

2. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების ეფექტიანობა;

3. დარგთაშორისი კავშირები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ეფექტიანობის ფაქტობრივი დონე;

თეორიულად ცნობილია, რომ ცალკეულ საწარმოსა, დარგსა თუ სექტორში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფის დონის შეფასება შესაძლებელია ისეთი მაჩვენებლებით, როგორიცაა დარგის რენტაბელობის დონე და კაპიტალდაბანდებათა რენტაბელობის დონე. თუ დარგის რენტაბელობის დონე ($P_დ$) დაბალია კაპიტალდაბანდებათა რენტაბელობის დონეზე ($P_კ$), ე.ი. $\alpha = (P_დ / P_კ) < 1$ ან $1 - \alpha > 0$ მაშინ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება წარმატებით არის განხორციელებული.

საპირისპირო მდგომარეობით კი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება არ შეესაბამება მოთხოვნებს და მისი გარდაქმნა აუცილებელია(111.გვ.166). ეს ურთიერთდამოკიდებულება შესრულდება იმ შემთხვევაში თუ ბუნებრივ-კლიმატური პირობების ზეგავლენა ძალზე დაბალი იქნება.

აღნიშნული მსჯელობა ჩვენს მიერ გრაფიკულად შემდეგნაირად არის წარმოდგენილი.



როგორც, გრაფიკზე ჩანს როცა $(P_დ)=(P_კ)$ მაშინ დარგში მატერიალურ-ტექნიკურ ბაზის განახლებაზე მოთხოვნა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზის მიწოდების ტოლია.

როგორც ვხედავთ $(P_{1დ}–P_{1კ})<0$ ამ შემთხვევაში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება წარმატებულია და დამატებით ცვლილებებს ამ მხვრივ დარგი არ საჭიროებს.

$P_{2დ}– P_{2კ}>0$ ამ პირობებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ეფექტიანობა დაბალია და აუცილებელია მისი განახლება.

აქედან შეიძლება შემდეგი დასკვნის გაკეთება. მატერიალურ-ტექნიკურ ბაზის ეფექტიანობა მაღალია თუ $(1–P_დ/P_კ)>0$. სწორედ ამ შედეგის მიღწევა უნდა იყოს ნებისმიერი რეფორმის განხორციელების მიზანი.

კვლევებმა აჩვენა, რომ როგორც საქართველოს, ისე აჭარის ა.რ-ში აგროსასურსათო სექტორის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფის მდგომარეობა ძალზედ არასახარბიელოა, რაც რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით აიხსნება, მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მიწის რეფორმის სწორად წარმართვის, საერთაშორისო დახმარებების მიზნობრივად გამოყენების, შესაბამისი ინსტიტუციონალური ცვლილებების, თავისუფალი კონკურენციული გარემოს და სახელმწიფოს მიზანმიმართული პოლიტიკის გარეშე ამ პრობლემის გადაჭრა თითქმის შეუძლებელია.

აგროსასურსათო სექტორის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ეფექტიანობის შეფასება სხვადასხვა მაჩვენებლებით ხდება. კერძოდ:

– ცალკეულ საწარმოებსა და დარგებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ეფექტის ერთ-ერთი მაჩვენებელია ცალკეული პროდუქციის წარმოების ხარჯების საბაზო და საგეგმო მაჩვენებლთა სხვაობა.

$$Э = (З_1 - З_2) \cdot A_2$$

სადაც $З_1$ და $З_2$ შესაბამისად საბაზო და საგეგმო მაჩვენებლებია. A_2 კი ახალი ტეკნიკა-ტექნოლოგიით წარმოებული პროდუქციის რაოდენობაა.

– მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ეფექტიანობა შეიძლება შევაფასოთ მაჩვენებლით, რომლის გაანგარიშებაც შემდეგი წესით ხდება: მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ამოქმედების შედეგად პროდუქციის ხარჯების შემცირების ხვედრითი წილი ამოქმედებამდე წარმოებულ პროდუქციის თვითღირებულებაში, ე.ი.

$$Q = \frac{З_1 - З_2}{З_1} \ (\%)$$

– შრომის მწარმოებლურობის ზრდა:

$$H = \frac{H_2 - H_1}{H_1}$$

სადაც H_2 და H_1 წლიური გამოშვებაა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების შემდეგ და განახლებამდე.

– ფონდუკუგება და ჩვენს მიერ თავი 3.1.-ში განხილული სხვა მაჩვენებლები.

დარგთაშორისი კავშირები საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ თითოეულ დარგში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ეფექტიანობის ურთიერთ ზეგავლენა, რასაც ვუწოდებთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ეფექტიანობის „ფაქტობრივ დონეს.” განსაკუთრებით საინტერესოა მწარმოებელ და გადამამუშავებელ დარგებში ამ მაჩვენებლის სიდიდე. თუ i-ურ მწარმოებელ დარგში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ეფექტიანობას ავღნიშნავთ Q_i-ით, ხოლო g-ურ გადამამუშავებელ დარგში კი Q_g-ით და i-ურ დარგში წარმოებული პროდუქციის g-ურ დარგში წარმოებულ პროდუქციაში

ხვედრით წილს α-თი მაშინ ჩვენს მიერ შედგენილი მათემატიკური ფორმულის მიხედვით გაანგარიშებით ეფექტიანობის ფაქტობრივი დონე ტოლი იქნება:

$$q = \frac{\Delta З_g}{З_{1g}}$$

$$\Delta З_g = З_{1g} - З_{2g} = З_{1g} - (З_{1g} - \alpha Q_i З_{1g} - Q_g З_{1g}) = \alpha Q_i З_{1g} + Q_g З_{1g}$$

$$q = \alpha Q_i + Q_g$$

ე.ი. g-ურ დარგში პროდუქციის წარმოებაში თუ i-ური დარგის პროდუქტი არ გამოიყენება $(\alpha = 0)$, მაშინ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ეფექტიანობის ფაქტობრივი დონე ამ დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ეფექტიანობის ტოლი იქნება. თუ $Q_i = Q_g$ მაშინ $q = (\alpha + 1) Q_i$ ე.ი. რაც უფრო მეტ ადგილს იჭერს i-იური დარგის პროდუქტი g–ური დარგის პროდუქტში მით უფრო მაღალი იქნება g-ური დარგის მატერიალური-ტექნიკური ბაზის ეფექტიანობა.

აქედან გამომდინარე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ეფექტიანობის ამაღლება მიიღწევა თითოეული დარგის ერთიან კონტექტში მიზანმიმართულად განხორციელებული რეფორმების შედეგად. ერთი რომელიმე დარგის კონტექსტიდან ამოღება უარყოფითად იმოქმედებს მთლიანად სექტორზე და მის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ეფექტიანობაზე.

ამიტომ პირველი რიგის ამოცანად უნდა მივიჩნიოთ გადამამუშავებელი სექტორის განვითარების ხელშემწყობი მექანიზმების ამოქმედება:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზრების ლიბერალიზაცია საიმპორტო შეზღუდვების მინიმიზაცია და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, გადამამუშავებელი წარმოებისათვის საჭირო მანქანა-მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა

(პრეფერენციული საბაჟო რეჟიმის შემოღება სასოფლოსამეურნეო და სასურსათო ნედლეულის იმპორტის, ტექნიკური მოწყობილობების, სათადარიგო ნაწილების, შესაფუთი საშუალებებისათვის და სხვა.)

უნდა უზრუნველყოთ წარმოების მთელი ჯაჭვის შეწონასწორებული განვითარება: სოფლის მეურნეობის წარმოება, შენახვა, გადამუშავება, ტრანსპორტირება და რეალიზაცია.

შენარჩუნებული უნდა იქნეს საკუთრების ყველა ფორმა თანაბარუფლებიანი ფუნქციონირებით, აუცილებელია რომ იყოს პროდუქციის წარმოება სახელმწიფოს დაკვეთებითაც, კონტრაქტებით და ხელშეკრულებით.

ეროვნული პროდუქციის საგარეო ბაზრებზე გატანის ხელშეწყობა. საზღვარგარეთელ პარტნიორებთან, ქვეყანათაშორისი შეთანხმებების საფუძველზე, ინტეგრაციული და კოოპერაციული კავშირების სტიმულირება, ტურიზმის აღორძინების ხელშეწყობა რასაც აუცილებლად მოჰყვება მოთხოვნილების გაზრდა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე, ამიტომაც გადაუდებელია არსებული პოტენციური რესურსების ამოქმედება და გამოყენება, როგორც ერთწლიანი, ისე მრავალწლიანი კულტურების და მეცხოველეობის განვითარების თვალსაზრისით

ამ ამოცანების თანმიმდევრულად შესრულება ჩვენის აზრით აამაღლებს აგროსასურსათო სექტორის ეფექტიანობას მოახდენს აგროსამრეწველო კომპლექსის პროდუქციაზე მოთხოვნა-მიწოდების აღდგენა შენარჩუნებას, აგრარული კრიზისით გამოწვეულ ეკონომიკური მერყეობის შემცირებას და ხელს შეუწყობს სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაჭრას.

3.3. აგროსასურსათო სექტორის რესტრუქტურიზაციის ეფექტიანობის ამაღლების გზები

ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარე – ეკონომიკა, სოციალური სფერო, პოლიტიკა და სხვა მეტნაკლებად დაკავშირებულია სასურსათო უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს და უმწვავეს პრობლემასთან. ამ პრობლემის გადაჭრა ქვეყნის აგრალური პოლიტიკის მნიშვნელოვან ამოცანას შეადგენს. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ აგროსექტორის სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნის განხორციელება მოითხოვს სისტემურ მიდგომას, ქვეყნის რეგიონების თავისებურებების, დარგობრივი სპეციფიკისა და ტრადიციების მხედველობაში მიღებით.

მბრძანებლურ–ადმინისტრაციულ სისტემიდან საბზარო ურთიერთობაზე გადასვლამ ეროვნულ მეურნეობაში მთლიანად კრიზისული სიტუაცია შექმნა, განადგურდა სოციალური და ეკონომიკური სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მოიშალა საფინანსო მეურნეობა და სხვა. განსაკუთრებით მწვავე მდგომარეობაში აღმოჩნდა ქვეყნის აგრალური სექტორი.

90-იან წლებში განვითარებულმა მოვლენებმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროს, რომლის წილიც მშპ-ში 1991-2001 წლებში შემცირდა დაახლოებით 1,5-ჯერ (1990 წელს სოფლის-მეურნეობის წილი მშპ-ში იყო 31,9%, 2001 წელს კი

20,8%-ი შეადგინა). ასეთივე ტენდენციით ხასიათდება აჭარის ა.რ აგრარული სექტორიც. მკვეთრად დაეცა პროდუქციის წარმოების მოცულობა და ხარისხი. რაც გამოწვეულია ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზე დარგის მაღალი დამოკიდებულებით სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაჩანაგების პირობებში.

თუ გადავხედავთ აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის სტრუქტურას და მასში განხორციელებულ ცვლილებებს (იხ.ცხრ.3.3.1) შიძლება შემდეგი დასკვნების გაკეთება;

ცხრ.3.3.1. სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა 1998-2004 წ. (პროცენტი)წყარო: აჭარის სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები;

წლები		მემცენარეობა სულ	მარცვლეული პარკოსანი სულ	თამბაქო	კარტოფილი	ოსტნეული	ხილი	ყურძენი	ჩაი	ციტრუსი	ემცენარეობის დანარჩენი დარგები	მეცხოველეობა სულ	მესაქონლეობა
1998	საქართველო	51,5	7,5	0,3	5,2	6,7	10,2	11,3	2	3	5,3	48,5	34,4
	აჭარა	43,6	2,3	0,6	0,7	2,4	4,1	0,7	5,4	26	1,4	56,4	51,9
2004	საქართველო	45,8	6,3	0,05	6,6	15	9,1	5,1	0,2	1,6	1,8	54,2	39,7
	აჭარა	40,8	2,5	0,06	5,2	2,5	10,1	0,7	0,4	18,4	0,15	60,5	54,2

1988 წელთან შედარებით 2004 წლისათვის მკვეთრად შემცირდა მემცენარეობის პროდუქციის: თამბაქოს, ციტრუსის, ჩაის წარმოების მოცულობა. (1998 წელს თამბაქოს, ციტრუსისა და ჩაის პროცენტული წილი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში შესაბამისად იყო 0,6%, 26% და 5,4%. 2004 წლისათვის კი ეს ციფრები შემდეგნაირად გამოიყურება. შესაბამისად – 0,06%, 18,4% და 0,4%).

უმნიშვნელოდ გაიზარდა კარტოფილის, ბოსტნეულის და მემცენარეობის დანარჩენი დარგების წარმოების მოცულობები. სახარბიელო მდგომარეობა არც მეცხოველეობის დარგებში შეიმჩნევა.

ქვეყნის აგრალური სექტორის მძიმე მდგომარეობა ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით იყო განპირობებული. ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის ამ დარგის განვითარებას მრავალნაირია, ამიტომ მათი მეცნიერული ანალიზი და კრიზისიდან გამოსვლის გზების ძიებაც მრავალმხრივ მიდგომას მოითხოვს.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლასთან დაკავშირებით განხორციელებული რეფორმების შედეგად ვერ მოხერხდა კერძო საკუთრების მთლიანი სიმძლავრით ამოქმედება, რომლის მთავარი მიზეზია შესაბამისი საბაზრო გარემოს უქონლობა, მოხდა სოფლის მეურნეობის დეინდუსტრიალიზაცია, რეგიონებში მიმდინარეობს არქაულ ტექნოლოგიებზე და ხელის შრომაზე დაფუძნებული ნატურალური მეურნეობების რეამინაცია, მოხდა მსხვილი ორგანიზებული მეურნეობების დაშლა წვრილ ერთპიროვნულ მეურნეობებად, რამაც შეაფერხა ამ სექტორში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვა, არა და ძალზედ მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის განვითარებაზე მეცნიერულ ტექნიკური პროგრესის გავლენა.

პროფესორ რ. მანველიძის სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული მეთოდების მიხედვით (ცხრილი I) ტექნიკისა და ტექნოლოგიების ზეგავლენის სტატისტიკა მეტყველებს სიახლეთა დანერგვის მკვეთრ შემცირებაზე და მათი დანერგვის აუცილებლობაზე.

ცხრ.3.3.2. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენა სოფლის მეურნეობის განვითარებაზე

წლები	ტექნიკისა და ტექნოლოგიის		ბუნებრივ-ბიოლოგიური		წარმოების ორგანიზაციისა და მართვის ხაზი	
	აჭარა	საკვლევი ზონა	აჭარა	საკვლევი ზონა	აჭარა	საკვლევი ზონა
19986-1990	28,5	31,4	13,3	13,4	58,2	55,2
1991-1995	28,0	29,0	12,5	13	59,5	58,0
1995-2000	19,0	19,5	12,0	12,9	69,0	67,6
2000-2004	27,4	28,7	12,8	13,3	65,5	63,4

რეგიონის და მთლიანად ქვეყნის სოფლისმეურნეობის სფეროში რეფორმების შედეგად შეიცვალა ტექნიკური სერვისის სისტემა, არც ერთ რაიონში არ ფუნქციონირებს ტექნიკური მომსახურების საწარმო. სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზის სრულყოფაზე სახელმწიფო დაფინანსების შეწყვეტამ სოფლის ტექნიკური უზრუნველყოფა ჩიხში მოაქცია.

აგროსამრეწველო კომპლექსის საფუძველთა საფუძლევია წამოების სტრუქტურა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გადახდისუნარიან მოთხოვნას და სწრაფად რეაგირებდეს მის უმცირეს ცვლილებებზე. ჩვენ კი ა.ს.კ.-ს სფეროში ვეწევით წარმოებას წარმოების გულისთვის, ამიტომაც ეროვნული მეურნეობა განიცდის ინფლაციურ ზეგავლენას (19.გვ.473).

არასწორად განხორციელდა სანერგე, სათესლე, პირუტყვის ახალი ჯიშების მომშენებელი მეურნეობების რეორგანიზაცია. მიწის რეფორმებისას არ იყო გათვალისწინებული მიწის ეკონომიკური ნაყოფიერება, არ იქნა მიღებული მხედველობაში შრომითი ნორმები და სამომხმარებლო ნორმები. ადგილი ქონდა ბევრ სამართლებრივ დარღვევასაც. ამასთან ერთად დღემდე ვერ მოხდა საბაზრო ეკონომიკის ზრდის ბერკეტების ამოქმედება, ვერ ხდება წარმოების ძირითადი ფაქტორების ეფექტური გამოყენება.

ცხრ.3.3.3. ნათესი (აღებული) ფართობის მოსავლისა და მოსავლიანობის დინამიკა

კულტურა	წლები	სულ აჭარა		
		ფართობი ჰა	მოსავლიანობა ც/ჰა	მოსავალი ტ
მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურებე სულ	1998	4082	27,7	11314
	2004	6813	18,3	12085

1998 წლიდან დღემდე აშკარაა, მიწის, კაპიტალის და შრომის გამოყენების ეფექტიანობის მკვეთრად დაცემის ტენდენცია.

მიწის ფართობის გამოყენება რეგიონის სოფლის მეურნეობაში არა დამაკმაყოფილებელია. სამეურნეო კავშირების მოშლის გამო სახელმწიფო და კერძო კაპიტალი თითქმის უმოქმედოა, რაც გამოწვეულია არა სასურველი საინვესტიციო გარემოთი და პრივატიზაციის პროცესის არასწორი მიმდინარეობით.

ბევრი შეცდომაა დაშვებული საწარმოთა რესტრუქტურიზაციის პროცესში, რამაც ხელი შეუშალა მუშაკთა დაქირავებულიდან მეპატრონე-მეწარმედ ქცევას. მეწარმეობის, ბიზნესის განვითარებას ხელს უშლის სამართლებრივი და საკანონმდებლო ბაზის მოუგვარებლობა,საწყის ეტაპზე უსახსრობა და საინფორმაციო ბაზის უქონლობა. რისთვისაც მიზანშეწონილად მიგვაჩნია სახელმწიფოს მხარდაჭერით შეიქმნას შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ორგანიზაციები რომლებიც განახორციელებენ ფერმერებისათვის საკონსულტაციო მომსახურებას, საინფორმაციო მომსახურებას, ტრეინინგებს, მიზნობრივ ფინანსურ მომსახურეობასა და ტექნიკურ მომსახურეობას.

ძალზე სუსტია სახელმწიფოს რეგულირების მექანიზმები, როგორც პროდუქციის წარმოებაში, ისე რესურსებით

უზრუნველყოფისა და რეალიზაციაში. ფაქტიურად სრულყოფილად არ მოქმედებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზრები.

უზრუნველყოფილი არ არის სუბიექტების სრული თავისუფლება, ფასწარმოქმნის თავისუფლება, საბაზრო ეკონომიკის პირობებში სურსათის წარმოების უზრუნველყოფის მთავარი პირობა მაინც ფასებია. (ამ მიმართულებით ყველაზე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან განხორციელდეს ზემოქმედება მარეგულირებელ და საბაზრო ფასების თანაფარდობაზე.). ამასთან ერთად მნიშვნელოვან პრობლემას ქმნის არამიზანმიმართული და არასწორი საგადასახადო, საფინანსო და საბაჟო პოლიტიკა. ქვეყანაში მაკროეკონომიკური გარდაქმნები ორგანულად არ არის შერწყმული ქვეყნის მიკროეკონომიკურ გარდაქმნებზე. რამაც აგრარული სექტორის ეფექტურად ამოქმედებას მკვეთრი ზიანი მიაყენა.

ანალიზი ცხადყოფს, რომ როგორც ქვეყანაში ისე აჭარის ა.რ.-ში სოფლის მეურნეობამ მკვეთრი დეფორმაცია განიცადა, მაგრამ არსებული პოტენციალი საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ თუ ეროვნული მეურნეობის ყველა დარგის რესტრუქტურიზაცია საბაზრო მოთხოვნები შესაბამისად განხორციელდება აუცილებლად ამაღლდება დარგის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა. ამისათვის საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- ყურადღება უნდა მიექცეს და ხელი შეეწყოს სოფლად საწარმოთა ახალი ფორმების ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებას;
- უნდა დაჩქარდეს სოფლის მეურნეობის რეფორმებისათვის საჭირო სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის შექმნა.
- მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან სტიქიურად მიმდინარე პროცესების რეგულირება და მოქცევა გარკვეულ კანონზომიერებებში.

აგროსასურსათო სექტორის განვითარება აუცილებელია ეფუძნებოდეს თანამედროვე საბაზრო მექანიზმებს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ დარგის სპეციფიკურობას, მხოლოდ საბაზრო ძალების იმედად შეუძლებელია ამ სექტორის მდგრადი განვითარება რის გამოც ყველა განვითარებულ ქვეყანაში განსაკუთრებული აქცენტი გადატანილია აგროსასურსათო სექტორის სახელმწიფო რეგულირებისაკენ.

რეგულირების ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს განვითარებული საკანონმდებლო ბაზის არსებობა და მონიტორინგი მიღებული კანონების შესრულებაზე, რაც ჩვენის აზრით ორიენტირებული უნდა იყოს აგრარული მიმართულებების ძირითად კურსზე, კერძოდ:

-უსაფრთხო და ხელმისაწვდომი სურსათითა და ნედლეულით საიმედო უზრუნველყოფა;

-სასოფლო-სამეურნეო მიწების და წყლის რესურსების მართვის უზრუნველყოფა;

-შიდა და მსოფლიო ბაზრებზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შეღწევის მხარდაჭერა;

-სასოფლო ადგილებში შემდგომი სოციალურ ეკონომიკური განვითარების სტიმულირება.

-ეფექტური და ინოვაციური აგროსასურსათო სექტორისათვის კვლევების გაგრძელების გარანტირება.

კანონი უნდა განსაზღვრავდეს აგროსასურსათო პოლიტიკის ღონისძიებებს შემდეგი მიმართულებებით:

-მწარმოებლებისათვის პირდაპირი გადახდები (მწარმოებელთა-თვის თანხა უნდა განისაზღვროს საბაზო მოსავლიანობითა და დაკავებული ფართობით)

-ანტიციკლური გადახდები;

-საბაზრო დახმარების სესხები;

-რძის პროგრამები (რძის სექტორის მხარდაჭერის პროგრამები უნდა მოიცავდეს შემდეგ კომპონენტებს: ფასები მხარდაჭერა; სახელმწიფო შესყიდვები; საბაზრო დანაკარგების კონპენსაცია;)

გარდა ზემოთ აღნიშნულისა აუცილებელია საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა პროდუქციის რეალიზაციისა და აგრარული ბაზის სტაბილიზაციის მიმართულებით რაც ჩვენის აზრით უზრუნველყოფს აგროსასურსათო სექტორის რეაბილიტაციას, ასევე ეროვნული მეურნეობრიობის დარგობრივ განვითარებას.

ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად უნდა დაისახოს სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამამუშავებელი და საბოლოო პროდუქციის მწარმოებელი კვების მრეწველობისა და მრეწველობის სხვა სექტორების დაჩქარებული განვითარება, კერძოდ კვების პროდუქტების, უმაღლესი ხარისხების ღვინოების და ნატურალური წვენების, ხილ-ბოსტნეულის კონსერვების და სხვა პროდუქტების წარმოება.

სოფლის მეურნეობის საწარმოთა შემოსავლების და საერთოდ ეფექტიანობის ამაღლების არსებითი რეზერვია მათი განთავისუფლება, თუნდაც საბაზრო სისტემის ფორმირების პროცესში, სოციალური და საინჟინრო ინფრასტრუქტურის დანახარჯებისგან, რაც შედის ძირითად წარმოების ხარჯებში და ზრდის მის ოდენობას, დიდია გარღვევა სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასებსა და სოფლის მეურნეობისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა ფასებს შორის (ამ უკანასკნელის სასარგებლოდ) ამ და სხვა მრავალი მიზეზის გამო სოფლის მეურნეობის განვითარება დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული რაც უფრო მეტად აისახება აგროსასურსათო სექტორის თანამედროვე მდგომარეობაში.

საქართველოს დღევანდელი აგროსასურსათო კრიზისიდან გამოყვანისა და მისი აღორძინების მთავარი მაგისტრალური გზა მეწარმეობისა და აგრობიზნესის განვითარებეზე გადის ამიტომ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი საკითხი უნდა იყოს აგრობიზნესის განვითარებისადმი ყოველმხრივრი მხარდაჭერა და დახმარება. გარდა ამისა გარდამავალ პერიოდში მეურნეობრიობის ნებისმიერი ორგანიზაციული ფორმა ადეკვატურად უნდა შეესაბამებოდეს მის ეკონომიკურ შინაარსს, შრომითი პროცესების თავისებურებებს, დასახულ მიზანს, დარგში მომუშავეთა შრომით ჩვევებსა და ტრადიციებს რაც ფაქტიურად არ არის რეალიზებური ქართულ აგროსასურსათო სექტორში.

საქართველოს აგროსასურსათო სექტორის კრიზისის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მაკროეკონომიკური რეგულირების სფეროშია, მისი დაძლევის მექანიზმების ამოქმედება შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოს ძალისხმევით.

ხელშეწყობილი უნდა იქნას სოფლის მეურნეობის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის განახლება განმტკიცება, ტექნიკური საშუალებების მიწოდების პროცესში დაინერგოს ახალი ფორმები ლიზინგი და სხვა.

სტრუქტურულ გარდაქმნებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საიჯარო ურთიერთობათა განვითარების საკითხი. შეიძლება გამოყენებულ იქნეს მისი მრავალმხრივი ფორმა. პროდუქციის პრივატიზაციის უპირატესობა ეჭვს არ იწვევს. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს და მოიჯარეს შორის ყალიბდება ეკონომიკური ურთიერთობა იჯარის საფუძველზე. პერსპექტიულია ლიზინგის, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის გამოყენება. აღსანიშნავია, რომ დასავლეთის ქვეყნებში ლიზინგი ფართოდ გამოიყენება. ლიზინგით ხდება კაპიტალური დაბანდებების დიდი ნაწილის დაფინანსება.

მაგალითად, აშშ-20-30%, ინგლისში-20-11%, საფრანგეთში-16-17%, გერმანიაში-15-16%, იტალიაში-14-15%, კანადაში-8-10%. (65.ტ2.გვ.399)

ევროპის ლიზინგური კომპანიების ასოციაციის ცნობით ამ ასოციაციის 25 ქვეყანაში ლიზინგური ოპერაციების საერთო მოცულობა შეადგენს 100 მლრდ ეკიუს წელიწადში. მოწყობილობათა 25% შესყიდვა ხდება ლიზინგით.

ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ლიზინგისას ყალიბდება ახალი სახის ურთიერთობა. მოწყობილობის მწარმოებელსა და მოსარგებლეს შორის დგას მესამე პირი–ლიზინგის მიმცემი, რომელიც ქარხნიდან ყიდულობს მოწყობილობას, იღებს კრედიტს, ხოლო ვისაც სჭირდება იგი, იღებს მოწყობილობას იჯრით. მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, რომ იჯარა ყოველთვის იაფია, ვიდრე კაპიტალის საკუთრება შეძენა.

მსოფლიო პრაქტიკაში გამოყოფენ ლიზინგის სამ ძირითად ფორმას (ოტავის კონფერენციის წესებით კი-ორს). ესაა: ფინანსური ლიზინგი (როცა ქონების გადაცემის დრო ემთხვევა მისი სრული ამორტიზაციის დროს). ოპერატიული (როცა მოწყობილობის სარგებლობის დრო უფრო ნაკლების, ვიდრე მისი მომსახურების ვადა). ეს ლიზინგის მიმცემს საშუალებას აძლევს მოწყობილობა ლიზინგში გადასცეს მრავალჯერ. დაბრუნებითი, როცა ქონების მესაკუთრე საკუთრების უფლებას გადასცემს მომავალში ლიზინგის მიმცემს ყიდვა-გაყიდვა წესით და მასთან ამყარებს ამ მოწყობილობით მოსარგებლის ახალ ურთიერთობებს.

საქონელ მწარმოებლები აუცილებლად უნდა განთავისუფლდნენ ზედმეტი წნეხისა და ზეწოლისაგან. მათ საქონლის წარმოებისას და რეალიზაციისას სრული თავისუფლება უნდა მიენიჭოთ.

გაუმჯობესებას მოითხოვს საინვესტიციო გარემო. ინვესტიციების ეფექტიანად გამოყენების მნიშვნელოვან გზად

მიგვაჩნია საერეაშორისო ინტეგრაციული პროცესის გაღრმავება მიკრო დონეზე, კერძო ინვესტიციებზე დაფუძნებული სხვადასხვა საერთაშორისო გაერთიანების, ხოლო რეგიონის დონეზე – საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების ჩამოყალიბება. სწორედ ისინი მოახდენენ სამრეწველო და საბანკო კაპიტალის შერწყმას. როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, ამ გზით მიიღწევა ეფექტიანად მოქმედი ინვესტირების მექანიზმების ფორმირება და მოქნილი სამრეწველო პოლიტიკის გატარება.

საწარმოო-ტექნიკური მომსახურების სფეროში სამეუნეობათაშორისო კოოპერაციის ფართოდ გავრცელებას უნდა შეეწყოს ხელი. ამ საწარმოთა ძირითადი ამოცანა უნდა იყოს რემონტი, საწარმოო პროცესების მექანიზაცია, ტექსამუშაოების შესრულება და მონტაჟი, განვითარებულ ქვეყნებში სერვისის არსებული სახეებიდან საქართველოსათვის გარდამავალ პერიოდში მისაღებ ფორმად მიგვაჩნია თვითდაფინანსებაზე და თვითანაზღაურებაზე მომუშავე კოოპერაციული აგროსაინჟინრო სერვისი, რომლის რგოლებიც უნდა შეიქმნას სოფლის, რეგიონის და რესპუბლიკის დონეზე, რითაც დაახლოება მოხდება დამკვეთისა და შემსრულებლის. ყოველივა ზემოთ აღნიშნული აამაღლებს შრომის ნაყოფიერებას და უზრუნველყოფს შრომითი და მატერიალური რესურსების ეკონომიას

უნდა მოხდეს დარგთაშორისი და შიგადარგობრივი კავშირების ამოქმედება, რაც ხელს შეუწყობს რეგიონულ პროდუქტთა ქვეკომპლექსის ამოქმედებასა და მუშაობას.

დასკვნები და წინადადებები

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში საქართველოს აგრარული სექტორის რესტრუქტურიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობის ანალიზი გვაძლევს საშუალებას გამოვთქვათ მოსაზრებანი, რომელთა ცხოვრებაში განხორციელება ხელს შეუწყობს მაკრო და მიკრო დონეებზე არსებულ დისპროპორციების აღმოფხვრას და კვლავ წარმოების პროცესის უწყვეტობას, მისთვის საჭირო რესურსების ფორმირებას, აგროსასურსათო სექტორის აღორძინებას და სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაჭრას:

1. პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ეკონომიკური რეფორმების გამოცდილება ცხადყოფს, რომ რეალურ ცხოვრებაში, ადმინსტრაციულ - მბრძანებლური ეკონომიკის ტრნსფორმაციის სტრატეგია მდგომარეობს პრიორიტეტების არჩევაში: ან ლიბერალიზაცია და ფინანსური სტაბილიზაცია, ან ეკონომიკის რესტრუქტურიზაცია, უპირველეს ყოვლისა კი ინსტიტუციური და სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება. ჩვენი აზრით, საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში, მინიმალური სოციალური და ეკონომიკური დანახარჯებით ეკონომიკური რეფორმაბის ეფექტურ განხორციელებას უზრუნველყოფს გარდაულიზმის კონცეფციის გამოყენება, რადგანაც იგი უპირატესობას ანიჭებს რეალური „ფიზიკური" ეკონომიკის აღორძინებას. ეკონომიკის

ეფექტიანი რესტრუქტურიზაცია ნებისმიერ შემთხვევაში წარმოადგენს პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის წარმატებით განხორციელებისა და ნორმალურად ფუნქციონირებადი საბაზრო-ეკონომიკური სისტემის ფორმირების აუცილებელ პირობას;

2). განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ფინანსური კაპიტალის ორიენტაციის შეცვლა სავალუტო და სავაჭრო ოპერაციებიდან მატერიალურ წარმოებაში, რაც უნდა განხორციელდეს სათანადო სტიმულებისა და კონტროლის მექანიზმების დანერგვით. უპირველეს ყოვლისა უნდა გაიზარდოს მატერიალური წარმოების სფეროში შემოსავლიანობა, რისთვისაც აუცილებელია დემპინგური იმპორტული საქონლის აკრძალვა და საგადასახადო წნეხის შემცირება, წარმოების წამახალისებელი ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკის გატარება, სამართლებრივი ბაზის სრულყოფა, ჯანსაღი კონკურენციული გარემოს ფორმირება.

3). აგროსასურსათო სექტორში წარმოებული პროდუქცია ხასიათდება არაკონკურენტუნარიანობით, რომლის მთავარი მიზეზი მისი კვებითი და გემოვნებითი სარგებლიანობის პარამეტრები კი არა, არამედ მაღალი ენერგოტევადობა, ნედლეულის გადამუშავების არა კომპლექსურობა, ტექნოლოგიური მანქანადანადგარების წარმოების შეუსაბამობა და სხვა მსგავსი ფაქტორებია. იმისათვის, რომ აგროსასურსათო სექტორს ჰქონდეს უნარი უპასუხოს ქვეყნის საჭიროებებს, ის უნდა იყენებდეს საერთაშორისო სამეცნიერო ტექნოლოგიურ სიახლეებს, ამისათვის საჭიროა სამეცნიერო კვლევისა და საგანმანათლებლო პროგრამების გაფართოება, გამოყენებითი სამეცნიერო კვლევებისა და ცოდნის გაფართოების სისტემის შექმნა.

შეზღუდული რესურსების რაციონალურად გამოყენებისათვის აუცილებელია საზოგადოებრივ და კერძო საწყისებზე სამეცნიერო კვლევების გამიჯვნა. აუცილებელია სახელმწიფო მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის ფორმირებას საფუძვლად დაედოს: მეცნიერული პოლიტიკა, ტექნიკურ-ტექნოლოგიური პოლიტიკა, ინდუსტრიული პოლიტიკა, ნაციონალური პასუხისმგებლობის პოლიტიკა.

4. საქართველოში არ იქნება და მიზანშეწონილადაც არ მიგვაჩნია წარმოების ისეთი სტრუქტურის შექმნა, რომელიც სრულად უზრუნველყოფს აგროსასურსათო სექტორს საკუთარი წარმოების მანქანამოწყობილობებით. ე.ი. საქართველო კვლავ დარჩება ამ მხვრივ იმპორტზე ორიენტირებული ქვეყანა. აქედან გამომდინარე საჭიროა შეიქმნას ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებზე ქვეყნის მოთხოვნიების დაკმაყოფილებას. თუ გავითვალისწინებთ აღმოსავლეთ ქვეყნების ცალკეული ქვეყნების გამოცდილებას ზემოთ აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მრავალი გზა არსებობს, მათშორის მნიშვნელოვან გზად შეიძლება მივიჩნიოთ ლიზინგი, საკრედიტო კავშირების შექმნა, სახელმწიფო მხარდაჭერა და სხვა.

5. დღეისათვის საქართველოსთვის პრიორიტეტულია აგროსასურსათო სექტორის ტრადიციული დარგების (მევენახეობა-მეღვინეობა, მეჩაიობის, მეციტრუსეობის, მეხილეობა, მებოსტნეობის, მეფრინველეობის, აგროტურიზმის და სხვა) განვითარება უნდა მოხდეს დარგთაშორისი და შიგადარგობრივი კავშირების ამოქმედება, რაც ხელს შეუწყობს რეგიონულ პროდუქტთა ქვეკომპლექსის ამოქმედებასა და მუშაობას.

სწორედ ამ მიმართულებით უნდა იქნეს გამოყენებული უცხოური ინვესტიციები და ინვესტორთა გამოცდილება, რა თქმა უნდა, ადგილობრივი ფაქტორების ოპტიმალურად გამოყენების პირობებში.

ინვესტიციების ეფექტიანად გამოყენების მნიშვნელოვან გზად მიგვაჩნია საერთაშორისო ინტეგრაციული პროცესის გაღრმავება მიკრო დონეზე, კერძო ინვესტიციებზე დაფუძნებული სხვადასხვა საერთაშორისო გაერთიანების, ხოლო რეგიონის დონეზე – საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების ჩამოყალიბება. სწორედ ისინი მოახდენენ სამრეწველო და საბანკო კაპიტალის შერწყმას. როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, ამ გზით მიიღწევა ეფექტიანად მოქმედი ინვესტირების მექანიზმების ფორმირება და მოქნილი სამრეწველო პოლიტიკის გატარება.

6. საწარმოო-ტექნიკური მომსახურების სფეროში სამეუნეობათაშორისო კოოპერაციის ფართოდ გავრცელებას უნდა შეეწყოს ხელი. ამ საწარმოთა ძირითადი ამოცანა უნდა იყოს რემონტი, საწარმოო პროცესების მექანიზაცია, ტექსამუშაოების შესრულება და მონტაჟი, განვითარებულ ქვეყნებში სერვისის არსებული სახეებიდან საქართველოსათვის გარდამავალ პერიოდში მისაღებ ფორმად მიგვაჩნია თვითდაფინანსებაზე და თვითანაზღაურებაზე მომუშავე კოოპერაციული აგროსაინჟინრო სერვისი, რომლის რგოლებიც უნდა შეიქმნას სოფლის, რეგიონის და რესპუბლიკის დონეზე, რითაც დაახლოება მოხდება დამკვეთისა და შემსრულებლის. ყოველივა ზემოთ აღნიშნული აამაღლებს შრომის ნაყოფიერებას და უზრუნველყოფს შრომითი და მატერიალური რესურსების ეკონომიას

7. კვლევებმა აჩვენა, რომ საქართველოს, აგროსასურსათო სექტორის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფის მდგომარეობა ძალზედ არასახარბიელოა, რაც რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით აიხსნება, მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მიწის რეფორმის სწორად წარმართვის, საერთაშორისო დახმარებების მიზნობრივად გამოყენების, შესაბამისი ინსტიტუციალური ცვლილებების, თავისუფალი კონკურენციული გარემოს და სახელმწიფოს მიზანმიმართული პოლიტიკის გარეშე ამ პრობლემის გადაჭრა თითქმის შეუძლებელია.

8. ძალზე სუსტია სახელმწიფოს რეგულირების მექანიზმები, როგორც პროდუქციის წარმოებაში, ისე რესურსებით უზრუნველყოფისა და რეალიზაციაში. ფაქტიურად სრულყოფილად არ მოქმედებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზრები. უზრუნველყოფილი არ არის სუბიექტების სრული თავისუფლება, ფასწარმოქმნის თავისუფლება, საბაზრო ეკონომიკის პირობებში სურსათის წარმოების უზრუნველყოფის მთავარი პირობა მაინც ფასებია. (ამ მიმართულებით ყველაზე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან განხორციელდეს ზემოქმედება მარეგულირებელ და საბაზრო ფასების თანაფარდობაზე.). ამასთან ერთად მნიშვნელოვან პრობლემას ქმნის არამიზანმიმართული და არასწორი საგადასახადო, საფინანსო და საბაჟო პოლიტიკა. რამაც აგრარული სექტორის ეფექტურად ამოქმედებას მკვეთრი ზიანი მიაყენა.

9. მიზანშეწონილად მიგვაჩინია აგროსასურსათო სექტორის ტექნოლოგური საშუალებების ეფექტური მონიტორინგის და საკონსულტაციო მომსახურების მობილური სისტემის ჩამოყალიბება,

იმპორტირებული ტექნოლოგიურ სიახლეთა გამოყენების პრიორიტეტული სფეროების განსაზღვრა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ა. აბრალავა. გზა მაღალტექნოლოგიური ეკონომიკისაკენ. თბ.2001წ.(65-257გვ)
2. მ. აბდალაძე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პირობები, ბიულეტენი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი 64. იანვარი 2002წ.(15-85გვ;95–124))
3. მ. ალადაშვილი. სოფლის მეურნეობაში ტექნიკური სერვისის ეფექტურად ფუნქციონირების სრულყოფისათვის. ჟურნალი „ეკონომიკა“ 1-2 2005წ.
4. ი. არჩვაძე. საქართველოს რესპუბლიკის ფიქტიური სიმდიდრე. ჟურნალი ეკონომიკა 8-9;
5. რ. ასათიანი. საქართველოს ეკონომიკა, წარსული, აწმყო, პერსპექტივები. თბ. 2002წ.-(3-85გვ)
6. რ. ბასარია. მესხია ი. ეკონომიკური თეორიის საფუძვლები, თბ. 1996 წ.(352 გვ)
7. თ. ბასილია., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბ. 2001 წ.(4-45 გვ)
8. რ. ბასარია. ი. მესხია. ეკონომიკური თეორიის საფუძვლები. (352გვ)
9. ვ. ბურკაძე. ო. გიორგობიანი „რესპუბლიკის კვების მრეწველობა ტექნიკურ-ორგანიზაციული და სტრუქტურული განახლების წინაშე.“ ჟურნალი ეკონომიკა 8-9 1993წ.
10. მ. გაბუნია. საქართველოს სახემწიფო ქონების პრივატიზაციის მაკროეკონომიკური ანალიზი და თეორიულ-ორგანიზაციული საკითხები. დისერტაცია თბილისი 2001წ.(147 გვ)

11. დ. გენგაშვილი. საინვესტიციო კრიზისი საქართველოში და მისი დაძლევის გზები. ჟურნალი „ეკონომიკა“ 2000წ. 5-6.
12. მ. გიორგაძე. ინვესტიციური პროცესების ძირითადი ტენდენციები. ჟურნალი ეკონომიკა 2001წ. 3-4.
13. რ. გოგოხია. გარდამავალი პერიოდის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები. ჟ.: „სოციალური ეკ–კა“, 2000 წ.
14. რ. გოგოხია. შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების ტენდენციები. თბილისი 2005წ.
15. რ. გოგოხია. გ. კილასონია. ფერმერული მეურნეობის ჰორიზონტები.თბ. 1999წ.
16. ა. გრიშიკაშვილი. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები: პრობლემები, პერსპექტივები. თბ. 1998წ.
17. ნ. დარბუაშვილი. საგადასახადო პილიტიკა და ქვეყნის ინვესტიციური უსაფრთხოება. ჟურნ. „ეკონომიკა”, 2001, 3-5, გვ.82.
18. ნ. დარუბაშვილი. საგადასახადო პოლიტიკა და ქვეყნის ინვესტიციური უსაფრთხოება. ჟურნალი „ეკონომიკა“ 2001წ. 3-4.
19. ო. ვაშაკიძე. ო. ჯიქია. საქართველოს აკს. განვითარების სახელმწიფო რეგულირებ. გვ;473
20. ჯ. ზარანდია. საქართველოს რეგიონული ეკონომიკური განვითარები აქტუალური საკითხები. თბ. 2003წ.
21. ვ. ზეიკიძე, აგრარული სფეროს რეგულირების რეგიონული აპექტები სამეცნერო შრომათა კრებული. 2001 III.
22. თ. თავადიშვილი. მ. ალადაშვილი. სოფლის მეურნეობაში ტექნიკური სერვისის ეფექტურად ფუნქციონირების სრულყოფისათვის. ჟ. ეკონომიკა 1-2. 2005წ.

23. ა. თეთრაული. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და ბიზნესის განვითარების კანონზომიერებანი. თბ. 1999წ.
24. რ. კაკულია. ლ. ხაბურზანია. „მოსაზრებები ეკონომიკის კრიზისიდან თავის დაღწევის შესახებ“ ჟურნალი ეკონომიკა 6-7 1993წ.
25. რ. კაკულია, საგადასახადო პოლიტიკა და საგადასახადო სისტემის შეფასების კრიტერიუმები. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. შრომები I ტ..2000წ.
26. ე. კანდელაკი. ჩინეის ფენომენი და თანამედროვეობა. თბ.1997წ.
27. ლ. კემულარია. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა საბაზრო ეკონომის პირობებში. ჟურნალი „ეკონომიკა 2000წ. გვ.105.
28. დ. კვარაცხელია. გლობალიზაცია და ეკონომიკური პოლიტიკის ეროვნული სისტემა. თბ. 2002წ.(7-200 გვ)
29. თ. კუნჭულია. „საქართველოს სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის პრობლემები,“ „მეცნიერება“ თბ.1997წ.
30. თ. კუნჭულია. „სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სტრატეგია.“ ჟურნალი „ეკონომიკა“ 8-9 1993წ.
31. პ. კოღუაშვილი. ბ. რამიშვილი. შ. ბენია. საქართველოში სასურსათო წარმოების ოპტიმიზაციისათვის. ჟურნალი „ეკონომიკა“ 2005წ. 1-2.
32. პ. ლემოჯავა. ბუნებრივი პირობები, როგორც უთანაბრო ეკონომიკური განვითარების ფაქტორები. კრ „საერთაშორისო ბიზნესი I ტ. 1-2. თბ. 2002წ.
33. გ. მალაშხია. მეტაეკონომიკა, ეკონომიკის ფილოსოფია. თბ. 1995 წ.(565)

34. გ. მალაშხია. საქართველოს ეკონომიკა.2002.წ(332 გვ)
35. რ. მანველიძე. „აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის საწარმოო პოტენციალის კვლავწარმოება საბაზრო ეკონომიკის პირობებში“ გამომცემლობა აჭარა 1996წ.(257 გვ)
36. რ. მანველიძე. „აჭარის აგრომრეწვი, რეალობა და პერსპექტივა“ გამომცემლობა „აჭარა,“ ბათუმი, 1997წ.
37. გრ. მენქიუ–ეკონომიკის პრინციპები. თბ. „დიოგენე“ 2000წ.
38. ე. მექვაბიშვილი. გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური პრიორიტეტები. თბ. 1998 წ.
39. გ. ნატროშვილი. სურსათის წარმოებისა და მისი ბაზრის ძირითადი ბერკეტები. ჟურნალი „ეკონომიკა“ 2006წ. 1.
40. ვ. პაპავა. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომიკა და საქართველოს ეკონომიკა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია; საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. თბ. „პდპ“ 2002წ.
41. ვლ. პაპავა. საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფცია. თბ. 1991წ.
42. ვლ. პაპავა. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბ. საქ. მეცნიერებათა აკადემია 2002წ.
43. გ. პაპავა. „დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკის მმართველობითი სტრატეგიისათვის“ ჟურნალი ეკონომკა 8-9 1992წ.
44. რ. პინდაიკი. დ. რუბინფელდი. მიკროეკონომიკა. „ლამპარი“ 1998წ. თბ.

45. ნ. რინიკაშვილი. უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გზები და საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანობა. ჟურნალი „ეკონომიკა“ 2001წ. 7.
46. ნ. სანთელაძე. საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პრობლემები საქართველოში. თბ.1992წ.
47. მ. სხირტლაძე. მეცნიერებისა და სამეცნიერო მომსახურების თანამედროვე მდგომარეობა (ეკონომიკური ასპექტი) საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკურიო და სოციალური პრობლემების სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული I ტომი. თბილისი 1996წ.
48. ზ. ფანჩულია. ერის სტრატეგია – საქართველოს საექსპორტო პოტენციალის პრობლემები. ჟურნალი „მმე“ 1999წ. 6.
49. ნ. ქარქაშაძე. „მსოფლიოს სოფლის მეურნეობა.“ გამომცემლოგა განათლება 1993წ.
50. ო. ქეშელაშვილი. სოფლის მეურნეობა აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში. 1995წ.
51. ო. ქეშელაშვილი. „პრივატიზაციის კონცეპტუალური მიმართულება.“ ჟურნალი „ეკონომისტი.“ 8-9. 1992წ.
52. ო. ღორჯომელაძე. ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლის მეცნიერული საფუძვლები. ბათუმი. 1997წ.
53. თ. შენგელია. ინოვაციური პრცესები: პოლიტიკა, რეგულირება, ეფექტიანობა. თბ. 1997წ.
54. ლ. ჩიქავა. საქართველოს ეკონომიკა. თბ. 1995წ.

55. ი. ციკოლია. „აჭარის სოფლის მეურნეობის ეკონომიკა აგრალური რეფორმების პირობებში“ გამომცემლობა ალიონი. 2000წ.
56. გ. ცერცხვაძე. აგრარული სექტორის განვითარება საქართველოში. ეკონომიკის აქტუალური პრობლემები. კრებული ნაწილი V. თსუ. ამომცემლობა თბ.1998წ.
57. დ. ძნელაძე. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრობლემები. გამომცემლობა „საქართველო.” თბ. 1991წ.
58. გ. წერეთელი. საქართველოს მწარმოებლურ ძალთა განვითარების სტრატეგიული მიზნები და მათი რეალიზაციის მიმართულებები. კრებულში საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში I.ტ. 2000წ.
59. გ. წერეთელი. საქართველოს ეკონომიკის გარდაქმნის სტრატეგიული მიზნები და მათი რეალიზაციის ძირითადი გზები. ჟურნალი „მიკრო-მაკრო ეკონომიკა.“ 2000წ. 1-2.
60. ნ. ჭითანავა. გარდამავალი პერიოდის სოციალურ–ეკონომიკური პრობლემები. III-ნაწილი. თბ. 2001 წ.
61. ნ. ჭითანავა. საბაზრო ეკონმიკის რეგულირება. ორგანიზაციული პრობლემები. თბ. 1995წ.
62. ლ. ჯიქია. რ. აპლაკოვი. საქართველოს აგრარული სექტორის აღორძინებისათვის. ჟურნალი სოციალური ეკონომია. 2005წ. ივლისი-აგვისტო.
63. გ. ჯოლია. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები თბ.1995წ.(345)
64. ჯ. ჰოვარდი. რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ღია ვაჭრობას. ჟურნ.„ეკონომიკური რეფორმები დღეს, 1999, 1, გვ.

65. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკურიო და სოციალური პრობლემების სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული II(857გვ) ; III (491გვ); IV; V; VI ტომები.
66. რეფორმები კვების მრეწველობის და სოფლის მეურნეობის დარგებში. მსოფლიო ბანკის ანალიზი. თბ. 1996წ.
67. საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარების 1996–2000 წლების ინდიკატური გეგმა. საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო, თბ/ 1996 წ.
68. საქართველოს მრეწველობის სამინისტრო. საქართველოს მრეწველობა–თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების მიმართულებები. თბ. 2000წ.
69. საქართველოს ვაჭრობისა და ეკ. სამინისტრო თ CIS სამსახურის მასალები. 1998 წ
70. ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი, საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები, კვარტალური იმოხილვა 2000წ. 3-4. 10გვ
71. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 2002; 2003; 2004 წლები.
72. საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამონისტრო. ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზების საგანგებო პროგრამის ძირითადი სოციალ-ეკონომიკური მიმართულებები. თბ. 2000წ.

73. „საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის სექტორის მოდერნიზაციის საშუალო ვადიანი გეგმის მონახაზი, გაეროს სასურსათო და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია. 2002წ.
74. აჭარის არ სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის 2002, 2003, 2004 წლების მონაცემები.
75. საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1998 წლის ინდიკატორი გეგმა. თბ. 1998წ.
76. საქართველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფცია. 1996წ. 7 აპრილი. გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა 12-X 1996წ.
77. საქართველო ციფრებში. „სტატისტიკური კრებული“ თბ. 1998წ.
78. საქართველოს საგადასახადო კოდექსი.თბ. 2005წ.
79. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ. თბ.2004წ.
80. საქართველოს კანონი მიწის საკუთრების შესახებ. 1997წ.
81. კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა დაგარანტიების შესახებ”-1996წ. 12 ნოემბერი.
82. Л. И. Абалкина. Курс переходной экономики. Под редакцией акад. М.1997г.(631gv)
83. Албегова И.М. Емцов Р.Г. Холопов А. В. Государственная экономическая политика. М.1998.г(356)
84. Т.П. Барановская. Модели реструктуризации перерабатывающих предприятии Апк. //хранение и переработка сельхозсырья 2000-№5.
85. Т.П. Барановская. Модели реформирования предприятии Апк в рыночной экономике – краснодар: издательство КУБГАУ, 2000.
86. М. Баскакова. Японская экономическая модель – мэимо. 2004 №1.
87. А. Бальцерович. Социализм, капитализм, трансформация: Очерки на рубеже епохи. М.1999г.

88. Бъюкенен Дж. М. Минималная политика риночной системы. Ж. “ В. Э” 1990г №12.
89. Бузгалин А. Мутантный капитализм как продукт полураспада мутантного социализма. Ж..”В.Э.” 2002г. №6.
90. Гайдар Е. Логика реформ. Ж..”В.Э” 1993г,№2.
91. Гайгер Л. Макроэкономическая теория и переходная экономика. М.1996г.(465)
92. Городецлий А. Об основах институционалъной трансформации (теоретический аспект)- Ж.”Вапросы экономики“ 2002г №10.
93. Герхард П. Андерсон Р.Е. Классенс С. Приватизация и реструктуризация промышленных предприятий в центральной и восточной европе 1997г.ст.31
94. Дерябина М. институционалъные аспекты постсоциалистического переходного периода. Ж. “В. Э”, 2001г. №2.
95. Дибенецкин:Промишленная и денежно-кредитная политика и экономическая реалъностъ. Ж:” В .Э” 1993г№9
96. Н. Иванов. Национальные иновационные системи. Ж. ,,вопроси экономики”№7. 2001г.
97. М. В. колесов. Экономика зарубежных стран. М. 1994г.(358)
98. А. Киреев: международная экономика.М.2000.(415)
99. Корнаи я. Тенденции постсоциалистического развития: Общии обзор. “ В. Э.“, 1996г №1.
100. Копитина М. Сценарии экономической реформы в чсфр. Ж.: “ В. Э.”, 1991г №4.
101. Красникова Е. Рыночная трансформация российской экономики как процесс первоначального накапленния капитала. Ж.: “В.Э.”. 2001г №2.
102. Е.А. Киселевой, проф. М.Н. чепурина. Основы теории переходной економики. Под редакцией проф. Киров, 1996г.(319)

103. Князев Ю. экономическии феномен Словении. Ж.: “В.Э.”, 2000г. №6
104. Корнай Я. “Пут к свободной экономике” десять лет спустя. Ж.: “В. Э.”, 2002г. №12
105. Я. КОРНАЙ. ПУТЬ К СВОБОДНОЙ ЭКОНОМИКЕ": ДЕСЯТЬ ЛЕТ СПУСТЯ (переосмысливая пройденное) , доктор экономики, профессор Гарвардского университета (США) и Коллегиум Будапешт (Венгрия)ВОПРОСЫ ЭКОНОМИКИ № 12 (2000)
106. Нестеренко А. экономически рост на основе инстетуциональных ишменении. Ж.:”В.Э.”. 1996г. №7.
107. Нестеренко А. Переходныи период закончился. Что дальше? 2000г. №6
108. Нуреев Р. Теории развития: институциональные концепции становления рыочной экономики. Ж.: “В.Э.”. 2000г. №6.
109. Нуреев Р. Теориа общественного выбора. Ж. “ В.Э.” 2002г №8.
110. . Ослуид А. Россия: рождение рыночной экономики. М. 1996г
111. ю Н.А. Попов. Экономика селскохозяйственного производства М.1999г.ст.166 ((351)
112. А. И. Погорлецкий .Экономика зарубежных стран. М.2000г.(413)
113. И.Б. Полюбина. Агроэкономика в контексте вступления росии в вто. Ж. Банковское услуги №5. 2005г.
114. В. Перская. Х. Хорминг. Опыт приватизаций в чехской республике. Росиски Эк. Журнал 1995г.
115. М. Трейси. Селское хозяйство и продоволствио в экономике разних стран. 1995г. С-П
116. В.В. Федосеева. Экономико-математические методы и прикладные модели. М. 2004г.

117. Ю. Цедиес. А. Угаров. Экономика сельскохозяйственных предприятий. ,,мсха” м.2000г.
118. Чаба Л. Венгрия на рубеже веков: итоги трансформации и перспективы вступления в ЕС. Ж.:”В.Э.”, 2000г №6
119. ЧеремисинаТ.П. Оптимизация состава собственников и структуры собственности российских приватизированных предприятий.
120. Экономика ссср: Выводы и рекомендации. Доклад группы Экспертов Международного валютного фонда, международного банка реконструкции и развития,.Организации экономического сотрудничества и развития и Европейского банка реконструкций и развития ж.: “ В. Э .” 1991 г.№3.
121. ÄДерябина М. институционалъные аспекты постсоциалистического переходного периода. Ж. “В. Э”, 2001г. №2. ст.112.
122. www.auditorim.ru / www.statistics.ge